K 419/3

როზა ლიუქსემბურგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმა თუ რევოლიუცია?

3

88

ს. ს. ს. საახალგაზრდო გამომცემლობა

ტფილისი—1923

როზა ლიუქსემბურგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
335.5
Записано въ инвентарную книгу
за стр. 92 подъ № 88
419

რეფორმა თუ რევოლიუცია?

ТФИЛИССКІЙ ГУБЕРНСКІЙ ИСП. КОМ. 1923 г. № 1435
საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა
ტფილისი

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1923

85, [1] ბ. (23 x 15) (ფ. ...)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფასდაკლებული
ეროვნული-2000

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. გაბუ. 1-ლი სტამბა, ბლეხ. № 91. ლაიბ. 2000 ც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა.

პირველი შეხედვით ამ წიგნის სათაურს შეუძლია გაკვირვება გამოიწვიოს. სოციალური რეფორმა თუ რევოლიუცია? განა შესაძლოა სოციალ-დემოკრატია სოციალური რეფორმის წინააღმდეგი იყოს? ნუ თუ მას შეუძლია **დაუპირდაპიროს** სოციალური რეფორმა რევოლიუციას, ე. ი. სოციალურ გადატრიალებას,—სოციალ-დემოკრატიის საბოლაო მიზანს? რასაკვირველია, არა. სოციალ-დემოკრატიისათვის ყოველდღიური პრაქტიკული ბრძოლა სოციალურ რეფორმებისათვის, არსებულ წესწყობილების ჩარჩოებში მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ბრძოლა დემოკრატიულ დაწესებულებათათვის —არის, თუ გნებავთ, ერთად-ერთი საშუალება პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლის სახელმძღვანელოდ, რომლის საბოლაო მიზანია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით სოციალურ რეფორმის და სოციალურ რევოლიუციის შორის არსებობს განუყრელი კავშირი: ბრძოლა სოციალურ რეფორმებისათვის არის მისთვის **საშუალება**, ხოლო სოციალური გადატრიალება **მიზანი**.

ედუარდ ბერნშტეინის თეორიაში, იმ სახით, როგორც ის არის განვითარებული „სოციალიზმის პრობლემებში" („Neue Zeit", 1897/98 და მის წიგნში „Voraussetzungen des sozialismus"[1]), ჩვენ პირველად ვხვდებით მუშათა მოძრაობის ამ ორი მომენტის **დაპირდაპირებას**. პრაქტიკულად მთელი ეს თეორია ამოიწურება მხოლოდ რჩევით, რომლის დედა-აზრს წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიის საბოლაო მიზნის, სოციალურ გადატრიალების მივიწყება და სოციალური რეფორმების, ამ კლასიურ ბრძოლის **საშუალების, მიზნად** გადაქცევა. თვითონ ბერნშტეინმა ყველაზე უფრო მოხდენილად და მკაფიოდ გამოსთქვა თავისი შეხედულებანი შემდეგი ფრაზით: „საბოლაო მიზანი, რა რიგიც არ უნდა იყოს ის, ჩემთვის არაფერს წარმოადგენს, მოძრაობა კი ყველაფერს.

---

[1]) მოიპოვება რუსულ თარგმანშიც: „Очерки из истории и теории социализма", С. П. Б. 1902 г. ч. 2-ая „Voraussetzungen" გამოსულია რამოდენიმე თარგმანებში, სხვათა შორის „Знание"-ს გამოცემაში С. П. Б. 1901 г. სათაურით „Историчекий материализм".

მაგრამ სოციალისტური **საბოლოო მიზანი** ის გადამწყვეტი მენტია, რომელიც ანსხვავებს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ბურჟუაზიულ დემოკრატიისაგან და ბურჟუაზიულ რადიკალიზმისაგან. სწორედ ეს საბოლოო მიზანი ასულდგმულებს ამ ჟამად მთელ მუშათა მოძრაობას, რომელიც უმისოდ იქნებოდა მხოლოდ შეკეთებ-შემოკეთების ცდა კაპიტალისტურ წესწყობილების გადასარჩენად, მისი წყალობით კი იქცა კლასიურ ბრძოლად ამ წესწყობილების **წინააღმდეგ**. უკანასკნელის საბოლოოდ მოსასპობად. აი რისთვის არის, რომ კითხვა: „სოციალური რეფორმა თუ რევოლიუცია“ იმ აზრით, როგორც ეს მიღებული აქვს ბერნშტეინს, წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიისათვის კითხვას: ყოფნა თუ არ ყოფნა. ამიტომაც ბერნშტეინთან და მის თანამოაზრეებთან კამათის დროს პარტიის ყოველ წევრს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ საკითხი სდგას არა ბრძოლის ამა თუ იმ ფორმის შესახებ, არა ამა თუ იმ **ტაქტიკის** შესახებ, არამედ თვით სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის არსებობის შესახებ.

მას, ვინც ბერნშტეინის თეორიას ზერელედ გადასინჯავს, ეს შეიძლება გადამეტებულად მოეჩვენოს. განა ბერნშტეინი არ ლაპარაკობს ყოველ ფეხის ნაბიჯზე სოციალ-დემოკრატიის და მის მიზნების შესახებ, განა ის მრავალჯერ არ იმეორებს გარკვეულად, რომ ისიც ისწრაფვის სოციალისტურ საბოლოო მიზნისაკენ, მხოლოდ სხვა ფორმით, და განა ის ხაზგასმით არ აღნიშნავს, რომ თითქმის სავსებით იზიარებს სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე პრაქტიკულ მოღვაწეობას? რასაკვირველია, ყოველივე ეს სწორია. მაგრამ სწორია აგრეთვე ისიც, რომ უკვე შორეულ წარსულიდან დაწყებული თეორიათა განვითარებაში და პოლიტიკაში ყოველი ახალი მიმართულება პირველ ხანებში ეყრდნობოდა ძველს, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც უკანასკნელი არსებითად ეწინააღმდეგებოდა ამ ახალ მიმართულებას. ის პირველ ხანებში სცდილობს შეეგუოს იმ ფორმებს, რომელიც მას დახვდა თავის აღმოცენების დროს, და მხოლოდ დროთა განმავლობაში ძველი გარსიდან თავს იჩენს ახალი ყლორტი, ახალი მიმართულება ჰპოვებს საკუთარ ფორმას და საკუთარ ენას.

მხოლოდ იმას, ვისაც სათანადოდ ვერ შეუფასებია მეცნიერულ სოციალიზმის სიძლიერე, შეუძლია იფიქროს, რომ ოპოზიცია მეცნიერული სოციალიზმის წინააღმდეგ დაიწყებს იმთავითვე თავისი შინაგანი შინაარსის ნათლად და მკაფიოდ განმარტვით უკანასკნელ წვრილმანებამდე, რომ ის აშკარად და პირდაპირ უარყოფს სოციალ-დემოკრატიის თეორიულ დასაბუთებას. ყველა, ვინც კი ჩვენს დროში მოწადინებულია შეინარჩუნოს სოციალისტის სახელი და თანაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონი გამოუცხადოს მარქსის მოძღვრებას, ამ მძლავრს პროდუქტს ჩვენი საუკუნის აზროვნებისა, ის იძულებულია დაიწყოს უნებლიე თაყვანისცემით ამ მოძღვრების წინაშე. მან პირველად ყოვლისა უნდა აღიაროს თავისი თავი ამ მოძღვრების მიმდევრად, ეძიოს თვით მასშივე დასაყრდენი წერტილი მასთან საბრძოლველად და ეს ბრძოლა მოგვაჩვენოს, როგორც მხოლოდ შემდეგი განვითარება მარქსის მოძღვრებისა. ამიტომაც საჭიროა გავაშიშვლოთ ბერნშტეინის თეორიის დედა-ძარღვი, რათა არ მოვსტყუვდეთ ამ გარეგან ფორმებით,—ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენს პარტიაში მყოფ სამრეწველო პროლეტარიატის ფართე მასებისთვის.

ყველაზე უფრო ტლანქი შეურაცყოფა და უსაფუძვლო ცილისწამება იქნებოდა მუშათა კლასის მიმართ იმის მტკიცება, თითქოს თეორეტიული კამათი მხოლოდ „აკადემიკოსთა“ საქმეს შეადგენდეს. ჯერ კიდევ ლასალს აქვს ნათქმი [1]): მხოლოდ მაშინ, როდესაც მეცნიერება და მუშები—ეს ერთი მეორის მოპირდაპირე პოლიუსები—შეუერთდებიან ერთმანეთს, ისინი გასრესენ ამ ძლევამოსილ შეერთებაში ყველა დაბრკოლებებს, რომელნიც დგანან კულტურის გზაზე.

მთელი სიძლიერე თანამედროვე მუშათა მოძრაობისა ემყარება თეორეტიულ შემეცნებას. მაგრამ ჩვენ მიერ დასმულ საკითხში ამგვარ შემეცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშებისათვის, რადგანაც აქ საკითხი ისმის თვით მათ შესახებ და მათი მონაწილეობის შესახებ მოძრაობაში და რადგანაც აქ თამაშობენ მათი ბედილბალით. ოპორტიუნისტული მიმართულება პარტიაში, თეორეტიულად ჩამოყალიბებული ბერნშტეინის მიერ, წარმოადგენს მეტს არაფერს, თუ არა შეუცნობელ მისწრაფებას, რომლის მიზანია უპირატესობის მინიჭება ჩვენს პარტიაში შემოსულ წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებისათვის, და ამ პარტიის პრაქტიკის და მიზნების მათ სასარგებლოდ გარდაქმნა. საკითხი სოციალურ რეფორმის და რევოლიუციის შესახებ, საბოლოო მიზნის და მოძრაობის შესახებ, შეადგენს, მეორე მხრივ, საკითხს **მუშათა მოძრაობისათვის წვრილ-ბურჟუაზიული თუ პროლეტარული ხასიათის მიცემის შესახებ**.

ამიტომაც პარტიის პროლეტარულ მასების ინტერესები ზედმიწევნით საჭიროებენ, რათა გულდასმით და ყოველ მხრივად განხილულ იქნას თეორეტიული კამათი თანამედროვე ოპორტიუნიზმთან. მანამდე, ვიდრე თეორეტიული შემეცნება დარჩება პარტიაში ერთი მუჭა „აკადემიკოსთა“ პრივილეგიათ, მის წინაშე მუდამ იქნება სა-

---

[1]) თავის სიტყვაში: „მეცნიერება და მუშები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშროება გზიდან აცდენისა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშაობა ,ლ-სის ფართე მასები თვითონ აიღებენ ხელში საიმედო მახვილს მეცნიერულ სოციალიზმისა, გაქრება ყოველი წვრილ-ბურჟუაზიული რყევა, ყველა ოპორტიუნისტული მიმართულებანი. მაშინ მოძრაობაც შეესდგება სწორ და ურყევ ნიადაგზე. „მასა იზამს ამას“.

როზა ლიუქსემბურგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი პირველი *)

1. ბერნშტეინის მეთოდი.

თუ დავუშვებთ, რომ თეორიები წარმოადგენენ გარე სამყაროს მოვლენათა ასახებას ადამიანის ტვინში, და შეეცდებით ამ დებულების გასინჯვას ბერნშტეინის ახალ თეორიის მაგალითზე, ჩვენ ადვილათ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ თეორიები ზოგჯერ არსებულ სინამდვილის საწინააღმდეგო ასახებასაც წარმოადგენენ. თეორია სოციალისტურ რეფორმათა გზით სოციალიზმის შემოღებისა შტუმ-პოსადოვსკის ხანაში; თეორია წარმოების პროცესზე პროფესიონალურ კავშირთა კონტროლის დეწესებისა—ინგლისის მანქანათა აღმშენებელ მუშათა დამარცხების შემდეგ; თეორია პარლამენტში სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის გაბატონებისა—საქსონიის კონსტიტუციის გადასინჯვის და რეიხსტაგში საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგ გალაშქრების შემდეგ. მაგრამ ბერნშტეინის მსჯელობათა დედა-ძარღვი, ჩვენის აზრით, მოიპოვება არა მის შეხედულებაში სოციალ-დემოკრატიის პარტიულ ამოცანების შესახებ. არამედ იმაში, რასაც ლაპარაკობს ის კაპიტალისტურ საზოგადოების ობიექტიურ განვითარების მსვლელობის შესახებ, რასთანაც, თავის თავად ცხადია, მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული ზემოაღნიშნული მისი შეხედულებანიც.

ბერნშტეინის აზრით, რაც უფრო და უფრო ვითარდება კაპიტალიზმი, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელად უნდა ჩაითვალოს მისი უეცარი რღვევა-დაცემა, ვინაიდან კაპიტალისტური სისტემა დღითი დღე იჩენს სულ უფრო და უფრო მეტ შეგუების უნარს, ხოლო წარმოებაში დიფერენციაცია გამუდმებით იზრდება. კაპიტალიზმის შეგუების უნარი გამოიხატება ბერნშტეინის აზრით ჯერ ერთი საყოველთაო კრიზისების გაქრობაში, რაიც გამოწვეულია კრედიტის გაფართოებით მესაკუთრეთა ორგანიზაციისათვის საჭირო მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესებით და აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის განვითარებით; მეორედ, საშუალო წოდების გამძლეობაში, რაიც შედეგია წარმოების დარგების დიფე-

*) კრიტიკა ბერნშტეინის წერილების: „სოციალიზმის პრობლემები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენციაციისა და პროლეტარიატის ფართე ფენების საშუალო წოდებაში გადასვლისა, და, ბოლოს, მესამედ, ეს შეგუების უნარი გამოიხატება პროფესიონალური ბრძოლის საშუალებით პროლეტარიატის მდგომარეობის ეკონომიურად და პოლიტიკურად გაუმჯობესებაში.

აქედან სოციალ-დემოკრატიისათვის გამომდინარეობს საერთო სახელმძღვანელო დებულება, რომ მისი მოღვაწეობა მიმართული უნდა იქნას არა პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობისაკენ სახელმწიფოში, არამედ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და სოციალიზმის დამყარებისაკენ არა სოციალური და პოლიტიკური რევოლიუციის საშუალებით, არამედ საზოგადოებრივი კონტროლის თანდათანობითი გაფართოვების და კოოპერატიული პრინციპის თანდათანობითი გატარების გზით.

თვით ბერნშტეინი არ ხედავს არაფერს ახალს თავის დებულებებში და იმაშიც კი დარწმუნებულია, რომ ისინი ეთანხმებიან როგორც მარქსის და ენგელსის ცალკე განმარტებებს, ისე სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობის საერთო მიმართულებას სულ უკანასკნელ დრომდე. მაგრამ, ჩვენის აზრით, საკმარისია უფრო საფუძვლიანი გაცნობა, მის შეხედულებათა არსებით მხარეებთან, რომ ადვილად დარწმუნდეთ, თუ რა რიგ შეურიგებლად ეწინააღმდეგებიან ისინი მეცნიერულ სოციალიზმის მთელ აზრთა მსვლელობას.

ბერნშტეინის რევიზიონიზმი რომ იმ დებულებით ამოიწურებოდეს, თითქოს კაპიტალისტურ განვითარების მსვლელობა უფრო ნელია, ვიდრე ეს საერთოდ მიაჩნიათ, მაშინ ეს მხოლოდ იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა საჭიროა გადაიდვას; აქედან კი პრაქტიკულად შესაძლებელი იქნებოდა, უკიდურეს შემთხვევაში, იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ბრძოლა უფრო ნელის ტემპით უნდა მიდიოდეს.

მაგრამ საქმე ამაში როდია. ბერნშტეინი სვამს საკითხს არა ტემპის შესახებ, არამედ თვით კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ტენდენციების შესახებ და ამასვე უკავშირებს სოციალისტურ წესწყობილებისაკენ გადასვლის საკითხს.

თუ სოციალისტურ თეორიაში აქამდე მიღებულია, რომ სოციალისტურ გადატრიალების გამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს საყოველთაო გამანადგურებელი კრიზისი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, ჩვენის აზრით, რომ არ არსებობს განსხვავება თეორიის საფუძვლებსა და მის გარეგან ფორმის შორის.

ეს თეორია გულისხმობს, რომ კაპიტალისტური წყობილება თავის თავად, საკუთარ წინააღმდეგობათა გამო, მოამზადებს თავის დამხობის მომენტს, როდესაც მისი არსებობა უკვე შეუძლებელი გახდება. თუ ეს მომენტი ჩვეულებრივათ წარმოუდგენიათ საყოველთაო გამანადგურებელ სამრეწველო კრიზისის სახით, ამისთვის, ჩვენის აზრით, მოიპოვება საკმაო საფუძვლები, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თვით სოციალიზმის დასაბუთებაში ის თამაშობს მეორეხარისხოვან როლს.

სოციალიზმის მეცნიერულ დასაბუთების საძირკველს წარმოადგენს კაპიტალისტურ განვითარების სამი ძირითადი ტენდენცია: პირველად ყოვლისა, კაპიტალისტურ მეურნეობის **ანარქია**, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება და შეუჩერებლივ დაღუპვისაკენ მიაქანებს ამ მეურნეობას, მეორედ, **საწარმოო პროცესის განსაზოგადოებრივების ზრდა**, რაიც ქმნის დადებით დასაყრდენ წერტილს სოციალისტურ წყობილების დამყარებისათვის, და, მესამედ, პროლეტარიატის **ძალა და კლასიური შეგნება**, რომელიც განუწყვეტლივ მატულობს და მომავალ გადატრიალების აქტიურ ფაქტორს წარმოადგენს.

მეცნიერულ სოციალიზმის ამ ძირითად საფუძველთაგან პირველს ბერნშტეინი უარყოფს. ის ამტკიცებს, რომ კაპიტალისტურ განვითარებას არ მივყეკვართ უეცარ ეკონომიურ დამხობისაკენ.

მაგრამ ამით ის უარყოფს არა მარტო კაპიტალისტურ წყობილების დაღუპვის განსაზღვრულ ფორმას, არამედ თვით შესაძლებლობას მის დაღუპვისა. ის გარკვეულად ამბობს: „როდესაც ლაპარაკობენ თანამედროვე საზოგადოების დამხობაზე, მხედველობაში აქვთ გაცილებით მეტი, ვიდრე საყოველთაო და წინანდელთან შედარებით უფრო ძლიერი სამრეწველო კრიზისი, სახელდობრ—კაპიტალისტური სისტემის სრული დაღუპვა, გამოწვეული თავისი საკუთარი წინააღმდეგობებით". და შემდეგ აცხადებს: „თანამედროვე წარმოების სისტემის დაახლოებით ერთდროული და სრული დაღუპვა საზოგადოების შემდგომ განვითარების პროცესში არა სულ უფრო, არამედ სულ ნაკლებ მოსალოდნელი ხდება, რადგანაც ეს განვითარება აძლიერებს ინდუსტრიის შეგუების უნარს და ამასთანავე ზრდის მის დიფერენციაციას"[1]).

მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისმება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რა მიზეზია და რა გზით მივაღწევთ ჩვენ საერთოდ ჩვენ მისწრაფებათა საბოლოო მიზანს? მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრი-

---

[1]) „Neue Zeit" 1897/98, № 18, 1.555.

სით, სოციალისტური გადატრიალების ისტორიული აუცილებლობა გამოიხატება უპირველესად ყოველისა კაპიტალისტური სისტემის ანარქიის გაძლიერებაში, რომელიც გამოუვალ ჩიხში აყენებს კაპიტალიზმს. მაგრამ თუ დავეთანხმებით ბერნშტეინს, რომ კაპიტალისტური განვითარება არ დგას თავის დაღუპვის გზაზე, მაშინ სოციალიზმი **აღარ წარმოადგენს ობიექტიურ აუცილებლობას**. მაშინ მის მეცნიერულ საძირკველში ძირითად ქვებიდან უნდა დავტოვოთ მხოლოთ ორი დანარჩენი პროდუქტი კაპიტალისტურ წყობილებისა: წარმოების განსაზოგადოებრივებული პროცესი და პროლეტარიატის კლასიური შეგნება. სწორედ ეს აქვს ბერნშტეინს მხედველობაში, როდესაც ამბობს: „სოციალისტური აზროვნება (დამხობის თეორიის უკუგდებით) სრულიად არაფერს კარგავს თავის დასაბუთებაში. მართლაც, რას წარმოადგენენ, ყურადღებით რომ ჩაუკვირდეთ, ყველა ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ფაქტორები წინანდელ კრიზისების გადასხვაფერების და გაქრობისა? ყველა ისინი ისეთი ფაქტებია, რომელნიც ერთდროულად წარმოადგენენ წინასწარ პირობას და ნაწილობრივ აგრეთვე გამოსავალ წერტილს წარმოების და გაცვლა-გამოცვლის განსაზოგადოებისათვის“ [1]).

მაგრამ საკმარისია ზერელე განხილვაც კი, რომ დამტკიცებულ იქნას ამ დასკვნის სიყალბე. რაში მდგომარეობს იმ მოვლენათა მნიშვნელობა, რომლებსაც ბერნშტეინი უწოდებს კაპიტალიზმის შეგუების საშუალებებს, სახელდობრ: კარტელების, კრედიტის, მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესების, მუშათა კლასის მდგომარეობის აწევის და სხვ. იმაში, რასაკვირველია, რომ ისინი აქარწყლებენ, ან, ყოველ შემთხვევაში, აჩლუნგებენ კაპიტალისტურ მეურნეობის შინაგან წინააღმდეგობებს, ხელს უშლიან მათ განვითარებას და გამწვავებას. ასე მაგალითად, კრიზისების გაქრობა მოასწავებს კაპიტალიზმის ნიადაგზე არსებულ წინააღმდეგობის მოსპობას წარმოების და გაცვლის შორის; მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც ასეთი, და ნაწილობრივ მისი გადასვლა საშუალო წოდებაში მოასწავებს შრომის და კაპიტალს შორის არსებულ წინააღმდეგობის დაჩლუნგებას. ამრიგად, თუ კარტელები, კრედიტი, პროფესიონალური კავშირები და სხ. აქარწყლებენ კაპიტალისტურ წინაღმდეგობებს და, მაშასადამე, იხსნიან კაპიტალისტურ სისტემას საბოლაო დაღუპვისაგან და შეინარჩუნებენ მას (სწორედ ამისთვის ეძახის ბერნშტეინი მათ „შეგუების საშუალებებს“) — როგორლა შეუძლია მათ წარმოადგენდენ იმავე

---

[1] „Neue Zeit“ 1897/98 № 18, S. 554; რუს. თარგმანი გვ. 217.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს „სოციალიზმის წინასწარ პირობებს და ნაწილობრივ მის „გა-მოსავალ წერტილსაც“? ცხადია, მხოლოდ იმ აზრით, რომ ისინი ხელს უწყობენ წარმოების საზოგადოებრივ ხასიათის უფრო ძკაფიო გამოაშკარავებას. მაგრამ რამდენადაც ისინი ინახავენ მის კაპიტალისტურ ფორმას, იმდენადვე ისინი ზიდმეტად ხდიან ამ განსაზოგადოებულ წარმოების სოციალურ ფორმებში გადასვლას, ამისათვის ისინი შეიძლება ჩაითვალონ სოციალისტურ წყობილების გამოსავალ პროდუქტებად და წინასწარ პირობებად მხოლოდ იდეურ და არა ისტორიულ მნიშვნელობით, ე. ი. ეს ისეთი მოვლენები არიან, რომელნიც, ჩვენ მიერ სოციალიზმზე შემუშავებულ წარმოდგენის მიხედვით, ახლო დგანან სოციალიზმთან, მაგრამ ფაქტიურად არა თუ არ შეუძლიათ სოციალისტური გადატრიალების მოხდენა, არამედ ზედმეტადაც კი ხდიან მას. ამრიგად სოციალიზმის მეცნიერულ დასაბუთებისათვის დაგვრჩენია მხოლოდ პროლეტარიატის კლასიური შეგნება. მაგრამ ესეც კი ამ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს არა სულიერ ასახებას კაპიტალიზმის სულ უფრო და უფრო გამწვავებულ წინააღმდეგობებისა და მისი მომავალი დაღუპვისა,—ეს უკანასკნელი ხომ თავიდგან აცდენილია შეგუების საშუალებათა მეოხებით,—არამედ მხოლოდ იდეალს, რომლის მიმზიდველობითი ძალა მოიპოვება საკუთრივ მისთვის მიწერილ სრულქმნაში.

ერთი სიტყვით, ამ გზით ჩვენ მივიღებთ სოციალისტური პროგრამის დასაბუთებას „წმინდა შემეცნების“ მეოხებით, ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იდეალისტურ დასაბუთებას, რომელშიაც უკუგდებულია ობიექტიური აუცილებლობა, ე. ი. დასაბუთება, დამყარებული თვით საზოგადოების მატერიალურ განვითარების მსვლელობაზე. ბერნშტეინის თეორია სდგას დილემის წინაშე: ან სოციალისტური გადატრიალება გამომდინარეობს კაპიტალისტური წყობილების ობიექტიურ წინააღმდეგობებისაგან, და მათი შედეგი უნდა იყოს მისი დამხობა ამა თუ იმ სახით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში „შეგუების საშუალებანი“ ვერაფერს შველიან და დამხობის თეორია სწორად უნდა ჩაითვალოს, ან „შეგუების საშუალებანი“ თავიდან გვაცილებენ კაპიტალისტურ სისტემის დამხობას, ხდიან კაპიტალიზმს არსებობისათვის გამოსადეგად და, მაშასადამე, აქარწყლებენ მის წინააღმდეგობებს; მაგრამ ასეთ შემთხვევაში **სოციალიზმი** ველარ ჩაითვლება ისტორიულ აუცილებლობად და წარმოადგენს ყველაფერს რაც გნებავთ, მხოლოდ არა საზოგადოების მატერიალურ განვითარების შედეგს. ამ დილემას მივყევართ მეორისაკენ: ან ბერნშტეინის შეხედულება კაპიტალისტურ განვითარების მსვლელობის შესახებ მართა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია, და ამ შემთხვევაში საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა უტოპიად იქცევა, ან სოციალიზმი არ არის უტოპია, მაგრამ მაშინ არ არის მართალი შეგუების საშუალებათა თეორია. That is the question—აი საკითხი.

2. კაპიტალიზმის შეგუება.

კაპიტალისტურ მეურნეობის შეგუების უმნიშვნელოვანეს საშუალებებს შეადგენენ, ბერნშტეინის აზრით, კრედიტი, გაუმჯობესებული მიმოსვლის საშუალებანი და მესაკუთრეთა ორგანიზაციები.

დავიწყოთ **კრედიტიდან**. კაპიტალისტურ სისტემაში ის ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მათგან, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, მდგომარეობს იმაში, რომ ის ხელს უწყობს საწარმოო ძალთა განვითარებას და აადვილებს აღებ-მიცემობას. იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოების იმანენტური ტენდენცია უსაზღვრო განვითარებისაკენ ფერხდება კერძო საკუთრების ჩარჩოებით, კერძო კაპიტალის განსაზღვრული ოდენობით, კრედიტი წარმოადგენს საშუალებას ამ დაბრკოლებათა კაპიტალისტურ დაძლევისათვის. ის მჭიდროდ აერთიანებს მრავალ კერძო კაპიტალებს (აქციონერული საზოგადოებანი) და იძლევა კაპიტალისტის განკარგულებაში სხვის კაპიტალს (სამრეწველო კრედიტი). მეორე მხრივ, ის, სავაჭრო კრედიტის სახით, აჩქარებს საქონელთა გაცვლას, ე. ი. აჩქარებს კაპიტალის დაბრუნებას წარმოებაში და, ბაშასადამე, მთელ სამრეწველო პროცესის მსვლელობას. ადვილი გასაგებია, თუ რა რიგ გავლენას ახდენს კრედიტის ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები კრიზისების წარმოშობაზე. თუ კრიზისები, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, წარმოიშობიან იმ წინააღმდეგობისაგან, რომელიც არსებობს წარმოების გაფართოების ტენდენციის და განსაზღვრულ მოხმარების შესაძლებლობის შორის, მაშინ, ზემოაღნიშნულის თანახმად, კრედიტი თითქოს საგანგებოდ შექმნილია იმისათვის, რომ რაც შეიძლება ხშირად გამოააშკარაოს ეს წინააღმდეგობა. პირველად ყოვლისა, ის არაჩვეულებრივად ადიდებს წარმოების გაფართოების შესაძლებლობას და განუწყვეტლივ ქმნის მასში შინაგან მისწრაფებას ბაზრის ფარგლების გადალახვისაკენ. მაგრამ ის ორ ფრონტზე მოქმედებს.

თუ კრედიტი, როგორც წარმოების პროცესის ფაქტორი, იწვევს გადაჭარბებულ წარმოებას, როგორც საქონლის ბრუნვის საშუალება, ის მით უფრო სასტიკად აზიანებს კრიზისის დროს მისივე მიერ

შექმნილ საწარმოო ძალებს. წარმოების შეფერხების პირველ ნიშნებისთანავე კრედიტი მცირდება, არ უწევს დახმარებას გაცვლას იქ, სადაც ეს სწორედ საჭიროა, ვერ ახდენს სათანადო გავლენას და უნაყოფოდ იქცევა იქ, სადაც ის ჯერ კიდევ მოქმედებს და ამრიგად ამცირებს კრიზისების დროს მოხმარების შესაძლებლობას მინიმალურ ოდენობამდე.

ამ ორ უმნიშვნელოვანეს შედეგების გარდა კრედიტი კიდევ სხვა მრავალ მხრივადაც ახდენს გავლენას კრიზისების წარმოშობაზე. ის წარმოადგენს არა მარტო ტეხნიკურ საშუალებას, რომელიც იძლევა კაპიტალისტის განკარგულებაში სხვის კაპიტალებს, არამედ იმავე დროს აქეზებს მას სხვისი საკუთრების გაბედულ და უზრუნველ მოხმარებისაკენ, მაშასადამე გზას უკაფავს აღვირ-ახსნილ სპეკულიაციას. როგორც ბრუნვის სახიფათო საშუალება, ის არა მარტო აღრმავებს კრიზისს, არამედ კიდევაც აადვილებს მის დაწყებას და გაფართოებას; მთელ ბრუნვას ის აქცევს მეტად რთულ და ხელოვნურ ოპერაციად, რომლის რეალურ საფუძველს შეადგენს მინიმალური რაოდენობა ლითონის ფულებისა, ისე რომ სრულიად უმნიშვნელო საბაბს შეუძლია შეიტანოს მასში შეფერხება.

ამ რიგად, კრედიტი სრულიად არ წარმოადგენს კრიზისების გაქრობას ან თუნდაც მხოლოდ მათი შემსუბუქების საშუალებას, არამედ, პირიქით, უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ და მძლავრ ფაქტორად კრიზისების შესაქმნელად. და სხვანაირად არც შეიძლება რომ ყოფილიყო. კრედიტის სპეციფიური ფუნქცია, საერთოდ რომ ვსთქვათ, მდგომარეობს იმაში, რათა დაუკარგონ ყველა კაპიტალისტურ ურთიერთობათ უკანასკნელი ნარჩენი სიმტკიცისა და შეიტანონ ყოველგან რაც შეიძლება მეტი ელასტიკობა, მისცენ ყველა კაპიტალისტურ პოტენციალურ ძალებს უაღრესად გაფართოების უნარი, მიმართებითი ხასიათი და მგრძნობიარობა. ცხადია, რომ ამას შეუძლია მხოლოდ გაამწვავოს და გააადვილოს კრიზისის აღმოცენება, რომელიც წარმოადგენს სხვა არაფერს, თუ არ პერიოდულ შეხლას კაპიტალისტური წარმოების ურთიერთ საწინააღმდეგო პოტენციალურ ძალებისა.

მაგრამ ამას მივყევართ ჩვენ იმავე დროს მეორე საკითხთან: როგორ არის საერთოდ შესაძლებელი, რომ კრედიტი გამოდგეს კაპიტალიზმის „შეგუების საშუალებათ“? რა მხრიდან და რა ფორმითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ ეს „შეგუება“ კრედიტის საშუალებით, ასეთი შეგუების არსება, ცხადია, შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ ერთ რასმეში: მისი მეოხებით უნდა ნელდებოდეს კაპიტალისტური წარმოების რომელიმე წინააღმდეგობითი ურთიერთობა, ისპობოდეს

ან ჩლუნგდებოდეს რომელიმე მის წინააღმდეგობათაგანი, რათა ამ გზით ერთ პუნქტში შეკუმშულ ძალებმა ჰპოვონ ფართე სარბიელი. მაგრამ თუ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს რაიმე საშუალება. რომელსაც შეუძლია უკიდურესობამდე მიიყვანოს ყველა მისი წინააღმდეგობანი, ეს სწორედ კრედიტია. ის აღრმავებს წარმოების და გაცვლის წესთა შორის არსებულ წინააღმდეგობას, რადგანაც სწევს წარმოებას უაღრეს დონემდე და თანაც უმნიშვნელო საბაბის გამო ახშობს გაცვლას. ის აღრმავებს წარმოების წესების და მითვისების წესების შორის არსებულ წინააღმდეგობას, რადგანაც აშორებს წარმოებას საკუთრებისაგან, აქცევს წარმოებაში დაბანდებულ კაპიტალს საზოგადოებრივ კაპიტალად, ხოლო მოგებას აძლევს კაპიტალზე წმინდა პროცენტის სახეს, ე.-ი. წმინდა კერძო საკუთრების სახეს. ის ამწვავებს წინააღმდეგობას **მფლობელობის ურთიერთობათა** და წარმოების შორის, რადგანაც მრავალ წვრილ კაპიტალისტთა ძალდატანებითი ექსპროპრიაციის გზით აგროვებს უდიდეს წარმოებითი ძალებს რამოდენიმე ადამიანთა ხელში. ის ამწვავებს წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ და კერძო ხასიათს შორის, რადგანაც აუცილებლად ხდის სახელმწიფოს ჩარევას წარმოებაში (საჟაქციო საზოგადოებანი).

ერთი სიტყვით, კრედიტში თავის გამოხატულებას ჰპოებს კაპიტალისტური ქვეყნის ყველა ძირითადი წინააღმდეგობანი, რომელნიც მასში მოყვანილია სრულ უაზრობამდე და ამით ნათელჰყოფენ კაპიტალისტურ საზოგადოებისათვის მთელ მის უკუღმართობას; კრედიტი აჩქარებს იმ ტემპს, რომლითაც ეს საზოგადოება მიეჭანება თავის საკუთარ დაღუპვისაკენ. ამრიგად, რაც შეეხება კრედიტს, უნდა ითქვას, რომ კაპიტალიზმს თავისი შეგუების მიზნისათვის უპირველესად ყოვლისა უნდა გაეუქმებინა კრედიტი, შეეწყვიტა მისი მოქმედება. თავისი ეხლანდელი სახით ის წარმოადგენს არა შეგუების საშუალებას, არამედ განადგურების საშუალებას, რომელიც იჩენს მეტად რევოლიუციონურ გავლენას. სწორედ კრედიტის ეს რევოლიუციონური, კაპიტალიზმის ჩარჩოების გამანადგურებელი ხასიათი იყო ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია რეფორმატორული გეგმები მკრთალი სოციალისტური ელფერით და, მარქსის გამოთქმით, გადააქცია კრედიტის უმთავრესი დამცველები ნახევრად მოციქულებად ან ნახევრად შარლატანებად.

ამდენადვე შეეფერება თავის დანიშნულებას კაპიტალისტური წარმოების მეორე „შეგუების საშუალება“ — **მესაკუთრეთა კავშირები**. ბერნშტეინის აზრით, მათ წარმოებაში წესრიგის შეტანის გზით

უნდა შესწყვიტონ ანარქია და თავიდან აგვაცილონ კრიზისები. ამის შესახებ, რასაკვირველია, შესაძლებელი იქნებოდა ლაპარაკი მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ კარტელებს, ტრესტებს და სხ. დაახლოებით მაინც ქონოდათ ტენდენცია გამხდარიყვნენ წარმოების საყოველთაო და გაბატონებულ ფორმად. მაგრამ ეს სრულიად ეწინააღმდეგება თვით კარტელების ბუნებას. საბოლაო ეკონომიური მიზანი მესაკუთრეთა საზოგადოებისა მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ დარგის შიგნით კონკურენციის მოსპობით გავლენა იქონიონ საქონლის ბაზრიდან მიღებულ მოგების საერთო მასის განაწილებაზე იმ მიზნით, რომ გაადიდონ ინდუსტრიის ამ დარგის წილი. მაგრამ ორგანიზაციას ძალუძს ასწიოს ერთი რომელიმე დარგის მოგების ნორმა მხოლოდ სხვა დარგების ანგარიშზე და სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ამისათვის არ შეუძლია გადაიქცეს საყოველთაოდ. გავრცელდება რა წარმოების ყველა უმნიშვნელოვანეს დარგებზე, ის თვითონ მოსპობს თავის გავლენას.

მაგრამ თავისი პრაქტიკული განხორციელების ფარგლებშიც მესაკუთრეთა ორგანიზაციები მოქმედებენ სრულიად საწინააღმდეგოდ იმისა, რაიც საჭიროდ უნდა ჩაითვალოს საწარმოო ანარქიის მოსასპობად. ზემოაღნიშნული მოგების ნორმის გადიდებას კარტელები შინაგან ბაზარზე აღწევენ ჩვეულებრივად იმით, რომ კაპიტალის დაბატებით ნაწილებს, რომელნიც არ შეიძლება მოხმარებულ იქნას შინაგან საჭიროებათათვის, ისინი ათავსებენ გასაზიდ საქონლის წარმოებაში და კმაყოფილდებიან გაცილებით უფრო დაბალ მოგების ნორმით. ამას შედეგად მოსდევს კონკურენციის გამწვავება საზღვარგარეთ, ანარქიის გაძლიერება მსოფლიო ბაზარზე, ე.-ი. სწორედ საწინააღმდეგო იმისა, რასაც ესწრაფოდენ. საამისო მაგალითს იძლევა თანამედროვე ურთიერთობანი საერთაშორისო შაქრის მრეწველობაში.

ბოლოს, მესაკუთრეთა კავშირები, მთლიანად აღებული, როგორც ერთ-ერთი ფორმა კაპიტალისტური წარმოებისა, უნდა ჩაითვალოს გარდამავალ საფეხურად, კაპიტალისტურ განვითარების განსაზღვრულ ფაზად. მართლაც, და კარტელები თავის თავად წარმოადგენენ კაპიტალისტურ სისტემის განსაზღვრულ საშუალებას, რომლის მიზანია წარმოების ცალკე დარგებში მოგების ნორმის საბედისწერო დაცემის შეჩერება. რა მეთოდს მიმართავენ კარტელები ამ მიზნით? არსებითად ეს მეთოდი მდგომარეობს დაფიქსირებულ კაპიტალის ერთი ნაწილის მოუხმარებლობაში, ე. ი. ეს არის იგივე მეთოდი, რომელსაც სხვა ფორმით მიმართავენ კრიზისების დროს. მაგრამ ასეთი წამა-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ძალზე ჩამოგავს თვით ავადმყოფობას და ის გამოსადეგია მხოლოდ განსაზღვრულ დრომდე, როგორც უმცირესი ბოროტება. როგორც კი ბაზარზე საქონლის გასაღება შემცირებას იწყებს, — იმის უარყოფა კი არ შეიძლება, რომ ასეთი მომენტი ადრე თუ გვიან დადგება, — იძულებით მოუხმარებელ კაპიტალის ნაწილი იმდენად გაიზრდება, რომ წამალი თვით გადაიქცევა ავადმყოფობად, კაპიტალი, უკვე საგრძნობლად განსაზოგადოებული ორგანიზაციის მეოხებით, ხელახლა გადაიქცევა კერძო კაპიტალად. ვინაიდან ბაზარზე ადგილის დაკავების შესაძლებლობა სულ უფრო და უფრო კლებულობს, კაპიტალის კერძო ნაწილი ამჯობინებს ეძიოს ბედი თავისი ინიციატივით და პასუხისმგებლობით. ასეთ შემთხვევებში ორგანიზაციები უნდა გასწევენ საპნის ბურთივით, და ხელახლა დაუთმონ ადგილი თავისუფალ კონკურენციას, მაგრამ უფრო გაძლიერებულ ფორმაში.

ამრიგად, კარტელები, ისევე როგორც კრედიტი, უნდა ჩაითვალონ საერთოდ განვითარების განსაზღვრულ ფაზებად, რომელნიც, ბოლოს და ბოლოს, კიდევ უფრო აძლიერებენ კაპიტალისტური ქვეყნის ანარქიას, ანვითარებენ და ნათელ გამოხატულებას აძლევენ ყველა მათ შინაგან წინააღმდეგობებს. ისინი ამწვავებენ წინააღმდეგობას წარმოების და გაცვლის წესებს შორის, რადგანაც უკიდურესობამდე აღვივებენ ბრძოლას მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. შემდეგ ისინი ამწვავებენ წინააღმდეგობას წარმოების და მითვისების შორის, რადგანაც უპირდაპირებენ მუშათა კლასს შეკავშირებულ კაპიტალის ძალას, რაიც წარმოადგენს ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას შრომისა და კაპიტალის დაპირისპირებისა.

ბოლოს, ისინი აღრმავებენ წინააღმდეგობას კაპიტალისტური წარმოების საერთაშორისო ხასიათსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოს ნაციონალურ ხასიათს შორის, რადგანაც მათ ყოველთვის თან სდევს საერთო საბაჟო ომი, რაიც უკიდურესად აძლიერებს ცალკე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთ ანტაგონიზმს. ამას ზედ ერთვის აგრეთვე პირდაპირ და უალრესად რევოლიუციონური გავლენა, რომელსაც ახდენენ კარტელები წარმოების კონცენტრაციაზე, ტეხნიკურ გაუმჯობესებაზე და სხ.

ამრიგად თავის საერთო მნიშვნელობით კაპიტალისტურ წარმოებისათვის კარტელები არა თუ არ წარმოადგენენ „შეგუების საშუალებას“, რომელიც ანელებს მის წინააღმდეგობებს, არამედ, პირიქით, ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ საშუალებას, შექმნილს კაპიტალისტური წარმოების მიერ იმ მიზნით, რომ გააძლიეროს მისი თანდა-

ყოლილი ანარქია, გამოამჟღავნოს მასში ჩასახული წინააღმდეგობანი და დააჩქაროს საკუთარი დაღუპვა.

მაგრამ თუ კრედიტი, კარტელები და ამგვარი საშუალებანი ვერ სწყვეტენ კაპიტალისტური წარმოების ანარქიას, როგორ ღა მოხდა ის, რომ ჩვენ ორ ათეულ წლის განმავლობაში არ განგვიცდია საყოველთაო სამრეწველო კრიზისები? განა ეს იმის მომასწავებელი არ არის, რომ კაპიტალისტური სისტემა, თავისი არსებით მაინც, მართლადაც „შეეგუა“ საზოგადოების მოთხოვნილებებს და ამით გააბათილა მარქსის ანალიზი? ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ ეხლანდელი სიმშვიდე მსოფლიო ბაზარზე აიხსნება სხვა მიზეზებით.

ყველა ჩვენს დრომდე მომხდარ დიდ და პერიოდულ კრიზისებს ჩვეულებრივად სთვლიან კაპიტალიზმის იმ მოხუცებულობის კრიზისებად, რომელიც აგვიწერა მარქსმა თავის ანალიზში. სამრეწველო ციკლის დაახლოვებით ათ წლობითი პერიოდობა მიაჩნდათ ამ სქემის საუკეთესო გამართლებად. მაგრამ, ჩვენის აზრით, ასეთი შეხედულება გაუგებრობაზეა აღმოცენებული. თუ ჩვენ ყველა აქამდე მომხდარ დიდ საერთაშორისო კრიზისების ცალკე მიზეზებს უკეთ ჩაუკვირდებით, უსათუოდ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ისინი გამოხატავდენ არა კაპიტალისტური წარმოების მოხუცებულობის სისუსტეს, არამედ უფრო მის სიყრმეს. საკმარისია სულ ცოტა დავფიქრდეთ და ჩვენ დაუყოვნებლივ დავრწმუნდებით, რომ 1825, 1836, 1847 წლებში კაპიტალიზმს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გამოეწვია პერიოდული კრიზისი, რომელიც მაჩვენებელი იქნებოდა მისი სრული სიმწიფის და ჩაითვლებოდა შედეგად საწარმოო ძალთა არსებულ ბაზრის ჩარჩოებთან შეტაკებისა, როგორც ეს აწერილია მარქსის სქემაში. არ შეეძლო იმიტომ, რომ კაპიტალიზმი იმ დროს უმეტეს ქვეყნებში ჯერ კიდევ აკვანში იყო. მართლადაც 1825 წლის კრიზისი შედეგი იყო უამრავ ძირითადი კაპიტალის დახარჯვისა გზების გაყვანის, არხების და გაზის ქარხნების მოწყობის მიზნით, რასაც, ისევე როგორც თვით კრიზისს ადგილი ქონდა ინგლისში წინამორბედ ათეულ წლის განმავლობაში. შემდეგი კრიზისი 1836—1839 წლებში სწორედ ისევე გამოწვეული იყო კოლოსალურ გრიუნდერობით ახალ ტრანსპორტის საშუალებათა შექმნის სფეროში. 1847 წლის კრიზისი, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, იყო შედეგი გაფაციცებულ სარკინისგზო აღმშენებლობისა ინგლისში (1844 წლიდან 1847 წლამდე, ე. ი. მხოლოდ სამი წლის განმავლობაში, პარლამენტის მიერ ახალ რკინის გზათა ასაშენებლად დარიგებულ კონცესიების ღირებულება უდრიდა დაახლოვებით $1^1/_4$ მილიარდ ტალერს!). სამივე შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში, მაშასადამე, კრიზისები გამოწვეულნი ყოფილან სოციალურ მეურნეობის შექმნის სხვა და სხვა ფორმებით და კაპიტალისტურ განვითარებისათვის ახალი საძირკვლების ჩაყრით. 1857 წლის კრიზისი გამოწვეული იყო ევროპიულ ინდუსტრიისათვის ამერიკაში და ავსტრალიაში ოქროს მადნების აღმოჩენის გამო მოულოდნელად ახალი ბაზრების გახსნით; საფრანგეთში, უმთავრესად, სარკინისგზო აღმშენებლობით, რაშიაც ის უკან არ ჩამოუვარდებოდა ინგლისს (1852 წლიდან 1856 წლამდე საფრანგეთში აშენებულ რკინის გზების ღირებულება უდრიდა $1^1/_4$-მილიარდ ფრანკს). ბოლოს უდავოა ისიც, რომ 1873 წლის უდიდესი კრიზისი პირდაპირი შედეგი იყო გერმანიაში და ავსტრიაში მსხვილი მრეწველობის შექმნის და მისი პირველი ენერგიული გამოლაშქრების 1866 და 1871 წლების პოლიტიკურ ამბების შემდეგ.

ამრიგად აქამდე სამრეწველო კრიზისების მიზეზად ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს კაპიტალისტური წარმოების მოულოდნელი **გაფართოვება**, და არა **შევიწროვება** ან დაკნინება. ამიტომ აქამდე მომხდარ საერთაშორისო სამრეწველო კრიზისების ათწლიანი პერიოდობა წარმოადგენს გარეგან, შემთხვევით მოვლენას. მარქსის სქემა კრიზისების წარმოშობისა, იმ სახით, როგორც ის აწერილია ენგელსის მიერ „ანტიდიურინგში“ და მარქსის მიერ „კაპიტალის“ მე-III ტომში, მხოლოდ იმდენად შეიძლება გამოვიყენოთ წარსულ კრიზისების ასახსნელად, რამდენადაც ის გვიაშკარავებს საერთოდ ყოველგვარ კრიზისის **შინაგან მექანიზმს** და ღრმად დაფარულ საერთო მიზეზებს. მაგრამ მთლიანად აღებული ეს სქემა უფრო გამოდგება სრულიად განვითარებულ კაპიტალისტურ მეურნეობისათვის იქ, სადაც მსოფლიო ბაზარი უკვე წინასწარ მოცემულად იგულისხმება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება, რომ კრიზისები, როგორც ეს დაშვებულია მარქსის ანალიზში, განმეორდნენ მექანიკურად, წარმოების და გაცვლის პროცესების შინაგანი მოძრაობის ძალით და არ განიცდიდნენ გარეშე მიზეზის გავლენას, გამოწვეულს წარმოების ან გაცვლის ურთიერთობათა მოულოდნელ შეფერხებით. თუ ჩვენ თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობას წარმოვიდგენთ, აუცილებლად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ შევსულვართ იმ სრულ კაპიტალისტურ სიმწიფის ხანაში, რომელიც მარქსის სქემის მიხედვით კრიზისების **პერიოდობის** პირობად უნდა ჩაითვალოს. მსოფლიო ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. გერმანიამ და ავსტრიამ მხოლოდ მე-70-ან წლებში მიაღწიეს მსხვილი წარმოების ფაზას, რუსეთში ეს მოხდა მხოლოდ 80-იან

წლებში, საფრანგეთი ჯერ ხნობითაც უმეტეს ნაწილად წვრილ-ხელოსნურ ქვეყანას წარმოადგენს, ბალკანეთის სახელმწიფოებში ჯერ კიდევ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნატურალურ მეურნეობის ფორმებს, ხოლო ამერიკა, ავსტრალია და აფრიკა მხოლოდ 80-ან წლებში დაუკავშირდა სამრეწველო ევროპას. და თუ ჩვენ ერთის მხრივ განვლილი გვაქვს კაპიტალისტური მეურნეობის ეს მოულოდნელი, ნახტომისებური გაფართოვების შემთხვევები, რომელნიც 70-ან წლებამდე პერიოდიულად ხდებოდენ და წარმოადგენდნენ ყველა წარსულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიყრმის კრიზისების მიზეზს, სამაგიეროდ, მეორე მხრივ, ჩვენ არ მიგვიღწევია მსოფლიო ბაზრის განვითარების და დაშრეტის იმ საფეხურამდე, რომელმაც უნდა გამოიწვიოს საბედისწერო და პერიოდული შეხლა საწარმოო ძალთა და ბაზრის საზღვრების შორის, ე. ი. კაპიტალიზმის ნამდვილი მოხუცებულობის კრიზისები. ჩვენ შესული ვართ იმ ხანაში, როდესაც კრიზისები აღარ წარმოადგენენ შედეგს კაპიტალიზმის აღორძინებისა, მაგრამ ჯერხნობით არც მის დაღუპვის შედეგად ჩაითვლებიან. ეს გარდამავალი ხანა ხასიათდება ასეთივე ორ უკანასკნელ ათეულ წლებში გამეფებულ მყარ, მაგრამ საერთოდ სუსტ-მაჯიან სამრეწველო ცხოვრებით, რომელშიაც აღორძინების მოკლე ხანასთან სდევს ხანგრძლივი დაკნინების ხანა.

მაგრამ ჩვენ შეუჩერებლივ ვუახლოვდებით საბედისწერო ჟამს. კაპიტალიზმის მიწურულის კრიზისების ხანას. ამის მაჩვენებელია სწორედ ის მოვლენები, რომლებმაც ჩვენს დროში კრიზისების გაქრობა გამოიწვიეს.

თუ კი მსოფლიო ბაზარმა მიაღწია განსაზღვრულ ფარგლებს და ის მეტი არ შეიძლება გადიდებულ იქნას მოულოდნელი გაფართოვებით, ხოლო შრომის ნაყოფიერება განუწყვეტლივ იზრდება, ადრე თუ გვიან უნდა დაიწყოს შეხლა საწარმოო ძალთა და გაცვლის საზღვრების შორის,—შეხლა, რომელიც განმეორების გამო მიიღებს სულ უფრო და უფრო უხეშ და სტიქიურ ხასიათს. და თუ არსებობენ რაიმე სპეციალური საშუალებანი, რომელთაც ძალუძთ მოგვიახლოვონ ეს ხანა, შეუძლიათ სწრაფად შექმნან და ისევე სწრაფად დაშრიტონ მსოფლიო ბაზარი, მათ რიცხვს ეკუთვნიან სწორედ ის მოვლენანი—კრედიტი და მესაკუთრეთა ორგანიზაციები, რომლებზედაც, როგორც „შეუგების საშუალებებზე", მიგვითითებს ბერნშტეინი. იმის დაშვება, რომ კაპიტალისტური წარმოება შესაძლებელია „შეეგუოს" გაცვლას, მოითხოვს რომელიმე ერთს: ან მსოფლიო ბაზარი უსაზღვროდ, და დაუბოლოვებლად ვითარდება, ან, პირიქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო ძალთა ზრდა შეზღუდულია იმ რიგად, რომ მათ არ შეუძლიათ გადააჭარბონ ბაზრის ფარგლებს. პირველი ფიზიკურად შეუძლებელია, მეორეს დაშვებას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე წარმოების ყველა დარგებში ხდება ტეხნიკური გადატრიალება, ყოველ დღე იღვიძებს ახალი საწარმოო ძალები.

ბერნშტეინის აზრით, კიდევ ერთი მოვლენა ეწინააღმდეგება აქამდე მიღებულ კაპიტალისტურ საქმეთა მსვლელობას: საშუალო საწარმოო დაწესებულებათა „თითქმის შეუდრეკელი ფალანგა", რომელზედაც მიგვითითებს ის. მისი აზრით, ეს იმას ამტკიცებს, რომ მსხვილ წარმოების განვითარება არ ახდენს ისეთს რევოლიუციონურ გავლენას და არ უწყობს იმდენად ხელს კონცენტრაციას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო „დამხობის თეორიის" მიხედვით. მაგრამ აქაც ის ხელახლა თავისი გაუგებრობის მსხვერპლია. სრულიად შემცდარი იქნებოდა მსხვილ მრეწველობის განვითარების იმ აზრით გაგება, თითქოს ამ განვითარებასთან ერთად ყველა საშუალო საწარმოო დაწესებულებანი ერთი მეორეზე უნდა მოისპონ სამუდამოდ.

კაპიტალისტურ განვითარების საერთო მსვლელობაში სწორედ წვრილი კაპიტალები თამაშობენ ტეხნიკურ რევოლიუციის ფაქტორების როლს იმდენად, რამდენადაც ჯერ-ერთი ძველ, მტკიცედ ჩამოყალიბებულ დარგებში ახალი მეთოდების შემოღება ამ წვრილ კაპიტალის სფეროში ხდება და, მეორედ, რამდენადაც სწორედ აქავე იქმნება მრეწველობის ახალი დარგები, რომლის ექსპლოატაცია მსხვილ კაპიტალს ჯერ არ დაუწყია. სრულიად ყალბი იქნებოდა ის შეხედულება, თითქოს კაპიტალისტურ საშუალო საწარმოო დაწესებულებათა განვითარება მიდის პირდაპირი ხაზით თანდათანობითი გაქრობისაკენ. ფაქტიურად განვითარების მსვლელობა აქაც დიალექტიურია და განუწყვეტლივ წინააღმდეგობათა შორის მოძრაობს. კაპიტალისტური საშუალო წოდება, ისევე როგორც მუშათა კლასი, საკუთარ იმყოფება ორ საწინააღმდეგო ტენდენციათა გავლენის ქვეშ,—ამაღლების და დაკნინების დამაკნინებელი ტენდენცია აქ მდგომარეობს წარმოების მასშტაბის განუწყვეტლივ ზრდაში, რაიც პერიოდულად წინ უსწრებს საშუალო კაპიტალების საწარმოო ძალებს და ამ რიგად დევნის მათ ბრძოლის ველიდან. ამამაღლებელი ტენდენცია გამოიხატება ერთი მხრივ იმაში, რომ არსებული კაპიტალები პერიოდულად კარგავენ თავის ფასს, რაიც რამდენიმე ხნით ხელახლა ამცირებს წარმოების მასშტაბს კაპიტალის აუცილებელ მინიმუმის ღირებულებამდე, ხოლო მეორე მხრივ იმაში, რომ კაპიტალისტური წარმოება ვრცელდება ახალ-

ეროვნული

სფეროებში. საშუალო წარმოებათა ბრძოლა მსხვილ კაპიტალთან, რომ-
დი უნდა წარმოვიდგინოთ უწესო ბრძოლის მსგავსად, რომელშიაც
უფრო სუსტ მოწინააღმდეგეს ჯარი პროგრესიულად კლებულობს თა-
ვისი რიცხვით, არამედ როგორც წვრილ კაპიტალების პერიოდული
ცელვა,. რომელნიც ხელახლა ამოიყრებიან სწრაფად, რათა ისევ მოხ-
დენ მსხვილი მრეწველობის ცელ ქვეშ. ამ ორ ტენდენციათა შორის,
რომელნიც ბურთივით თამაშობენ კაპიტალისტური საშუალო წოდე-
ბით, ბოლოს და ბოლოს—მუშათა კლასის განვითარების საწინააღმ-
დეგოთ—იმარჯვებს მისი **დამაკნინებელი** ტენდენცია. მაგრამ ეს სრუ-
ლიად არ უნდა მოასწავებდეს აუცილებლად საშუალო წარმოებათა
აბსოლიუტური რიცხვის შემცირებას, არამედ გამოიხატება, ჯერ ერ-
თი, ძველ დარგებში წარმოებისათვის საჭირო კაპიტალის მინიმუმის
თანდათანობით გადიდებაში, და, მეორედ, იმ დროის თანდათანობით
შემცირებაში, რომლის განმავლობაში წვრილი კაპიტალები დამოუ-
კიდებლივ ეწევიან წარმოების ახალი დარგების ექსპლოატაციას. აი
რისთვის არის, რომ **ინდივიდუალური** წვრილი კაპიტალის არსებობა
სულ უფრო და უფრო ხანმოკლე ხდება, სულ უფრო და უფრო სწრა-
ფად იცვლება წარმოების მეთოდები და მისი გამოყენების სახეები,
ხოლო მთელ კლასისათვის აქედან გამომდინარეობს უფრო დაჩქარე-
ბული სოციალური ნივთიერებათა გაცვლა.

უკანასკნელ გარემოებას მშვენივრად იცნობს ბერნშტეინი, და
ის კიდეევაც ადასტურებს მას. მაგრამ ის ამასთანავე, ალბად, ივიწ-
ყებს, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს თვით საშუალო წარმოებათა განვი-
თარების კაპიტალისტურ კანონთან. თუ წვრილი კაპიტალები წარ-
მოადგენენ მოწინავე მებრძოლთ ტეხნიკურ პროგრესისათვის, და თუ
პროგრესი ტეხნიკის სფეროში შეადგენს კაპიტალისტური მეურნეო-
ბის სასიცოცხლო ნერვს, მაშინ, ცხადია, წვრილი კაპიტალები უნდა
ჩაითვალონ განუშორებელ თანმხლებლებად კაპიტალისტურ განვითა-
რების და ისინი შეიძლება გაქრენ მხოლოდ ამ უკანასკნელთან ერ-
თად. საშუალო წარმოებათა თანდათანობითი გაქრობა, აბსოლიუტუ-
რი ჯამის სწრაფი დაპატარავების სახით, რაიც მხედველობაში აქვს
ბერნშტეინს, მაჩვენებელი იქნებოდა არა კაპიტალიზმის განვითარე-
ბის რევოლიუციონური მსვლელობისა, როგორც ეს მიაჩნია მას, არა-
მედ, პირიქით, კაპიტალიზმის განვითარების შეფერხება-მოდუნებისა.
„მოგების ნორმას, ე.—ი. კაპიტალის მიმართებითი ზრდას, მნიშვ-
ნელობა აქვს პირველად ყოველისა კაპიტალის ყველა ახალ, დამოუ-
კიდებლად შეჯგუფებულ შტოებისათვის. და როგორც კი კაპიტალის
შექმნა გახდებოდა მხოლოდ უკვე არსებულ მსხვილ. კაპიტალთა საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ... წარმოების მაცოცხლებელი ძალა მყისვე გაქრებოდა, ის მიეცემოდა ძილს [1])".

ამ რიგად შეგუების საშუალებანი, რომლებზედაც მოგვითხრობს ბერნშტეინი, უსუსურნი აღმოჩდნენ, და ის მოვლენები, რომლებსაც ის სთვლის შეგუების სიმპტომებად, ახსნილ უნდა იქნან სულ სხვა-მიზეზებით.

3. სოციალიზმის განხორციელება სოციალურ რეფორმათა გზით.

ბერნშტეინი უარყოფს „კაპიტალიზმის დამხობის თეორიას", როგორც ისტორიულ გზას სოციალისტურ საზოგადოების განსახორციელებლად. როგორი ღა არის ის გზა, რომელსაც, „კაპიტალიზმის შეგუების თეორიის" თვალსაზრისით, მივყევართ სოციალიზმისკენ? ამ საკითხის შესახებ ბერნშტეინს მოეპოვება მხოლოდ ბუნდოვანი შენიშვნები, ხოლი კონრად შმიდტი შეეცადა მიეცა ამაზე უფრო დაწვრილებითი პასუხი, რომელიც შეეფერებოდა ბერნშტეინის თეორიას [2]). მისი აზრით, „პროფესიონალური ბრძოლა და პოლიტიკური ბრძოლა სოციალურ რეფორმებისათვის სულ უფრო და უფრო აძლიერებენ საზოგადოების კონტროლს წარმოების პირობებზე" და კანონმდებლობის საშუალებით „კაპიტალის მესაკუთრის უფლებების შეზღუდვის გზით სულ უფრო და უფრო უახლოვებენ მის ფუნქციას ადმინისტრატორის როლს", ვიდრე, დაბოლოს, „წარმოების ხელმძღვანელობა და მართვა არ ჩამოერთმევა შევიწროებულ კაპიტალისტს, რომლისთვისაც აშკარა გახდება, რომ მისი საკუთრება დღითი დღე კარგავს მისთვის მთელ თავის ღირებულებას"; ამ გზით საბოლოოდ შემოღებულ იქნება საზოგადოებრივი წარმოება.

ამრიგად, პროფესიონალური კავშირები, სოციალური რეფორმები და, ბერნშტეინის აზრით, მასთან ერთად სახელმწიფოს პოლიტიკური დემოკრატიზაცია — აი სოციალიზმის თანდათანობითი განხორციელების საშუალებანი.

---

[1]) Marx, „Das Kapital", 3 Band, 1, S. 241; რუსული თარგმანი., С.-Пб., 1896, стр. 202.

[2]) „Vorwärts" 1898 წლის 20 თებერვლის. „ლიტერატურული მიმოხილვა". ჩვენ მით უმეტეს მიგვაჩნია შესაძლებლად განვიხილოთ კონრად შმიდტის შეხედულებანი ბერნშტეინის შეხედულებებთან ერთად, რომ უკანასკნელს ერთი სიტყვითაც არ გაულაშქრია თავის შეხედულებათა კომენტარიების წინააღმდეგ, რომელნიც დაიბეჭდა „Vorwärts"-ში.

ეროვნული

დავიწყოთ პროფესიონალურ კავშირებიდან. მათი უმთავრესი ფუნქცია—და ეს ყველაზე უკეთ შვიდი წლის წინად თვით ბერნშტეინმა დაამტკიცა „Neue Zeit"-ში—მდგომარეობს იმაში, რომ მუშებისათვის ისინი წარმოადგენენ საშუალებას, რომლითაც ისინი სცდილობენ გაატარონ ცხოვრებაში სამუშაო ხელფასის კაპიტალისტური კანონი, ე.-ი. გაყიდონ სამუშაო ძალა არსებულ საბაზრო ფასებში. პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის მდგომარეობს იმაში, რომ ისინი შეძლებას აძლევენ მას გამოიყენოს თავისი ინტერესების მიხედვით ყოველივე ცალკე მომენტის კონიუნქტურა, ე.-ი., ერთი მხრივ, სამუშაო ძალის მოთხოვნილება, რაიც დამოკიდებულია წარმოების მდგომარეობაზე, მეორე მხრივ, სამუშაო ძალის მიწოდება, რაიც პროლეტარიზაციის და ბუნებრივ გამრავლების შედეგია, და, ბოლოს, შრომის ნაყოფიერების ესა თუ ის დონე —ყოველივე ეს სდგას პროფესიონალურ კავშირთა გავლენის გარეშე. ამიტომაც მათ არ ძალუძთ მოსპონ სამუშაო ხელფასის კანონი; უკეთეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ ჩააყენონ კაპიტალისტური ექსპლოატაცია ამა თუ იმ მომენტისათვის „ნორმალურ" საზღვრებში, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოახერხებენ მის თუნდაც თანდათანობით მოსპობას.

კონრად შმიდტი თანამედროვე პროფესიონალურ მოძრაობაში ხედავს, რასაკვირველია, სუსტ დაწყებითი სტადიას და მოელის, რომ მომავალში პროფესიონალური ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას მოიპოვებს თვით წარმოების ხელმძღვანელობაზე. მაგრამ წარმოების ხელმძღვანელობა შეიძლება გაგებულ იქნას ორნაირად: ან როგორც წარმოების პროცესის ტეხნიკურ მხარეში ჩარევა, ან როგორც თვით წარმოების რაოდენობის განსაზღვრა. როგორი ხასიათის უნდა იყოს ამ ორივე შემთხვევაში პროფესიონალური კავშირების გავლენა? ცხადია, რომ წარმოების ტეხნიკის მიმართ ცალკე კაპიტალისტის ინტერესი სავსებით ეთანხმება კაპიტალისტურ მეურნეობის პროგრესს და განვითარებას. საკუთარი ინტერესი აიძულებს მას შემოიღოს ტეხნიკური გაუმჯობესება. ცალკე მუშის მდგომარეობა ამ საკითხის მიმართ, პირიქით, სრულიად საწინააღმდეგოა: ყოველი ტეხნიკური გადატრიალება ეწინააღმდეგება მუშათა ინტერესებს, რომელთაც მასთან პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ, და უშუალოდ აუარესებს მათ მდგომარეობას სამუშაო ძალის გაიაფებით. და რამდენადაც პროფესიონალურ კავშირს შეუძლია წარმოების ტეხნიკურ მხარეში ჩარევა, ცხადია, მან უნდა იმოქმედოს უშუალოდ დაზიანებულ ცალკე მუშათა ჯგუფების სასარგებლოდ, ე.-ი. წინააღმდეგობა გაუწიოს გაუმჯობესებას. მაგრამ

ასეთ შემთხვევაში ის მოქმედობს არა საერთოდ მთელი მუშათა კლასის ინტერესების მიხედვით, არა მის განთავისუფლების მიზნით, რადგანაც ეს ინტერესები ეთანხმებიან ტეხნიკურ პროგრესს, ანუ, სხვაგვარად რომ ვსთქვათ, ცალკე კაპიტალისტების ინტერესებს; და, მაშასადამე, პროფესიონალური კავშირი, პირიქით, რეაქციას უწყობს ხელს. მართლადაც, წარმოების ტეხნიკურ პროცესში ჩარევის მაგალითებს ჩვენ ვხვდებით არა პროფესიონალური მოძრაობის მომავალში, სადაც მას ეძებს კონრად შმიდტი, არამედ წარსულში. ისინი წარმოადგენენ ინგლისის ტრედ-იუნიონიზმის ადრინდელ სტადიის დამახასიათებელ ნიშანს (60-ან წლებამდე), როდესაც ეს მოძრაობა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო საშუალო საუკუნეების ამქრულ ტრადიციებიდან და, რაც მეტად დამახასიათებელია, იცავდა ძველ „კეთილშეძენილ უფლებას პატიოსან სამუშაოზე“[1]). პროფესიონალური კავშირების ჩარევა წარმოების ხელმძღვანელობაში მისი რაოდენობის და საქონლის ფასის განსაზღვრის სახით, წარმოადგენს, პირიქით, უახლოეს ხანის მოვლენას. მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში—და ისევ ისე მხოლოდ ინგლისში—ვხვდებით ჩვენ ასეთი ჩარევის მაგალითებს[2]); მაგრამ წარმოებაში ამ სახის ჩარევაც თავისი ხასიათით და ტენდენციებით მეტად ჩამოგავს პირველს. მართლადაც რაში უნდა მდგომარეობდეს პროფესიონალური კავშირების აქტიური მონაწილეობა წარმოების რაოდენობის და საქონლის ფასის განსაზღვრაში? მუშების და მესაკუთრეების კავშირში მომხმარებელის წინააღმდეგ, მესაკუთრეთა ურთიერთ კონკურენციის წინააღმდეგ იძულებითი ზომების მიღებაში, რომელნიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან თვით მესაკუთრეთა კავშირების მეთოდებს. არსებითად ეს უკვე აღარ არის ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის, არამედ სოლიდარული ბრძოლა კაპიტალისა და სამუშაო ძალის მომხმარებელი საზოგადოების წინააღმდეგ. თავისი სოციალური ხასიათით ეს რეაქციონური ზომაა, რომელიც უკვე მარტო იმისთვის არ შეიძლება ჩაითვალოს პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლის საშუალებად, რომ სრულიად ეწინააღმდეგება კლასიურ ბრძოლის მეთოდებს. თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით ეს უტოპიაა, რომელიც, როგორც ეს ადვილად გასაგებია, ვერასოდეს ვერ გავრცელდება მრეწველობის უფრო მნიშვნელოვან და მსოფლიო ბაზრისათვის მწარმოებელ დარგებზე.

---

[1]) Webb, „Theorie und Praxis der Gewerkschaften“. 2, B. S. 100 (ვებბი, „ტრედ-იუნიონების თეორია და პრაქტიკა“).

[2]) იქვე, S. 115.

ამრიგად, პროფესიონალურ კავშირების მოღვაწეობა განისაზღვრება, არსებითად, ხელფასის და სამუშაო დღის რაოდენობისათვის ბრძოლით, ე.-ი. კაპიტალისტური ექსპლოატაციის მოწესრიგებით ბაზრის პირობების მიხედვით; წარმოების პროცესზე ზემოქმედება კი მათთვის სრულიად მიუწდომელია. კიდევ მეტი, პროფესიონალურ კავშირთა მთელი განვითარება მიმართულია იქითკენ, რომ სრულიად შესწყვიტონ უშუალო დამოკიდებულება შრომის და დანარჩენ საქონლის ბაზრის შორის, რაიც სავსებით ეწინააღმდეგება კონრად შმიდტის დებულებებს. ყველაზე უფრო დამახასიათებელი ამ შემთხვევაში არის ის ფაქტი, რომ ამ ჟამად მიტოვებულია ყოველივე ცდა, მიმართული იქითკენ, რათა დაემყარებინათ უშუალო დამოკიდებულება მუშათა ხელშეკრულების და წარმოების საერთო მდგომარეობის შორის სამუშაო ხელფასის მერყევ სკალის საშუალებით, და რომ ინგლისის ტრედ-იუნიონები სულ უფრო იშვიათად მიმართავენ მას [1]).

მაგრამ თავისი ზეგავლენის ფაქტიურ საზღვრებშიც პროფესიონალური მოძრაობა არ ფართოვდება ისე სწრაფად, როგორც ეს მიღებულია კაპიტალის შეგუების თეორიაში. ჩვენ ვხედავთ სრულიად ამის საწინააღმდეგოს. საკმარისია განვიხილოთ სოციალური განვითარების უფრო მნიშვნელოვანი პერიოდები, რათა ადვილად შევამჩნიოთ ის ფაქტი, რომ ჩვენ ვუახლოვდებით პროფესიონალური მოძრაობის დაკნინების და არა მის გაძლიერების ხანას. თუ მრეწველობის განვითარებამ მიაღწია თავის უმაღლეს წერტილს, და მსოფლიო ბაზარზე ემჩნევა კაპიტალის „დახრის ხაზი“ („кривая понижения“), პროფესიონალური ბრძოლა ორწილად უფრო ძნელი ხდება: ჯერ ერთი, სამუშაო ძალისათვის უარესდება ბაზრის ობიექტიური კონიუნქტურა, რადგანაც მოთხოვნილება იზრდება უფრო ნელა, ხოლო მოწოდება ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე ამას ადგილი აქვს ამ ჟამად: მეორედ, თვით კაპიტალი, რომელიც სცდილობს აინაზღაუროს მსოფლიო ბაზარზე ნახული ზარალი, უკვე პრეტენზიებს აცხადებს მუშის საკედარო პროდუქტის ნაწილზე. სამუშაო ხელფასის შემცირება ეს ხომ ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია მოგების ნორმის დაცემის შესაჩერებლად [2]).. ინგლისი იძლევა პროფესიონალური მოძრაობის მეორე სტადიის დაწყების სურათს. აქ მოძრაობა ძალაუნებურად გადაიქცა უკვე დიდი ხნის ბრძოლით მონაპოვარის უბრა-

---

[1]) Webb, „Theorie und Praxis der Gewerkschaften“ S. 115.

[2]) K. Marx. „Das Kapital“ 3. B. I. S. 216; რუსული თარგმანი, გვ. 181.

ლო დაცვათ, მაგრამ ესეც დღითი დღე სულ უფრო საძნელო ხდება. საქმეთა ასეთი მსვლელობის მეორე მხარეს და დამატებას წარმოადგენს პოლიტიკური და სოციალისტური კლასიური ბრძოლის გაძლიერება.

ასეთივე შეცდომას სჩადის კონრად შმიდტი ისტორიულ პერსპექტივის უმართებულო წარმოდგენის გამო **სოციალურ რეფორმის მიმართ**, რომლისაგან მოელის, რომ ის „ხელიხელ ჩაკიდებული მუშათა პროფესიონალურ კოალიციებთან ერთად უკარნახებს კაპიტალისტთა კლასს იმ პირობებს, რომლებშიაც უკანასკნელთ ნება ეძლევათ გამოიყენონ სამუშაო ძალა“. ბერნშტეინი, რომელსაც ასეთი წარმოდგენა აქვს სოციალურ რეფორმაზე, საქარხნო კანონებს უწოდებს „საზოგადოებრივ კონტროლის“ ნაწილს, ხოლო როგორც ასეთს— სოციალიზმის ნაწილს. კონრად შმიდტი ყოველგან, სადაც ის ლაპარაკობს შრომის სახელმწიფოებრივ დაცვაზე, ხმარობს გამოთქმას: „სახელმწიფო კონტროლი“, და, გადააქცია რა არხეინად სახელმწიფო საზოგადოებად. ის, უკვე გამხნევებული, დასძენს: „ე.-ი. მოზარდი მუშათა კლასი“; ასეთი ოპერაციების საშუალებით გერმანიის საკავშირო საბჭოს უბრალო დადგენილებანი შრომის დაცვის შესახებ შეიძლება აღიარებულ იქნან გერმანიის პროლეტარიატის სოციალისტურ გარდამავალი ხანის ზომებად.

მისტიფიკაცია აქ ხელათ გეცემათ თვალში. თანამედროვე სახელმწიფოო ხომ წარმოადგენს არა „საზოგადოებას“, როგორც მოზარდ მუშათა კლასს, არამედ კაპიტალისტურ საზოგადოების საშუალებას, ე. ი. კლასიურ სახელმწიფოს. ამისათვის მის მიერ გატარებული სოციალური რეფორმები სრულიად არ შეადგენენ იმ „საზოგადოებრივ კონტროლის“ გამოხატულებას, რომელსაც აწესებს თავისუფლად მშრომელი საზოგადოება თავის საკუთარ შრომის პროცესზე, არამედ ისინი გამოხატავენ კაპიტალის კლასიურ ორგანიზაციის კონტროლს კაპიტალის წარმოების პროცესზე. სწორედ აქ, ე. ი. კაპიტალის ინტერესებში, უნდა ვეძიოთ სოციალურ რეფორმის ბუნებრივი საზღვრები. რასაკვირველია, როგორც ბერნშტეინი, ისე კონრად შმიდტიც ხედავენ ჯერხნობით მხოლოდ „სუსტ დაწყებითი სტადიას“ და იმედოვნებენ, რომ მომავალში სოციალური რეფორმები მუშათა კლასის სასარგებლოდ უსაზღვროდ განვითარდებიან. მაგრამ ისინი აქაც ისეთსავე შეცდომას ჩადიან, როგორსაც ჩადიოდენ პროფესიონალური მოძრაობის განუწყვეტელი ზრდის დაშვების დროს. თეორია, რომელსაც შესაძლოდ მიაჩნია სოციალიზმის განხორციელება სოციალურ რეფორმათა გზით, გულისხმობს—**და ამაშია მისი დედა**

აზრი —როგორც კაპიტალისტური საკუთრების, ისე სახელმწიფოს გარკვეულ ობიექტიურ განვითარებას. პირველის მიმართ „უნდა ითქვას, რომ მომავალი განვითარება, როგორც ეს ნაჩვენებია კონრად შმიდტის სქემაში, მიდის იქითკენ, რათა „კაპიტალის მესაკუთრე მისი უფლებების შეზღუდვის გზით თანდათანობით გადააქციოს უბრალო ადმინისტრატორად“, ვინაიდან წარმოების საშუალებათა მთლიანი და უეცარი ექსპროპრიაცია შეუძლებლად არის მიჩნეული, კონრად შმიდტი ქმნის **თანდათანობით ექსპროპრიაციის** თეორიას. ამ უკანასკნელის დასაბუთება მის კონსტრუქციაში ეყრდნობა, როგორც თავის აუცილებელ წინამძღვარს, კერძო საკუთრების უფლების განაწილების თეორიას, რომლის მიხედვით აღნიშნული უფლება იყოფა „უზენაეს საკუთრებად“ და „სარგებლობის უფლებად“; პირველს ის აკუთვნებს „საზოგადოებას“ და ის, მისი აზრით, სულ უფრო და უფრო უნდა ფართოვდებოდეს, ხოლო მეორე ეკუთვნის კაპიტალისტს, რომლის ხელში ის დროთა განმავლობაში უნდა გადაიქცეს უბრალო მართვის უფლებად. თუ ამ კონსტრუქციას არ ჩავთვლით უბრალო სიტყვების თამაშად, რომელიც არაფერს სერიოზულს არ შეიცავს, მაშინ თანდათანობით ექსპროპრიაციის თეორია დაუსაბუთებელი რჩება; ხოლო თუ ის წარმოადგენს უფლებრივი განვითარების სერიოზულ სქემას, მაშინ ის სრული შეცდომაა. საკუთრების უფლებიდან სხვადასხვა უფლებების გამოყოფა, რომელსაც მიმართავს კონრად შმიდტი თავის თეორიის დასამტკიცებლად, დამახასიათებელია საზოგადოებისათვის ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობით, რომელშიაც პროდუქტის განაწილება სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა შორის ხდებოდა მატერიალურად, პირად ურთიერთობათა მიხედვით. საკუთრების უფლების დაყოფა სხვადასხვა ნაწილებად შეეფერებოდა აქ საზოგადოებრივ სიმდიდრის განაწილების წინასწარ მოცემულ ორგანიზაციას. საქონლის წარმოებაზე გადასვლის შემდეგ, როდესაც გაქრა ყოველივე პირადი დამოკიდებულება წარმოების პროცესის მონაწილეთა შორის, განმტკიცდა, პირიქით, ურთიერთობა ადამიანსა და საგნის შორის—კერძო საკუთრება. ვინაიდან განაწილება უკვე ხდება არა პირად ურთიერთობათა მიხედვით, არამედ გაცვლის საშუალებით, ცალკე პირთა უფლებანი საზოგადოებრივ სიმდიდრის მითვისებისა განიზომებიან უკვე არა საერთო საგანზე არსებულ საკუთრების უფლების ნაწილაკებით, არამედ იმ ღირებულებით, რომლითაც გამოდის ბაზარზე ყოველივე მათგანი.

პირველი გადატრიალება უფლებრივ ურთიერთობაში, რომელიც თან სდევდა საშუალო საუკუნის ქალაქებში საქონლის წარმოების აღ-

მოცენებას, მდგომარეობდა იმაში, რომ საკუთრების უფლების განაწილებაზე დამყარებულ ფეოდალურ უფლებრივ ურთიერთობათა შიგნით ჩაისახა აბსოლიუტურად მთლიანი კერძო საკუთრება. კაპიტალისტურ წარმოებაში ეს მოვლენა კიდევ უფრო ვითარდება. რაც უფრო შორს მიდის წარმოებითი პროცესის განსაზოგადოებრივება, მით უფრო ემყარება განაწილების პროცესი წმინდა გაცვლას, და მით უფრო ხელუხლებელი და მთლიანი ხდება კერძო საკუთრება. მანამდე, ვიდრე კაპიტალისტი თვით განაგებს ქარხანას, განაწილება რამდენიმედ მაინც არის დაკავშირებული წარმოების პროცესში მონაწილეობასთან. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ქარხნის პირადი გამგებლობა ზედმეტი ხდება,—ხოლო აქციონერულ საზოგადოებებში ეს უკვე მომხდარი ფაქტია,—საკუთრების უფლება კაპიტალზე, როგორც საფუძველი მითვისებისა განაწილების დროს, სრულიად შორდება წარმოებაში არსებულ პირად ურთიერთობათ და განაგრძობს არსებობას თავის წმინდა და მთლიან სახით. აქციონერულ კაპიტალში და სამრეწველო კრედიტის კაპიტალში კაპიტალისტური საკუთრების უფლება პირველად აღწევს თავის სრულ განვითარებას.

კ. შმიდტის ისტორიული სქემა „კერძო მესაკუთრიდან ვიდრე უბრალო ადმინისტრატორამდე" წარმოადგენს, ამრიგად, პირუკულმა ნაჩვენებ ფაქტიურ განვითარებას, რომლის გზა მიდის, პირიქით, კერძო მესაკუთრიდან და ადმინისტრატორიდან წმინდა მესაკუთრისაკენ.

აქ კონრად შმიდტსაც იგივე ემართება, რაც გიოტეს:

Was er besitzt, das sieht er wie im weiten.
Und was werschwand, wird Ihm zu Wirklichkeiten. [1])

და ისევე როგორც მისი ისტორიული სქემა ეკონომიური მხრივ იხევს უკან თანამედროვე აქციონერულ საზოგადოებებიდან მანუფაქტურულ ფაბრიკამდე ან სახელოსნოებამდეც კი, უფლებრივ მხრივ ის სცდილობს მოათავსოს კაპიტალისტური ქვეყანა ფეოდალურ-ნატურალურ მეურნეობის ნაჭუჭში.

მაგრამ ამ თვალსაზრისითაც, „საზოგადოებრივი კონტროლი" სულ სხვა რამეს ნიშნავს, ვიდრე ეს წარმოუდგენია კონრად შმიდტს. ის, რაც ამ ჟამად მოქმედობს როგორც „საზოგადოებრივი კონტროლი",—შრომის დაცვა, აქციონერულ საზოგადოებათა მეთვალყურეობა და სხ., არაფრით არ წაგავს საკუთრების უფლებაში მონაწილეო-

[1]) ის, რასაც ის სინამდვილეში ფლობს, ეჩვენება მის სადღაც შორს, და ის კი, რაც უკვე გაქრა, მიაჩნია მას სინამდვილეთ.

ბას, „უზენაეს საკუთრებას“. ეს კონტროლი მოქმედებს არა როგორც კაპიტალისტური საკუთრების **შემზღუდველი** ფაქტორი, არამედ როგორც მისი **დამცველი**. ან, თუ ეკონომიური ტერმინებით ვიტყვით, ის წარმოადგენს არა კაპიტალისტურ ექსპლოატაციაში **ჩარევას**, არამედ **მოწესრიგებას**. და თუ ბერნშტეინი სვამს კითხვას იმის შესახებ, ბევრს თუ ცოტა სოციალიზმს შეიცავს საქარხნო კანონიო, მას შეუძლია დარწმუნებული იყოს იმაში, რომ საუკეთესო ქარხნის კანონი შეიცავს იმდენსავე სოციალიზმს, რამდენსაც ქალაქის სათათბიროს დადგენილება ქუჩების წმენდის და გაზის სანათების ანთების შესახებ, რაიც ხომ აგრეთვე „საზოგადოებრივ კონტროლს“ წარმოადგენს.

4. საბაჟო პოლიტიკა და მილიტარიზმი.

სოციალიზმის თანდათანობითი განხორციელების მეორე პირობას, ბერნშტეინის აზრით, წარმოადგენს სახელმწიფოს განვითარება საზოგადოებათ. დებულება, რომ სახელმწიფო უთუოდ კლასიური სახელმწიფო უნდა იყოს, საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ჩვენის აზრით, ეს დებულებაც, ისევე, როგორც ყველაფერი, რასაც კი დამოკიდებულება აქვს კაპიტალისტურ საზოგადოებასთან, მიღებულ უნდა იქნას არა როგორც აბსოლიუტური უცვლელი ჭეშმარიტება, არამედ განუწყვეტელ განვითარების თვალთახედვის ქვეშ.

ბურჟუაზიის პოლიტიკურ გამარჯვებამ გადააქცია სახელმწიფო კაპიტალისტურ სახელმწიფოდ. რასაკვირველია, თვით კაპიტალისტური განვითარება თვალსაჩინოდ სცვლის სახელმწიფოს ბუნებას, რამდენადაც ის აფართოებს სახელმწიფოს ზეგავლენის სფეროს, აკისრებს მას ახალ ფუნქციებს, განსაკუთრებით ეკონომიური ცხოვრების სფეროში, და ამით სულ უფრო და უფრო აუცილებლად ხდის მის ჩარევას და კონტროლს. ამრიგად მზადდება მომავალი შეერთება სახელმწიფოსი და საზოგადოებისა, ასე ვსთქვათ, სასელმწიფოს ფუნქციების ხელახალი გადაცემა საზოგადოებისათვის. ამის მიხედვით შესაძლებელია აგრეთვე ლაპარაკი კაპიტალისტურ სახელმწიფოს განვითარებაზე საზოგადოებად, და უთუოდ ამ აზრით ამბობდა მარქსი, რომ შრომის დაცვა არის პირველი სახე „საზოგადოების“ შეგნებულად ჩარევისა თავის სოციალურ ცხოვრების პროცესში,—დებულება, რომელსაც იმოწმებს ბერნშტეინი.

მაგრამ, მეორე მხრივ, სახელმწიფოში, იმავ კაპიტალისტურ განვითარების მეოხებით, ხდება სხვაგვარი ცვლილებაც. პირველად ყოვ-

ლისა, თანამედროვე სახელმწიფო ეს გაბატონებულ კაპიტალისტურ კლასის ორგანიზაციაა. თუ ის საზოგადოებრივ განვითარების ხელისშეწყობის მიზნით კისრულობს სხვადასხვა ფუნქციებს საყოველთაო ინტერესების დასაცავად, ეს ხდება მხოლოდ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ამ ინტერესების დაცვა და საზოგადოებრივი განვითარება ხელსაყრელია საერთოდ გაბატონებულ კლასისთვის. ასე, მაგალითად, შრომის დაცვაში, კაპიტალისტები, როგორც კლასი, ისევე უშუალოდ არიან დაინტერესებული, როგორც მთელი საზოგადოება. მაგრამ ეს ჰარმონია გრძელდება მხოლოდ კაპიტალისტურ განვითარების განსაზღვრულ მომენტამდე. როგორც კი განვითარება მიაღწევს განსაზღვრულ საფეხურს, ბურჟუაზიის, როგორც ცალკე კლასის, ინტერესები და ეკონომიური ეოლიუციის ინტერესები, კაპიტალისტური გაგებითაც კი, ერთმანეთს შორდებიან. ჩვენის აზრით, ეს სტადია უკვე დადგა, და ეს გამოიხატება თანამედროვე სოციალური ცხოვრების ორ მნიშვნელოვან მოვლენაში: **საბაჟო პოლიტიკაში და მილიტარიზმში**. ორთავემ—საბაჟო პოლიტიკამ და მილიტარიზმმა—კაპიტალიზმის ისტორიაში შეასრულეს თავისი აუცილებელი და რამოდენიმედ პროგრესიული რევოლიუციონური როლი. მაგრამ ამ ჟამად მდგომარეობა შეიცვალა. ყველა მნიშვნელოვან ქვეყნებში, და სწორედ ისეთებში, სადაც განსაკუთრებით განვითარებულია საბაჟო პოლიტიკა, კაპიტალისტურ წარმოებამ საერთოდ მიაღწია თითქმის ერთ და იმავე დონეს. კაპიტალისტური **განვითარების** თვალსაზრისით, ე. ი. მსოფლიო მეურნეობის თვალსაზრისით ამ ჟამად სრულიად ერთნაირია, გააქვთ უფრო მეტი საქონელი გერმანიიდან ინგლისში, თუ პირიქით. ამ განვითარების თვალსაზრისით, მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს. კიდევ მეტი, ის უნდა წავიდეს. თანამედროვე მრეწველობის სხვადასხვა დარგების ერთი-ერთ დამოკიდებულების გამო მფარველობითი ბაჟებმა ერთ რომელიმე საქონელზე უნდა ასწიონ სხვა საქონელთა წარმოების ღირებულება ამ ქვეყნის შიგნით, ე. ი. ხელი შეუშალონ მრეწველობის განვითარებას, მაგრამ სულ სხვაგვარია კაპიტალისტური კლასის ინტერესები. მრეწველობა თავისი **განვითარებისათვის** არ საჭიროებს მფარველობითი ბაჟებს, მაგრამ ისინი ესაჭიროებათ კაპიტალისტებს თავიანთი საქონლის **გასაღების** მიზნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ეხლანდელ დროში ბაჟები წარმოადგენენ უკვე არა იმ საშუალებას, რომლითაც ჯერ კიდევ განუვითარებელი კაპიტალისტური წარმოება თავს იცავს მეორე უფრო განვითარებულისაგან, არამედ ბრძოლის საშუალებას კაპიტალისტთა ერთი ნაციონალური ჯგუფისას მეორეს წინააღმდეგ. შემდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობა უკვე აღარ საჭიროებს ბაჟების მფარველობას, იმისათვის, რომ შექმნას და დაიპყროს შინაგანი ბაზარი; ისინი გადაიქცენ აუცილებელ საშუალებად, რომლის მეოხებით იქმნება სამრეწველო კარტელები, ე. ი. სწარმოებს ბრძოლა კაპიტალისტურ მწარმოებლის და მომხმარებელ საზოგადოების შორის. დაბოლოს, თანამედროვე საბაჟო პოლიტიკის სპეციფიური თვისება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება იმ ფაქტით, რომ ეხლა ყველგან გადამწყვეტ როლს ამ საკითხში თამაშობს საერთოდ არა ინდუსტრია, არამედ სასოფლო მეურნეობა, ე. ი., სხვა სიტყვებით, საბაჟო პოლიტიკა გადაიქცა იმ საშუალებად, რომლის მეოხებით **ფეოდალური ინტერესები იღებენ კაპიტალისტურ ფორმას**.

იგივე ცვლილებანი განიცადა მილიტარიზმმაც. თუ ჩვენ გადავხედავთ ისტორიას არა იმ თვალსაზრისით, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ან შესაძლოა ყოფილიყო ის, არამედ განვიხილავთ მას ისე, როგორიც ის იყო სინამდვილეში, ჩვენ აუცილებლად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ომი წარმოადგენდა კაპიტალისტურ განვითარების აუცილებელ ფაქტორს. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია, იტალია და ბალკანეთის სახელმწიფოები, რუსეთი და პოლონეთი—ომი სუყველგან შეადგენდა კაპიტალისტურ განვითარების აუცილებელ პირობას ან გამოსავალ წერტილს, სულერთია თავდებოდა ის გამარჯვებით თუ დამარცხებით, მანამდე, სანამ არსებობენ ქვეყნები, რომლებშიაც ჯერ კიდევ არ იყო ძლეული შინაგანი დაქუცმაცება და კარჩაკეტილობა—ეს შედეგები ნატურალური მეურნეობისა—კაპიტალისტური თვალსაზრისით მილიტარიზმმა ითამაშა რევოლიუციონური როლი. მაგრამ ამ ჟამად მდგომარეობა აქაც შეიცვალა. მილიტარიზმს აღარ შეუძლია აღმოუჩინოს კაპიტალიზმს ახალი ქვეყნები. თუ ჩვენ დროში[1]) ჩინეთი გადაიქცა უდიდეს კონფლიქტების ასპარეზად, ცხადია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა ევროპის კაპიტალიზმის მისწრაფებასთან ჩინეთში შეჭრისა, რამდენადაც თვით **ევროპის** წინააღმდეგობებთან, რომელნიც გადატანილ იქნენ ჩინეთში და აქ, ჩინეთის ნიადაგზე, მხოლოდ მომწიფდენ კონფლიქტისათვის. და ამ ჟამად როგორც ევროპაში, ისე ქვეყნის სხვა კუთხეებში, იბრძვიან იარაღით ხელში არა კაპიტალისტური ქვეყნები ნატურალური მეურნეობის ქვეყნებთან, არამედ სახელწიფონი, რომელთა შორის კონფლიქტი გამოწვეულია სწორედ ამით, რომ კაპიტალისტურმა განვითარებამ მათში მიაღწია ერთნაირ დონეს. რასაკვი-

---

[1]) ეს იწერებოდა 1898—1899 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რველია, თვით ამ განვითარებისათვის ასეთს კონფლიქტს, თუ ის გაძლიერდა, შეუძლია მოიტანოს აღნიშნულ პირობებში მხოლოდ საბედისწერო შედეგი, რამდენათაც ის იწვევს მეტის-მეტ არევ-დარევას და საგრძნობ გარდატეხას ყველა კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში. მაგრამ სრულიად სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი საქმე **კაპიტალისტურ კლასს**. მათთვის მილიტარიზმი ამ ჟამად აუცილებელ პირობად შეიქნა სამი მოსაზრებით: ჯერ-ერთი, როგორც ბრძოლის იარაღი მეტოქე(„ნაციონალურ“ ინტერესებისათვის სხვა ნაციონალურ ჯგუფთა წინააღმდეგ; მეორედ, როგორც უმნიშვნელოვანესი საშუალება ფინანსიური და სამრეწველო კაპიტალის მოსათავსებლად, და მესამედ, როგორც კლასიური ბატონობის იარაღი მუშათ, კლასის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით; მაგრამ ყველა ამ ინტერესებს არაფერი საერთო არა აქვთ მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებასთან. და რაც ყველაზე უფრო ამჟღავნებს თანამედროვე მილიტარიზმის ხასიათს—ეს არის, ჯერ ერთი, მისი საერთო ზრდა ყველა ქვეყნებში, რომელნიც ამ მხრივ თითქოს ეჯიბრებიან ერთმანეთს, ზრდა გამოწვეული საკუთარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგან მომქმედ მექანიკური ძალებით; ეს მოვლენა ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იყო რამოდენიმე ათეული წლის წინ. შემდეგ, მეტად დამახასიათებელია აუცილებლობა, ფატალობა მომავალ შეტაკებისა და მასთან ერთად სრული შეუძლებლობა იმის წინდაწინ გათვალისწინებისა, თუ რა იქნება შეტაკების საბაბი, რომელი სახელმწიფოები მიიღებენ უშუალო მონაწილეობას, რა გახდება სადაო საგნათ და სხვა წვრილმანები. კაპიტალისტური განვითარების მამოძრავებელ ძალიდან მილიტარიზმი გადაიქცა კაპიტალისტურ ავადმყოფობად. ზემოდ აწერილ წინააღმდეგობაში საზოგადოებრივ განვითარების და გაბატონებულ კლასის ინტერესებს შორის სახელმწიფო მხარს უჭერს უკანასკნელთ. თავის პოლიტიკაში სახელმწიფო, ისევე როგორც ბურჟუაზია, ვარდება **წინააღმდეგობაში** საზოგადოებრივ განვითარებასთან, რის გამო ის სულ უფრო და უფრო ჰკარგავს მთელი საზოგადოების წარმომადგენლის ხასიათს და ამის მიხედვით იქცევა წმინდა **კლასიურ სახელმწიფოდ**. ან თუ მეტის სისწორით გამოვთქვამთ, ორივე ეს თვისება შორდება ერთი მეორეს და აშკარავდებიან, როგორც გამწვავებული შინაგანი წინააღმდეგობა თვით სახელმწიფოს არსებაში; და დღითი დღე ეს წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო მწვავდება. საქმე იმაშია, რომ ერთი მხრივ განუწყვეტლივ იზრდება სახელმწიფოს საერთო ხასიათის ფუნქციების რიცხვი, უფრო საგრძნობი ხდება მისი ჩარევა საზოგადოებრივ ცხოვ-

რებაში და მისი „კონტროლი“ უკანასკნელზე; მეორე მხრივ კლასიური ხასიათი სულ უფრო და უფრო აიძულებს მას გადაიტანოს თავისი მოქმედების ცენტრი და მთელი თავისი საშუალებანი ისეთ სფეროებში, რომელნიც სარგებლიანი არიან მხოლოდ ბურჟუაზიის კლასიურ ინტერესებისათვის, საზოგადოებისათვის კი მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა აქვთ; ასეთებად ჩაითვლებიან მილიტარიზმი, საბაჟო და კოლონიალური პოლიტიკა. მაგრამ ამ ფაქტორთა ზეგავლენით მისი „საზოგადოებრივი კონტროლიც“ სულ უფრო და უფრო კლასიურ ხასიათს იღებს (მაგალითად, შრომის დაცვის შემოღება ყველა ქვეყნებში, ინგლისის გამოკლებით).

აღნიშნულ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ თვით სახელმწიფოს არსებაში, კი არ ეწინააღმდეგება, არამედ სავსებით შეეფერება დემოკრატიის განვითარება, რომელშიაც ბერნშტეინი აგრეთვე სოციალიზმის თანდათანობითი დამყარების საშუალებას ხედავს.

კ. შმიდტის აზრით, პარლამენტში სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობის მიღწევა პირდაპირ გზასაც კი წარმოადგენს საზოგადოების თანდათანობითი სოციალიზაციისათვის. რასაკვირველია, პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიული ფორმები უნდა ჩაითვალონ ისეთ მოვლენად, რომელშიაც ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოიხატება სახელმწიფოს განვითარება საზოგადოებათ და ამდენადვე ის წარმოადგენს საფეხურს სოციალისტურ გადატრიალებისაკენ. მაგრამ, ეს წინააღმდეგობა, ჩასახული თვით კაპიტალისტური სახელმწიფოს არსებაში, რომელიც ჩვენ ზემოდ დავახასიათეთ, კიდევ უფრო ნათლად გამოსჭვივის თანამედროვე დემოკრატიაში. მართალია, თავისი ფორმით დემოკრატია მოწოდებულია სწორედ იქითკენ, რათა გამოხატოს სახელმწიფო ორგანიზაციაში მთელი საზოგადოების ინტერესები, მაგრამ, სინამდვილეში, ის გამოხატავს მხოლოდ კაპიტალისტურ საზოგადოებას, ე.-ი. საზოგადოებას, რომელშიაც ხელმძღვანელობითი მნიშვნელობა აქვს **კაპიტალისტურ ინტერესებს**. ამ რიგად ეს, თავისი ფორმის მიხედვით, დემოკრატიული დაწესებულებები, შეადგენენ, თავისი შინაარსის მხრივ, გაბატონებულ კლასთა ინტერესების იარაღს. ყველაზე უფრო ნათლად ეს გამოიხატება იმ ფაქტში, რომ როდესაც კი დემოკრატია გამოიჩენს ტენდენციას კლასიურ ხასიათისაგან განთავისუფლებისა და ნამდვილ ხალხის ინტერესების იარაღად გამოდის, ბურჟუაზიას და მის წარმომადგენელს, თანამედროვე სახელმწიფოს, მყისვე სამსხვერპლოზე მიაქვთ სწორედ ეს დემოკრატიული დაწესებულებები. ასეთ პირობებში პარლამენტში სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობის მიღწევის დაშვება შეუძლია იმას, ვინც მხედველობაში

აიღებს მხოლოდ დემოკრატიის ფორმალურ მხარეს და სრულიად ივიწყებს მის რეალურ შინაარსის შესახებ. საერთოდ კი დემოკრატია არის არა უშუალო სოციალისტური ელემენტი, რომლითაც თანდათანობით იყლინთება კაპიტალისტური საზოგადოება, როგორც ეს ბერნშტეინს მიაჩნია, არამედ, პირიქით, სპეციფიურად კაპიტალისტური საშუალება კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა სრულ განვითარებამდე და სიმწიფემდე მისაყვანად.

სახელმწიფოს ობიექტიური განვითარების ასეთი მსვლელობის გამო, ბერნშტეინის და კ. შმიდტის დებულება განუწყვეტლივ განვითარების გზაზე მდგომ და უშუალოდ სოციალიზმის დამამყარებელ „საზოგადოებრივ კონტროლის“ შესახებ, იქცევა ფრაზად, რომელიც დღითი დღე სულ უფრო და უფრო ეწინააღმდეგება სინამდვილეს.

სოციალიზმის თანდათანობითი დამყარების თეორიას შესაძლებლად მიაჩნია რეფორმების გზით კაპიტალისტური სახელმწიფოსა და კაპიტალისტური საკუთრების გარდაქმნა სოციალისტური მიმართულებით. მაგრამ ორივე ისინი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ობიექტიურ პირობების გამო ვითარდებიან სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით. წარმოების პროცესი სულ უფრო და უფრო წინ მიდის განსაზოგადოებრივების გზაზე, და სახელმწიფოს ჩარევა, კონტროლი სულ უფრო ფართოვდება; მაგრამ ამავე დროს კაპიტალისტური კერძო საკუთრება სულ უფრო და უფრო კარჩაკეტილი და ხელუხლებელი ხდება, ხოლო სახელმწიფო კონტროლი სულ უფრო და უფრო ხელმძღვანელობს კლასიური ინტერესებით. ამ რიგად, სახელმწიფო, ე. ი. კაპიტალიზმის **პოლიტიკური** ორგანიზაცია და საკუთრების ურთიერთობანი, ე.-ი. კაპიტალიზმის **უფლებრივი** ორგანიზაცია, რომელნიც განვითარების პროცესში იღებენ სულ უფრო და უფრო კაპიტალისტურ და არა სოციალისტურ ხასიათს, წარმოადგენენ სოციალიზმის თანდათანობითი დამყარების თეორიისათვის ორ უძლეველ წინააღმდეგობას.

ფურიეს იდეა—რომელსაც მიზნად ქონდა ერთბაშად, ფალანსტერების სისტემის მეოხებით გადაექცია ლიმონადათ მთელი დედამიწის ზღვის წყალი—მეტად ფანტასტიური იყო; მაგრამ ბერნშტეინის იდეა, რომელსაც აზრად აქვს გადააქციოს სოციალ-რეფორმისტული ლიმონადის წვეთების საშუალებით კაპიტალისტური სიმწარის ზღვა სოციალისტური სიტკბოების ზღვად—მხოლოდ უფრო შეუსაბამოა, მაგრამ არა ნაკლებ ფანტასტიური.

კაპიტალისტური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი სულ უფრო უახლოვდებიან სოციალისტურს, სამაგიეროდ მისი პო-

ლიტიკური და უფლებრივი ურთიერთობანი სულ უფრო და უფრო გარდაუვალ კედლებს აგებენ კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებათა შუა. მაგრამ სოციალური რეფორმები და დემოკრატიის განვითარება ვერ გაარღვევენ ამ კედელს, არამედ, პირიქით, უფრო აამაღლებენ და გაამაგრებენ მას. მხოლოდ რევოლიუციის ჩაქუჩს, ე.-ი. პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური უფლების დაპყრობას შეუძლია დაანგრიოს ეს კედელი.

5. პრაქტიკული შედეგები და თეორიის საერთო ხასიათი.

პირველ ნაწილში ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცებია, რომ ბერნშტეინის თეორიას გადააქვს სოციალისტური პროგრამა მატერიალისტურიდან იდეალისტურ ნიადაგზე. ეს შეეხება თეორეტიულ დასაბუთებას. რაღას წარმოადგენს ეს თეორია თავის პრაქტიკულ გამოყენებაში? პირველი შეხედვით და ფორმალურად ის არაფრით არ განსხვავდება სოციალ-დემოკრატიულ ბრძოლის ჩვეულებრივ პრაქტიკისაგან. პროფესიონალური კავშირები, ბრძოლა სოციალურ რეფორმებისათვის და პოლიტიკურ დაწესებულებათა დემოკრატიზაციისათვის—ყველაფერი ეს ხომ აგრეთვე სოციალ-დემოკრატების პარტიულ მოღვაწეობის შინაარსსაც შეადგენს. მაშასადამე, განსხვავება ყოფილა არა **შინაარსში**, არამედ **ფორმაში**. ეხლანდელ პირობებში პროფესიონალური და პარლამენტარული ბრძოლა მიჩნეულია საშუალებად პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდისათვის, საშუალებად, რომელმაც ის უნდა მიიყვანოს თანდათანობით პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობამდე. ბერნშტეინის აზრით კი, ვინაიდან ასეთი დაპყრობა შეუძლებელი და უნაყოფოა, ზემოაღნიშნული ბრძოლა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ **უშუალო** შედეგების მისაღწევად, ე.-ი. მუშათა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კაპიტალისტური ექსპლოატაციის თანდათანობით შესაზღუდავად და საზოგადოებრივი კონტროლის გასაფართოებლად. თუ უყურადღებოთ დავტოვებთ მუშათა კლასის მდგომარეობის უშუალო გაუმჯობესების მიზანს, რომელიც საერთოა ორივე თეორიისათვის,—როგორც პარტიის მიერ აქამდე მიღებულ თეორიისათვის, ისე ბერნშტეინის თეორიისათვის,—მაშინ მთელი განსხვავება, მოკლეთ რომ ვსთქვათ, გამოიხატება შემდეგში: საყოველთაოდ მიღებულ შეხედულების თანახმად, პროფესიონალური და პოლიტიკური ბრძოლის სოციალისტური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ამზადებს პროლეტარიატს, ე.-ი. სოციალისტურ გადატრიალების **სუბიექტიურ ფაქტორს**, ამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატრიალების შესასრულებლად. ბერნშტეინის აზრით კი, მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ პროფესიონალური და პოლიტიკური ბრძოლა თანდათანობით საზღვრავს თვით კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, რომ მისი მეოხებით საზოგადოება თანდათანობით ჰკარგავს თავის კაპიტალისტურ ხასიათს და ითვისებს სოციალისტურს, ერთი სიტყვით, იმაში, რომ ის **ობიექტიურად** ახდენს სოციალისტურ გადატრიალებას. როგორც უახლოესი განხილვიდგან აღმოჩნდა, ეს ორი შეხედულება სავსებით ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. საერთოდ მიღებულ პარტიულ შეხედულების თანახმად პროფესიონალური და პოლიტიკური ბრძოლის მეოხებით პროლეტარიატი თანდათანობით რწმუნდება იმაში, რომ ასეთი ბრძოლით შეუძლებელია მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, და რომ დაბოლოს აუცილებელია პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა. ბერნშტეინის თეორია, გამოდის რა პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობის შეუძლებლობიდან, შესაძლებლად სცნობს სოციალისტური წყობილების დამყარებას მხოლოდ პროფესიონალური და პოლიტიკური ბრძოლის მეოხებით.

ამ რიგად, ბერნშტეინის თეორიის მიერ პროფესიონალური და პარლამენტარული ბრძოლისათვის სოციალისტური ხასიათის მიკუთვნება ემყარება იმ რწმენას, რომ ეს ბრძოლა დიდ გავლენას ახდენს კაპიტალისტურ მეურნეობაზე, უკანასკნელის სოციალიზაციის მიმართულებით. მაგრამ ასეთი ზეგავლენა, როგორც ჩვენ შეველაცადეთ დაგვემტკიცებია, მხოლოდ ოცნებაში არსებობს. კერძო საკუთრების და სახელმწიფოს კაპიტალისტური ინსტიტუტები ვითარდებიან სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით; მაგრამ ასეთ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატიის ყოველ-დღიური პრაქტიკული ბრძოლა კარგავს, ბოლოს და ბოლოს, საერთოდ, ყოველივე დამოკიდებულებას სოციალიზმთან. პროფესიონალური და პოლიტიკური ბრძოლის უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის სოციალისტურად გარდაქმნის **ცნებებს**, მუშათა კლასის შეგნებას. სულ სხვა საქმეა, როდესაც მას უყურებენ, როგორც კაპიტალისტური მეურნეობის პირდაპირი სოციალიზაციის საშუალებას: ასეთ შემთხვევაში მას არამც თუ არ შეუძლია იქონიოს ის გავლენა, რომელსაც მას მიაწერენ, არამედ ჰკარგავს ერთად-ერთ შესაძლო სოციალურ მნიშვნელობასაც—მაშინ მას მუშათა კლასის მომზადებაც აღარ შეუძლია პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

ამისათვის, სრულ გაუგებრობაზეა დამყარებული ბერნშტეინის და კ. შმიდტის დამამშვიდებელი განცხადება, რომ ბრძოლის გადა-

ტანით სოციალურ რეფორმების და პროფესიონალურ კავშირთა სფეროში, ისინი არ უარყოფენ საბოლაო მიზანს მუშათა მოძრაობაში, ვინაიდან, მათი აზრით, ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე მოითხოვს შემდეგს, და, ამ რიგად, სოციალისტური მიზანი რჩება მოძრაობაში, როგორც მისი ტენდენცია. ეს, რასაკვირველია, სრულიად სამართლიანია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე ტაქტიკისათვის, ე. ი. იმ პირობით, თუ პროფესიონალურ და სოციალ-რეფორმატორულ ბრძოლას წინ უსწრებს, როგორც მისი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, შეგნებული და ურყევი მისწრაფება პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობისა. მაგრამ თუ მოძრაობას ამ მისწრაფებას ჩამოვაშორებთ და სოციალურ რეფორმას გადავაქცევთ მიზნად თავის თავად, ის სინამდვილეში არამც თუ ვერ მიგვიყვანს სოციალისტურ საბოლაო მიზნის განხორციელებამდე, არამედ შესაძლოა საწინააღმდეგო შედეგებიც მოიტანოს. კონრად შმიდტი მთელ თავის იმედს ამყარებს, ასე ვთქვათ, მექანიკურ მოძრაობაზე, რომელიც ერთხელ თუ დაიწყო, არ შეიძლება გაჩერდეს თავის თავად; ის ეყრდნობა იმ უბრალო დებულებას, რომ მადა ჭამის დროს მოდის, და რომ მუშათა კლასი არასოდეს არ დაკმაყოფილდება რეფორმებით, ვიდრე არ მოხდება სოციალისტური გადატრიალება. უკანასკნელი მოსაზრება სამართლიანია და ამის თავდებია ის, რომ კაპიტალისტური სოციალური რეფორმა ვერავის დააკმაყოფილებს; მაგრამ აქედან გამოყვანილი დასკვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა სწორი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ისეთ ვრცელ სოციალურ რეფორმათა ცხოვრებაში გატარება, რომელიც თანდათანობით და უშუალოდ გარდაქმნიდენ ეხლანდელ წყობილებას სოციალისტურ წყობილებად. მაგრამ ეს—ფანტაზიაა: ასეთ რეფორმათა მთლიანი რიგი სულ მალე შეწყდებოდა და მაშინ მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებას მიიღებდა.

მაშინ ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ ტაქტიკა შეიცვლება და ყოველ ღონისძიებას მიმართავენ ბრძოლის პრაქტიკულ შედეგების—სოციალურ რეფორმების—მისაღწევად. შეურიგებელი კლასიური თვალსაზრისი, რომელსაც აზრი აქვს მხოლოდ იმათთვის, ვინც მიზნად ისახავს პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობას, სულ უფრო და უფრო მიიღებს უარყოფითი ძალის მნიშვნელობას, როგორც კი მხოლოდ უშუალო პრაქტიკული შედეგები მოძრაობის უმთავრეს მიზნად გადაიქცევა; მაშასადამე, უახლოეს ნაბიჯს ასეთს შემთხვევაში წარმოადგენს კომპენსაციის პოლიტიკა, შეთანხმების და სახელმწიფოებრივ სიბრძნის პოლიტიკა. მაგრამ ასეთ პირობებში მოძრაობაში არ შეიძლება დაცულ იქნას წონასწორობა. ვინაიდან

სოციალური რეფორმა კაპიტალისტურ ქვეყანაში ყოველთვის იყო და დარჩება ცარიელ მოჩვენებად, ამისათვის, როგორი ტაქტიკაც არ უნდა ვაწარმოოთ, მისი ლოგიური შედეგი მაინც სოციალურ რეფორმისადმი იმედის გაცრუება იქნება, იმედ გაცრუება იმ მშვიდობიან ნავთსაყუდარში, რომელშიაც თავი შეაფარა შმოლლერმა და კამპ. მას შემდეგ, რაც მან, მოიარა რა მთელი ქვეყნის სოციალ-რეფორმატორული ხღვები, გადასწყვიტა მიენებებინა ყოველივე ღვთის განგებისათვის. ამ რიგად, სოციალიზმი არ წარმოადგენს მუშათა კლასის ყოველდღიური ბრძოლის შინაგან ტენდენციას, არამედ ემყარება, ერთი მხრივ, კაპიტალისტურ მეურნეობის უაღრესობამდე გამწვავებულ ობიექტიურ წინააღმდეგობებს, მეორე მხრივ—მუშათა კლასის სუბიექტიურ შეგნებას, შეცნობას იმისა, რომ ამ წინააღმდეგობათა ძლევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალური გადატრიალების გზით. თუ უარვყოფთ პირველ დებულებას და უკუვაგდებთ მეორეს, როგორც ამას სჩადის ბერნშტეინი თავის თეორიაში, მაშინ მთელი მოძრაობა მყისვე გადაიქცევა უბრალო პროფესიონალიზმად და სოციალ-რეფორმატორობად, შემდეგ კი საკუთარი სიმძიმის ძალა მიგვიყვანს კლასიურ თვალსაზრისის უარყოფამდეც.

ეს დასკვნები სავსებით გამართლდება იმ შემთხვევაშიაც, ბერნშტეინის თეორიას რომ კიდევ სხვა თვალსაზრისით მივუდგეთ და დავსვათ საკითხი: როგორია ამ თეორიის საერთო ხასიათი? ცხადია, ბერნშტეინი არ სდგას კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნიადაგზე და არ უარყოფს ბურჟუაზიულ ეკონომისტებთან ერთად ამ ურთიერთობათა წინააღმდეგობებს. კიდევ მეტი, თავის თეორიაში ის, ისევე როგორც მარქსისტული თეორია, გამოსავალ წერტილად იღებს ამ წინააღმდეგობებს. მაგრამ, მეორე მხრივ,—და ეს შეადგენს როგორც მთელი მისი მსჯელობის დედა აზრს, ისე ძირითად განსხვავებას მიღებულ სოციალ-დემოკრატიულ თეორიისაგან,—ის არ ეყრდნობა თავის თეორიაში ამ წინააღმდეგობათა **მოსპობას** მათი შინაგანი თანმიმდევარი განვითარების გამო.

მის თეორიას უჭირავს საშუალო ადგილი ორ უკიდურესობათა შორის: მას არ სურს, რომ წინააღმდეგობებმა მიაღწიონ სრულ სიმწიფეს, რათა რევოლიუციონური გადატრიალების გზით მოსპოს ისინი; პირიქით, ის სცდილობს მოატეხოს მათ წვერი, **დააჩლუნგოს** ისინი. ასე მაგალითად, მისი თეორიის მიხედვით კრიზისების გადავარდნა და მესაკუთრეთა ორგანიზაციების დაარსება ხელს უწყობს წარმოებასა და გაცვლას შორის არსებულ წინააღმდეგობის დაჩლუნგებას; პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესებამ და საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდების გამძლეობამ უნდა დააჩლუნგოს წინააღმდეგობა შრომასა და კაპიტალს შორის, ხოლო საზოგადოებრივ კონტროლის გაფართოება და დემოკრატია შეასუსტებს წინააღმდეგობას კლასიურ სახელმწიფოსა და საზოგადოების შორის.

რასაკვირველია, არც სოციალ-დემოკრატიის მიერ მიღებული ტაქტიკა მდგომარეობს იმაში, რომ დაუცადოს წინააღმდეგობათა უაღრეს წერტილამდე განვითარებას და მხოლოდ მაშინ ბოლო მოუღოს მათ გადატრიალების მეოხებით. პირიქით, ეყრდნობა რა საერთო განვითარების წინასწარ მიღებულ **მიმართულებას**, მას შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში გამოჰყავს აქედან უკიდურესი დასკვნები; ის წინასწარ ითვალისწინებს შემდგომ ობიექტიურ განვითარებას და ყოველ ცალკე მომენტში სდგას უკვე სავსებით განვითარებულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე: ამაში მდგომარეობს ხომ საერთოდ ყოველივე რევოლიუციონური ტაქტიკის არსებითი მხარე. ასე მაგალითად, სოციალ-დემოკრატია ებრძვის ბაჟებს და მილიტარიზმს მაშინაც კი, როდესაც ისინი ჯერ კიდევ რევოლიუციონურ როლს თამაშობენ კაპიტალისტურ განვითარებაში. ბერნშტეინი კი თავის ტაქტიკაში გამოდის საერთოდ არა კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა შემდეგი განვითარების და გამწვავებისაგან, არამედ მათი დაჩლუნგებიდან. თვით ბერნშტეინი ყველაზე უფრო მოხდენილად ახასიათებს მას, როდესაც ლაპარაკობს კაპიტალიზმის „შეგუებაზე". როდის იქნებოდა სამართლიანი ასეთი შეხედულება? თანამედროვე საზოგადოების ყველა წინააღმდეგობანი წარმოადგენენ კაპიტალისტური წარმოების უბრალო შედეგს. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ეს წარმოება შემდეგშიაც იმავ მიმართულებით განვითარდება, როგორც ეს ხდება ამ ჟამად, მასთან ერთად განუყრელად უნდა ვითარდებოდენ ყველა მასთან დაკავშირებული შედეგები, ე.-ი. წინააღმდეგობანი სულ უფრო და უფრო უნდა გამომჟღავნდენ, გამწვავდენ და არა მიიჩქმალონ. წინააღმდეგობათა შესუსტება გულისხმობს, პირიქით, იმას, რომ კაპიტალისტური წარმოების განვითარება ფერხდება რაიმე მიზეზის გამო. ერთი სიტყვით, ბერნშტეინის თეორიის ყველაზე უფრო ზოგად წინამძღვარად უნდა ჩაითვალოს **კაპიტალისტური განვითარების შეჩერება**.

მაგრამ სწორედ ამით მის თეორიას თვითონ გამოაქვს თავისი განაჩენი და განაჩენი ორგვარი. პირველად ყოვლისა ის ამჟღავნებს თავის **უტოპიურ** ხასიათს სოციალისტური საბოლოო მიზნის მიმართ (თავის თავად ცხადია, თავის განვითარებაში შეჩერებული კაპიტალიზმი ვერ მიგვიყვანს სოციალურ გადატრიალებამდე), და ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადასტურებს იმ წარმოდგენას, რომელიც ჩვენ შევადგინეთ ამ თეორიის პრაქტიკული შედეგების შესახებ. მეორედ, ის ააშკარავებს თავის **რეაქციონურ** ხასიათს სწრაფ განვითარების გზაზე მდგომ კაპიტალისტურ განვითარების პროცესის მიმართ. ამის გამო ჩვენს წინაშე სდგას საკითხი: როგორ უნდა ავხსნათ ან, უკეთ, როგორ უნდა დავახასიათოთ ბერნშტეინის თეორია, თუ მხედველობაში მივიღებთ კაპიტალიზმის ფაქტიურ განვითარებას?

რომ ეკონომიური წინამძღვრები, რომლიდანაც გამოდის ბერნშტეინი თანამედროვე სოციალურ ურთიერთობათა ანალიზის დროს, —მისი კაპიტალიზმის „შეგუების" თეორია,—არაფერს არ ეყრდნობა, ეს, ვგონებ, საკმაოდ დამტკიცებული იყო პირველ ნაწილში. ჩვენ დავინახეთ, რომ არც კარტელები, არც კრედიტები არ შეიძლება ჩათვლილ იქნან კაპიტალისტურ მეურნეობის „შეგუების" საშუალებად, რომ არც კრიზისების გადავარდნა, არც საშუალო წოდების გამძლეობა არ წარმოადგენენ კაპიტალისტურ შეგუების სიმპტომებს. მაგრამ შეგუების თეორიის ყველა ზემოაღნიშნული წვრილმანები, მათი აშკარა მუშაობის გარდა, ატარებენ კიდევ ერთ მეტად დამახასიათებელ ნიშანს. ეს თეორია განიხილავს ეკონომიური ცხოვრების ყველა მისთვის საინტერესო მოვლენებს არა როგორც ორგანიულ ნაწილებს მთლიან კაპიტალისტურ განვითარების პროცესისა, არა იმ კავშირში, რომელშიაც ის იმყოფება მთელ სამეურნეო მექანიზმთან, არამედ ამ კავშირის გარეშე, დამოუკიდებლად, როგორც უსულო მანქანის disjecta membra (ურთიერთ განშორებულ ნაწილებს). ავიღოთ, მაგალითად, თეორია **კრედიტის** გავლენის შესახებ კაპიტალიზმის შეგუებაზე. თუ კრედიტს მიუდგებით, როგორც ბუნებრივად განვითარებულ გაცვლის უფრო მაღალ საფეხურს და დაუკავშირებთ მას ყველა კაპიტალისტურ გაცვლისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, მაშინ არ შეიძლება ამასთან ერთად დავინახოთ მასში რაღაც გაცვლის პროცესის გარეშე მდგომი მექანიური „შეგუების საშუალება", ისევე, როგორც არ შეიძლება ფულს, როგორც ასეთს, საქონელს, კაპიტალს უწოდოთ კაპიტალიზმის „შეგუების საშუალებანი". მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობის განსაზღვრულ საფეხურზე კრედიტი ხომ მის ორგანიულ ნაწილს წარმოადგენს არა ნაკლებ ფულისა, საქონლისა და კაპიტალისა და ამ საფეხურზე ის, მათ მსგავსად, უნდა ჩაითვალოს ამ მეურნეობის მექანიზმის აუცილებელ ნაწილად და განადგურების იარაღად, რადგანაც კრედიტი აძლიერებს, შეცვლილ პირობებში კი ანახლებს, მის შინაგან წინააღმდეგობებს.

ეროვნული

იგივე შეიძლება ითქვას კარტელებზე და გაუმჯობესებულ მიმოსვლის საშუალებებზე.

იგივე მექანიური და არა დიალექტიური თვალსაზრისი გამოსჭვივის შემდეგშიაც, როდესაც ბერნშტეინი სთვლის კრიზისების გადავარდნას კაპიტალისტური მეურნეობის „შეგუების" სიმპტომად. მისთვის კრიზისები წარმოადგენენ სამეურნეო მექანიზმის უბრალო შეფერხებას, და თუ ისინი აღარ დარჩებიან, მექანიზმს შეუძლია, რასაკვირველია, იმოქმედოს შეუჩერებლად. მაგრამ ფაქტიურად კრიზისები არ ჩაითვლება „შეფერხებად", ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ანუ, უკეთ, ეს დეფექტია, ურომლისოდ კაპიტალისტური მეურნეობა საერთოდ ვერ იარსებებს. და თუ მართალია ის, რომ კრიზისები, მოკლეთ რომ ვთქვათ, წარმოადგენენ კაპიტალისტურ ნიადაგზე ერთად-ერთ შესაძლებელ და ამისათვის სრულიად ნორმალურ მეთოდს, რომლითაც დაძლეულ უნდა იქნას წინააღმდეგობა, გამოწვეული ერთი მხრივ საწარმოო ძალთა განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობით და მეორე მხრივ მისი გამოყენების ვიწრო ფარგლებით, მაშინ ისინი უნდა ჩაითვალონ მთლიანად აღებულ კაპიტალისტურ მეურნეობისაგან განუყოფელ, ორგანიულ მოვლენად.

წარმოების „შეუფერხებელი" მსვლელობა წარმოადგენს კაპიტალისტურ მეურნეობისათვის მეტს საშიშროებას, ვიდრე თვით კრიზისები. მოგების ნორმის შეუჩერებელი დაცემა, რომელიც გამოწვეულია არა წინააღმდეგობით წარმოებისა და გაცვლის შორის, არამედ თვით შრომის ნაყოფიერების განვითარებით, შეიცავს სახიფათო ტენდენციას, რამდენადაც ის შეუძლებლად ხდის წარმოების გაგრძელებას წვრილ და საშუალო კაპიტალებისათვის და ხელს უშლის ახალი კაპიტალების აღმოცენებას და, მასთან ერთად, განვითარებას. სწორედ კრიზისები, რომელიც იმავე პროცესის მეორე შედეგს წარმოადგენენ, კაპიტალის და წარმოების საშუალებათა პერიოდული **გაიაფების** და მომქმედ კაპიტალის ერთი ნაწილის შეჩერების გზით იწვევენ ამავე დროს მოგების გადიდებას, რითაც გზას უხსნიან წარმოებაში ახალ კაპიტალებს და, ამ რიგად, ხელს უწყობენ უკანასკნელთა განვითარებას. ამისათვის ისინი საუკეთესო საშუალებაა ოდნავ მბჟუტავ კაპიტალისტური განვითარების ცეცხლის გასაღვივებლად, და მათი გადავარდნა—არა მსოფლიო ბაზრის განვითარებისა რომელიმე ვანსაზღვრულ ფაზის განმავლობაში, როგორც ეს მიღებულ გვაქვს ჩვენ, არამედ საერთოდ გადავარდნა—წაიყვანდა კაპიტალისტურ მეურნეობას არა გაფურჩქვნისაკენ, როგორც ეს წარმოუდგენია ბერნშტეინს, არამედ დაღუპვისაკენ. თავისი მექანიკური თვალსაზრისის გამო, რა-

იც ახასიათებს მთელ შეგუების თეორიას, ბერნშტეინი ყურადღებას არ აქცევს არც კრიზისების დადებით მნიშვნელობას, არც კაპიტალის დეცენტრალიზაციის ტენდენციას; ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ წვრილ კაპიტალთა განუწყვეტელი ადმოცენება მიაჩნია მას კაპიტალისტურ დაქვეითების ნიშნად, და არა კაპიტალიზმის ნორმალურ განვითარების მაჩვენებლად, როგორც ეს არის სინამდვილეში.

არსებობს, მართალია, ისეთი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ყველა განხილული მოვლენები მართლაც იმ სახით წარმოიდგინება, როგორითაც მას ხატავს შეგუების თეორია. ეს არის **ცალკე** კაპიტალისტების თვალსაზრისი, რომელნიც კონკურენციის კანონების ზეგავლენით დამახინჯებულად შეიცნობენ ხოლმე ეკონომიურ ცხოვრების ფაქტებს. ყოველი ცალკე კაპიტალისტი მთლიან სახალხო მეურნეობის თვითეულ ორგანიულ ნაწილში მართლადაც ხედავს სრულიად დამოუკიდებელ რასმეს; შემდეგ, ის ხედავს მათში მხოლოდ იმ მხარეს, რომლითაც ისინი ზემოქმედებენ მასზე, ცალკე კაპიტალისტზე, ე. ი. ხედავს მათში მხოლოდ „შეფერხებას“ და „შეგუების საშუალებებს“. ცალკე კაპიტალისტზე კრიზისები მოქმედებენ მხოლოდ როგორც „შეფერხებანი“, და მათი შეწყვეტა უზრუნველყოფს კაპიტალისტისათვის უფრო ხანგრძლივ არსებობას; სწორედ ამ რიგადვე კრედიტი მისთვის წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც ის „შეუგუებს“ თავის ნაკლულოვან წარმოებითი ძალებს ბაზრის მოთხოვნილებებს; დაბოლოს, კარტელი, რომელშიაც ის შედის, მართლადაც სპობს მისთვის წარმოების ანარქიას.

ერთი სიტყვით, ბერნშტეინის შეგუების თეორია წარმოადგენს მეტს არაფერს, ვიდრე ცალკე კაპიტალისტის აზრთა მსვლელობის თეორეტიულ განზოგადოებას. მაგრამ შესაძლოა თუ არა ეს აზრთა წყობა, თეორიულად დალაგებული, ბურჟუაზიულ-ვულგარულ ეკონომიის დამახასიათებელ არსების გამოხატულება იყოს? ამ სკოლის ყველა ეკონომიური შეცდომები ემყარება სწორედ იმ გაუგებრობას, რომ კონკურენციის მოვლენებში, რომლებსაც ისინი უყურებენ ცალკე კაპიტალისტთა თვალსაზრისით, ისინი ხედავენ მთელი კაპიტალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელ მოვლენებს. და სწორედ ისევე, როგორც ბერნშტეინი უყურებს კრედიტს, ვულგარული ეკონომია უყურებს ფულს, როგორც გაცვლის მოთხოვნილებებისადმი „შეგუების საშუალებას“. კაპიტალისტურ ავადმყოფობისაგან განმკურნავ ძალას ის ეძებს თვით კაპიტალიზმის მოვლენებში: ბერნშტეინთან ერთად მას სწამს, რომ შესაძლებელია კაპიტალისტურ მეურნე-

ეროვნული

ობის მოწესრიგება, და ის, ბერნშტეინის მსგავსად, ხშირად მიმართავს კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა დაჩლუნგების თეორიას, მალამოს კაპიტალისტურ ჭრილობათათვის, სხვა სიტყვებით, რეაქციონურ და არა რევოლიუციონურ ზომებს, ე.-ი. უტოპიას. ამ რიგად მთელი ბერნშტეინის თეორია შეიძლება დახასიათებულ იქნას შემდეგნაირად: ბერნშტეინის თეორია არის სოციალისტური დაკნინების თეორია, დასაბუთებული, ვულგარულ ეკონომისტების მიბაძვით, კაპიტალისტურ დაკნინების თეორიის მეოხებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწილი მეოთხე[1]).

1. ეკონომიური განვითარება და სოციალიზმი.

პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლის განვითარებაში ყველაზე უფრო დიდ მონაპოვარად ის აღმოჩენა უნდა ჩაითვალოს, რომლის შეხედვით სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობა კაპიტალისტურ საზოგადოების **ეკონომიურ ურთიერთობათაგან** გამომდინარეობს. ამ აღმოჩენის მეოხებით სოციალიზმი იმ „იდეალისაგან", რომელსაც ის წარმოადგენდა კაცობრიობისათვის ათასეულ წლების განმავლობაში, გადაიქცა **ისტორიულ აუცილებლობად**.

ბერნშტეინი სადაოდ სცნობს თანამედროვე საზოგადოებაში სოციალიზმის ასეთი ეკონომიური წინამძღვრების არსებობას, მაგრამ ამასთან ერთად თვითონ ის თავის დასაბუთებაში განიცდის მეტად საინტერესო ევოლიუციას. პირველად ის „Neue Zeit"-ში უარყოფდა მხოლოდ კონცენტრაციის სისწრაფეს ინდუსტრიაში, რის დასამტკიცებლადაც ის სარგებლობს გერმანიის 1895 და 1882 წლების სამრეწველო სტატისტიკით მიღებულ ცნობების შედარებით. მაგრამ ამ ცნობების თავისი მიზნისათვის გამოსაყენებლად მას დასჭირდ მეტად საერთო მექანიურ მეთოდებისათვის მიმართვა. მიუხედავათ ამისა, ბერნშტეინმა, უკეთეს შემთხვევაში ოდნავადაც ვერ დაარღვია მარქსის ანალიზი საშუალო წარმოებათა გამძლეობაზე მითითებით, რადგანაც მარქსი სოციალიზმის განხორციელების პირობად არ სთვლის არც მრეწველობის კონცენტრაციის განსაზღვრულ ტემპს, ან სხვა სიტყვებით, არ აწესებს გარკვეულ **ვადას** სოციალიზმის საბოლაო მიზნის განსახორციელებლად, არც წვრილ კაპიტალების და წვრილი ბურჟუაზიის გაქრობას, როგორც ჩვენ ეს ზევით დავინახეთ.

თავის შეხედულებათა შემდგომ განვითარების დროს, ბერნშტეინს, მათი სამართლიანობის დასამტკიცებლად, მოყავს თავის წიგნში ახალი მასალა—**სააქციო საზოგადოებათა სტატისტიკა**. რომელმაც უნდა დაგვანახვოს, რომ აქციონერთა რიცხვი თანდათანობით მატუ-

---

[1]) ედ. ბერნშტეინის წიგნის შესახებ: „Die Voraussetzungen des Sozialismus und die Aufgabe der Sozialdemokratie".

ლობს, და, მაშასადამე, კაპიტალისტთა კლასი კი არ მცირდება, არა-მედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო იზრდება. პირდაპირ საოცარია, რა რიგ ცუდათ იცნობს ბერნშტეინი სათანადო მასალას და რა რიგ უმართებულოდ იყენებს მას თავის მიზნებისათვის.

თუ ის მოწადინებული იყო დაემტკიცებია სააქციო საზოგადოე-ებათა მეოხებით რაიმე საწინააღმდეგო მარქსის სამრეწველო განვი-თარების კანონისა, მას სრულიად სხვა ციფრები უნდა მოეყვანა. ყველა, ვინც კი გერმანიაში სააქციო საზოგადოებათა დაარსების ისტორიას გაეცნობა, ადვილად დაინახავს, რომ ძირითადი კაპიტალი, რომელიც უწევს საშუალოდ თვითეულ საწარმოო დაწესებულებას, თითქმის სწორი თანდათანობით კლებულობს. ასე მაგ., 1871 წლამდე ეს კაპიტალი შეადგენდა დაახლოვებით 10,8 მილიონ მარკას, 1871 წელში მხოლოდ 4,01 მილ. მარკას, 1873 წ.—3,8 მილ. მარკას, 1883—1887 წ.წ. ერთ მილიონ მარკაზე ნაკლებს, 1891 წ. მხოლოდ 0,56 მილ. მარკას, 1892 წ.—0,62. მილ. მარკას; შემდეგ ეს თანხა იზრდება 1 მილიონამდე, მაგრამ 1,78 მილ. მარკიდან 1895 წ. ის ხელახლა ეშვება 1897 წლის პირველ ნახევარში 1,19 მილ. მარკამდე[1]).

საოცარი ციფრებია! მათი საშუალებით ბერნშტეინი, ალბად, დაასაბუთებდა, მარქსის საწინააღმდეგოდ, განსაზღვრულ ტენდენციას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მსხვილი მრეწველობა თანდათა-ნობით ადგილს უთმობს წვრილს. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ყველას შეეძლო მისთვის შემდეგი მოთხოვნილება წამოეყენებია: თუ თქვენ ამ სტატისტიკით გსურთ რაიმე დაამტკიცოთ, უპირველეს ყოვლისა უნდა დაგვანახვოთ, რომ ის ეკუთვნის მრეწველობის **ერთ და იმავე** დარგებს, და რომ წვრილ წარმოებებმა წინანდელ მსხვილთა **ადგილი დაიჭირეს** სწორედ მათში და არ აღმოცენებულან იქ, სადაც მანამდე არაფერი არ იყო, ან იყო მხოლოდ ხელოსნური ან პაწაწკინტელა წარმოებები. მაგრამ ამის დამტკიცებას თქვენ ვერ შესძლებთ, რად-განაც უზარმაზარ სააქციო დაწესებულებათაგან საშუალოებზე ან წვრილებზე გადასვლა შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ სააქ-ციო საქმე თანდათან ფეხს იკიდებს მრეწველობის ახალ დარგებში და თუ ის პირველად გამოსადეგი იყო მხოლოდ მცირერიცხვოვან კოლოსალურ დაწესებულებათათვის, ეხლა ის სულ უფრო და უფრო ეგუება საშუალო და წვრილ წარმოებასაც კი (ხშირად შეხვდებით სააქციო საზოგადოებას 1.000 მარკაზე ნაკლები კაპიტალით).

მაგრამ რას მოასწავებს სააქციო დაწესებულებათა რიცხვის

---

[1]) Von der Borght, „Handwörterbuch d. Svaatwssenschaften J".

ასეთი განუწყვეტელი ზრდა სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით? ის მაჩვენებელია **წარმოების განსაზოგადოებრივების შეუჩერებელი განვითარებისა** კაპიტალისტურ ფორმაში, განსაზოგადოებრივების, რომელიც შეეხება არა მარტო უზარმაზარ, არამედ საშუალო და წვრილ წარმოებასაც კი, მაშასადამე, მიუთითებს ისეთს მოვლენაზე, რომელიც არამც თუ არ ეწინააღმდეგება მარქსის თეორიას, არამედ, პირიქით, ბრწყინვალეთ ადასტურებს მას.

მართლადაც, რას წარმოადგენს სააქციო დაწესებულება ეკონომიური მხრივ. ჯერ-ერთი, მრავალ ფულის კაპიტალთა შეერთებას ერთ საწარმოო კაპიტალად, ერთ სამეურნეო ერთეულად; მეორედ, წარმოების დაშორებას კერძო საკუთრებისაგან კაპიტალზე, მაშასადამე, ორნაირ გამარჯვებას კაპიტალისტურ წარმოების წესებზე, მაგრამ თვით კაპიტალიზმის ნიადაგზე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რას მოასწავებს ერთ და იმავე სააქციო დაწესებულების მონაწილეთა მრავალრიცხვოვანობა, რომელზედაც ლაპარაკობს ბერნშტეინის სტატისტიკა? მხოლოდ იმას, რომ ეხლანდელ დროში ერთი კაპიტალისტური დაწესებულება დაკავშირებულია არა ერთ კაპიტალისტურ მესაკუთრესთან, როგორც ეს იყო წინად, არამედ მრავალთან, რომ, ამ რიგად, ეკონომიური ცნება „კაპიტალისტი“ უფრო ვრცელია, ვიდრე ცნება „ადამიანი“, რომ თანამედროვე კაპიტალისტური შემკრები პიროვნებაა, რომელიც შესდგება ასეულ, ან ზოგჯერ, ათასეულ პირთაგან, რომ კატეგორია „კაპიტალისტი“ ჯერ კიდევ კაპიტალისტურ მეურნეობის ჩარჩოებში საზოგადოებრივი ხდება, **განსაზოგადოებრივების** ტენდენციას ემორჩილება.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში როგორღა აიხსნება ის, რომ ბერნშტეინი ხედავს სააქციო საზოგადოებათა დაარსებაში არა კაპიტალის კონცენტრაციას, არამედ, პირიქით, მის დაქუცმაცებას, რომ ის ხედავს კაპიტალზე კერძო საკუთრების განვითარებას იქ, სადაც მარქსი ხედავს „ამ საკუთრების მოსპობას“? ეს შეიძლება აიხსნას სრულიად უბრალო შეცდომით, რომელიც სჩვევია ვულგარულ ეკონომიას: ბერნშტეინის აზრით კაპიტალისტი წარმოადგენს არა წარმოებითს, არამედ კერძო საკუთრების უფლებრივ კატეგორიას, არა ეკონომიურს, არამედ საგადასახადო ერთეულს, ხოლო კაპიტალი—არა წარმოებითი მთლიანობას, არამედ უბრალო ფულის ქონებას. ამიტომაც ის ხედავს თავის ინგლისის ძაფის დამამზადებელ ტრესტში არა 12.300 პირთა შეერთებას ერთ პიროვნებად, არამედ 12.300 კაპიტალისტს; და სწორედ ამისათვის თავის ინჟინერ შულცში, რომელმაც მზითვის სახით რანტიე მილლერისაგან

ეროვნული

მიიღო „აქციათა მნიშვნელოვანი რიცხვი“, აგრეთვე ხედავს ერთს კაპიტალისტს: ამიტომაც მთელი ქვეყანა სავსეა მისთვის „კაპიტალისტებით“ [1]).

მაგრამ აქაც, როგორც ყოველთვის, ვულგარულ ეკონომიის შეცდომას ბერნშტეინი გამოიყენებს როგორც თეორეტიულ საფუძველს სოციალიზმის ვულგარიზაციისათვის. გადააქვს რა ცნება კაპიტალისტი წარმოებითი ურთიერთობასთან საკუთრების ურთიერთობებზე და „ლაპარაკობს რა მწარმოებელის მაგივრად ადამიანზე“, ბერნშტეინს ამასთან ერთად გადააქვს სოციალიზმის საკითხი წარმოების სფეროდან ქონებრივ ურთიერთობათა სფეროში, **კაპიტალის და შრომის** ურთიერთობიდან **სიმდიდრის და სიღარიბის** ურთიერთობაში. ამით ჩვენ შეუმჩნევლად ვშორდებით მარქსს და ენგელსს და ვუახლოვდებით „საწყალ ცოდვილის სახარების“ ავტორს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვეიტლინგმა სწორი პროლეტარული ინსტინქტით დაინახა, პრიმიტიულად, ამ წინააღმდეგობაში სიმდიდრისა და სიღარიბის შორის კლასიური წინააღმდეგობანი და მოწადინებული იყო გადაექცია ეს სოციალისტური მოძრაობის უმთავრეს ძალად; ბერნშტეინს კი, პირიქით, ერთად ერთ საიმედო საშუალებად სოციალიზმის განხორციელებისა მიაჩნია ღარიბთა მდიდრებად გადაქცევა, ე.-ი. კლასიურ წინააღმდეგობათა მიჩქმალვა, მაშასადამე, წვრილ-ბურჟუაზიული ზომები.

მართალია, ბერნშტეინი არ კმაყოფილდება საშემოსავლო სტა-

---

[1]) Notabene! ბერნშტეინს, ალბად, წვრილ აქციათა შესამჩნევი გავრცელება იმის მაჩვენებლად მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრე, აქციათა სახით, სრულიად პატარა ადამიანებმაც იგემეს. მართლადაც, ვინ მოიცლის წვრილ ბურჟუასა ან მუშის გარდა იმისათვის, რომ შეიძინოს აქცია, რომლის ღირებულება უდრის ასეთს უმნიშვნელო თანხას, როგორც მაგ. 1 გირვ. სტერლ. ან 20 მარკა! სამწუხაროდ, ეს დაშვება ეყრდნობა ჩვეულებრივ არითმეტიკულ შეცდომას: მხედველობაში იღებს აქციათა ნომინალურ ფასს მისი საბაზრო ფასის მაგივრად, ეს კი ერთი და იგივე როდია. ავიღოთ მაგალითი. სამთამადნო მრეწველობის ბირჟაზე იყიდება, სხვათა შორის, სამხრეთ-აფრიკის მაღაროთა აქციები; ამ აქციათა ნომინალური ფასი, ისევე როგორც უმეტეს სამთამადნო მრეწველობის აქციათა ფასი, შეადგენს 1 გირვ. სტერლ. ან 20 მარკას. მაგრამ ამ ჟამად მათი ფასი უდრის 43 გირვანქას (იხ. მარტის ბოლოში გამოსული ბირჟის ბიულლეტენი), ე.—ი. არა 20 მარკას, არამედ 860-ს! ასეთივე სურათი მეორდება საერთოდ ყოველგან. მაშასადამე, „წვრილი აქციები“, თუმცა ეს მეტად დემოკრატიულად გამოითქმის, წარმოადგენენ საშუალო-ბურჟუაზიულ და სრულიადაც არა წვრილ-ბურჟუაზიულ, მით უმეტეს პროლეტარულ „ასსიგნობებს საზოგადოებრივ სიმდიდრის მისაღებად“, ვინაიდან თავის ნომინალურ ფასად მათ იღებს აქციონერთა სრულიად უმნიშვნელო ნაწილი.

ტისტიკით. მას მოყავს არა ერთის, არამედ რამდენიმე ქყეყნის სამრეწველო სტატისტიკა: გერმანიის და საფრანგეთის, ინგლისის და შვეიცარიის, ავსტრიის და შეერთებული შტატების. მაგრამ რა სტატისტიკაა ეს! მასში მოყვანილია არა შედარებითი ციფრები რომელიმე ერთი ქვეყნის სხვადასხვა პერიოდებისა, არამედ ციფრები, რომლებიც შეეხება ერთ და იმავე პერიოდს სხვადასხვა ქვეყნებში. გარდა გერმანიისა, რომლის მიმართ ის იმეორებს თავის ძველ დაპირისპირებას 1895 და 1882 წლებს შორის, ის ერთმანეთს ადარებს არა ერთი რომელიმე ქვეყნის საწარმოო დაწესებულებათა მდგომარეობას სხვადასხვა მომენტებში, არამედ მხოლოდ აბსოლიუტურ ციფრებს სხვადასხვა ქვეყნების შესახებ (მაგ. ინგლისის შესახებ 1891 წლისათვის, საფრანგეთის 1894 წლისათვის, შეერთებული შტატების 1890 წლისათვის და სხ.). დასკვნა, რომელიც მას აქედან გამოყავს, მდგომარეობს მასში, რომ „თუ ამ ჟამად მსხვილი წარმოება მრეწველობაში ფაქტიურად სჭარბობს წვრილს, მასში, ყველა მასთან დაკავშირებული წარმოებანიც რომ ვიანგარიშოთ და მაგალითისათვის ავიღოთ ისეთი განვითარებული ქვეყანა, როგორიც არის პრუსია, დაბანდებულია, მაქსიმალურად, **მხოლოდ ნახევარი საერთოდ წარმოებაში მომუშავე პირთა რიცხვიდან**“; იგივე ითქმის მთელ გერმანიაზეც, ინგლისზე, ბელგიაზე და სხვებზე.

ამით ის, როგორც სჩანს, მიგვითითებს არა **ეკონომიური განვითარების** ამა თუ იმ ტენდენციაზე, არამედ მხოლოდ სხვადასხვაგვარ საწარმოო დაწესებულებათა ან სხვადასხვა პროფესიონალურ ჯგუფთა ურთიერთ **რაოდენობითი** მიმართებაზე. თუ ყოველივე ეს მოყვანილია სოციალიზმის შეუძლებლობის დასამტკიცებლად, ცხადია, ასეთი დამტკიცების წესი ემყარება იმ თეორიას, რომლის მიხედვით სოციალურ ჰიდილის შედეგი დამოკიდებულია მებრძოლ მხარეთა ურთიერთ რიცხვობრივ ფიზიკურ მიმართებაზე, ე.-ი. უბრალო ფიზიკურ ძალაზე. აქ ბერნშტეინი, რომელიც ყოველთვის და ყოველგან მუსრს ავლებს ბლანკისტებს, თვით ვარდება ბლანკისტების უდიდეს შეცდომაში, მართალია, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ბლანკისტები, როგორც სოციალისტები და რევოლიუციონერები უდავოდ და წინასწარ მიღებულად სთვლიდენ სოციალიზმის ეკონომიურ განხორციელების შესაძლებლობას და სწორედ ამაზე ამყარებდენ იმედებს ძალდატანებითი რევოლიუციის დროს, რომელიც მათ უნდა მოეხდინათ თუნდაც უმნიშვნელო უმცირესობის საშუალებით, მაშინ როდესაც ბერნშტეინს, პირიქით, ხალხის მასების რიცხვობრივ უპირატესობის უქონლობიდან გამოყავს დასკვნა სოციალიზმის ეკონომიური განხორ-

ციელების შეუძლებლობის შესახებ. სოციალ-დემოკრატია არ უკავ-შირებს თავის საბოლაო მიზანს არც უმცირესობის ძალდატანებით გამარჯვებას, არც უმრავლესობის რიცხვობრივ უპირატესობას; ის ეყრდნობა ეკონომიურ აუცილებლობას და ამ აუცილებლობის გაგებას, რომელიც უპირველესად ყოვლისა გამოიხატება **კაპიტალისტურ ანარქიაში.**

რაც შეეხება ამ უკანასკნელ გადამწყვეტ საკითხს კაპიტალისტურ მეურნეობის ანარქიის შესახებ, უნდა ითქვას, რომ თვით ბერნშტეინი უარყოფს დიდ და საყოველთაო და აია კერძო და ნაციონალურ კრიზისებს. ამით ის უარყოფს მხოლოდ ძალზე დიდ ანარქიას, და მისაღებად სცნობს მის არსებობას პატარა მასშტაბით. კაპიტალისტური მეურნეობა ბერნშტეინის თეორიაში მოგვაგონებს—მარქსის სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ—იმ სულელ ქალიშვილს, რომელსაც „მხოლოდ სულ პატარა ბავშვი“ აღმოაჩნდა. საბედისწერო მნიშვნელობა სწორედ იმას აქვს, რომ ასეთ რამეებში, როგორიც არის ანარქია, ცოტაც და ბევრიც—ერთნაირად მავნებელია. თუ ბერნშტეინი სცნობს მცირე ანარქიას, მან ისიც უნდა იცოდეს, რომ საქონლის მეურნეობის მექანიზმი თვითონ შეეცდება იმას, რომ გააძლიეროს ეს ანარქია უაღრეს წერტილამდე—კაპიტალიზმის დამხობამდე. მაგრამ თუ ბერნშტეინს შესაძლებლად მიაჩნია შეინარჩუნოს საქონლის მეურნეობა და შემდეგ თანდათანობით გათქვიფოს ეს მცირე ანარქია წესრიგსა და ჰარმონიაში, მაშინ ის ხელახლა ვარდება ვულგარულ ეკონომიის ერთ-ერთ ძირითად შეცდომაში, რადგანაც ის განიხილავს გაცვლის წესებს, როგორც წარმოების წესებისაგან დამოუკიდებელ რასმეს [1]).

---

[1]) მართალია, ბერნშტეინი საკმაოდ ვრცლად უპასუხებს ამ ბროშიურის პირველი ნაწილის ზოგიერთ პუნქტებს, მაგრამ თვით პასუხის საერთო ხასიათი ამყღავნებს მის საძნელო მდგომარეობას. ასე, მაგალითად, იმ კრიტიკის საპასუხოდ, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით მის მიერ კრიზისების უარყოფის წინააღმდეგ, ის კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ ჩვენ გადავაქციეთ მარქსის მთელი თეორია „მომავლის მუსიკად“. მაგრამ ეს ნიშნავს ჩვენი სიტყვების ზეტად თავისუფლად გაგებას, რადგანაც ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებდით, რომ კრიზისების სწორი მექანიური **პერიოდობა**, ან, უკეთ, კრიზისების ათწლიანი ციკლი, წარმოადგენს სქემას, რომელიც შეეფერება მხოლოდ სავსებით განვითარებულ მსოფლიო ბაზარს. რაც შეეხება მარქსის კრიზისების თეორიის **შინაარსს**, ჩვენ ის მივიჩნიეთ ერთადერთ მეცნიერულ თეორიად, რომელშიაც გაშუქებულია **უველა** აქამდე მომხდარ კრიზისების მექანიზმი და შინაგანი ეკონომიური მიზეზები. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ბერნშტეინის პასუხები ჩვენი კრიტიკის დანარჩენ პუნქტებზე. ასე, მაგალითად, ავიღოთ თუნდაც ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება, რომ კარტე-

ზედმეტი იქნებოდა აქ ბერნშტეინის წიგნიდან ყველა იმ ადგილების მოყვანა, სადაც ის ერთმანეთში ურევს პოლიტიკურ ეკონომიის სრულიად ელემენტარულ პრინციპებს. მაგრამ ერთ პუნქტს, რომელიც დაკავშირებულია საკითხთან კაპიტალისტური ანარქიის შესახებ, საჭიროა მოკლეთ შეეხოთ.

მარქსის კანონს შრომითი ღირებულების შესახებ ბერნშტეინი უწოდებს უბრალო აბსტრაქციას, რაიც, ალბად, მისთვის პოლიტიკურ ეკონომიაში ლანძღვას უდრის. მაგრამ თუ შრომითი ღირებულება მეტი არაფერია ვიდრე აბსტრაქცია, „გონებრივი ასახება", მაშინ ყოველ პატიოსან ბიურგერს, რომელმაც მოიხადა სამხედრო ბეგარა და შეიტანა გადასახადები, ისეთივე უფლება აქვს, როგორც მარქსს, მოჩმახოს ამის მსგავსი „გონებრივი ასახება", ე. ი. ღირებულების კანონი. „ისევე როგორც ბემ-ჯევონსისათვის დასაშვებია საქონლის ყველა თვისებათაგან განყენება, სარგებლიანობის გარდა, ასევე მარქსსაც უფლება ქონდა არ მიეღო მხედველობაში საქონელთა თვისებანი იმდენად, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, გადაიქცევ ადამიანის მარტივ

ლები არ შეიძლება წარმოადგენდენ საშუალებას კაპიტალისტური ანარქიის წინააღმდეგ, რადგანაც (როგორც ამას ამტკიცებს შაქრის მრეწველობა) ისინი იწვევენ მხოლოდ გაძლიერებულ კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე; ბერნშტეინი ამაზე უპასუხებს, რომ თუმცა ეს სრულიად სამართლიანი დებულებაა, მაგრამ სამაგიეროდ ამ გამწვავებულმა კონკურენციამ შაქრის მრეწველობაში შექმნა ინგლისში ყველეს და მარმელადის ფართე წარმოება. ეს პასუხი მოგვაგონებს ჩვენ ოლენდორფის თვითმასწავლებლის პირველ ნაწილში მოთავსებულ სავარჯიშო მაგალითებს: „სახელო მოკლეა, მაგრამ ჩექმა ვიწროა. მამა დიდია, მაგრამ დედა დასაძინებლად წავიდა".

ასეთივე ლოგიკით ილაშქრებს ბერნშტეინი ჩვენი დებულების წინააღმდეგ, რომ კრედიტი არ შეიძლება წარმოადგენდეს „შეგუების საშუალებას", მიმართულს კაპიტალისტური ანარქიის წინააღმდეგ, რადგანაც ის, პირიქით, უფრო აძლიერებს ამ ანარქიას; ბერნშტეინი ამაზე უპასუხებს, რომ კრედიტი გამანადგურებელ თვისებათა გარდა შეიცავს აგრეთვე „აღმადგენელ-შემომქმედ" თვისებებს, რომელთაც მარქსიც კი სცნობდა. იმისათვის, ვინც მარქსის თეორიის მიხედვით კაპიტალისტურ მეურნეობაში საერთოდ ხედავს ყველა დადებით წინამძღვრებს მომავალი სოციალისტური გადატრიალებისათვის, ეს განმარტება კრედიტის შესახებ არაფერს ახალს არ წარმოადგენს. სადაო იყო მხოლოდ საკითხი, აშკარავდება თუ არა კრედიტის ეს დადებითი, კაპიტალიზმის ფარგლების გამანადგურებელი მხარე კაპიტალისტურ მეურნეობაშიაც, შეუძლია თუ არა მას ანარქიის მოსპობა, როგორც ამტკიცებდა ბერნშტეინი, თუ ის თვით იქცევა წინააღმდეგობად და კიდევ უფრო აძლიერებს ანარქიას, როგორც ამაზე მიუთითებდით ჩვენ. ამისათვის ბერნშტეინის განმარტება კრედიტის „აღმადგენელ-შემომქმედ" თვისებების შესახებ, რაიც მთელ კამათის გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა, უნდა ჩაითვალოს უბრალო „თეორეტიულ გაქცევად" სადისკუსიო ველიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის მასის უბრალო განსაგნოვებრივებად“ (რუსული თარგმანი, გვ. 73).

ამრიგად, მარქსის საზოგადოებრივ შრომასაც და მენგერის აბსტრაქტულ სარგებლიანობასაც, ის ერთნაირი საზომით უდგება—ყოველივე ეს მხოლოდ აბსტრაქციაა. მაგრამ ამავე დროს ბერნშტეინს ავიწყდება, რომ მარქსის აბსტრაქცია მოგონება კი არაა, არამედ აღმოჩენა, რომ ის არსებობს არა მარქსის თავში, არამედ საქონლის მეურნეობაში, რომ ის ცხოვრობს არა მოჩვენებითი, არამედ რეალური და საზოგადოებრივი ცხოვრებით, და ეს მისი არსებობა იმდენად რეალურია, რომ მას სჭრიან, სჭედენ, სწონენ და განსაზღვრულ ფორმას აძლევენ. ეს მარქსის მიერ აღმოჩენილი აბსტრაქტულ-ადამიანური შრომა თავის განვითარებულ ფორმაში წარმოადგენს მეტს არაფერს, ვიდრე **ფულს**. და სწორედ ეს შეადგენს მარქსის ერთ-ერთ უგენიალეს აღმოჩენას, მაშინ როდესაც მთელ ბურჟუაზიულ ეკონომიისათვის, პირველ მერკანტილისტიდან დაწყებული უკანასკნელ კლასიკამდე, ფულის მისტიური არსებობა სრულიად გამოუცნობელი რჩებოდა.

პირიქით, ბემ-ჯევონსის აბსტრაქტული სარგებლიანობა მართლადაც მხოლოდ „გონებრივ ასახებას“ წარმოადგენს ან, უკეთ რომ ვთქვათ, უგუნურობის და გონება დახშულობის ნასახს, რომელშიაც არავითარი ბრალი არ უძევს არც კაპიტალისტურ და არც რომელიმე სხვა ადამიანთა საზოგადოებას, არამედ მხოლოდ და სავსებით ბურჟუაზიულ—ვულგარულ ეკონომიას. ასეთი „გონებრივი ასახებით“ თავში ბერნშტეინს, ბემს და ჯევონსს მთელი თავისი სუბიექტიური კომპანიით შეუძლიათ კიდევ ოცი წელიწადი იდგნენ ფულის საიდუმლოების წინაშე და მივიდენ მხოლოდ იმ დასკვნამდე, რომელიც ისედაც კარგად იცის ყოველ მეჩექმემ: რომ ფული, ბოლოს და ბოლოს, „სასარგებლო რამეა“.

ამრიგად ბერნშტეინმა საბოლოოდ დაკარგა უნარი მარქსის ღირებულების კანონის გაგებისა. მაგრამ იმისათვის, ვინც ზერელედ მაინც იცნობს მარქსის ეკონომიურ სისტემას, სრულიად აშკარა უნდა იყოს, რომ ამ კანონის გარეშე მთელი სისტემის გაგება შეუძლებელი ხდება, ან, უფრო კონკრეტულად, თუ საქონლის და საქონლის გაცვლის არსებას ვერ გავიგებთ, კაპიტალისტური მეურნეობა და ყველა მასთან დაკავშირებული მოვლენები ჩვენთვის საიდუმლოებას უნდა წარმოადგენდენ.

მაგრამ რა ჯადოსნური გასაღებია ეს, რომელმაც გზა გაუხსნა მარქსს ყველა კაპიტალისტურ მოვლენების უდიდეს საიდუმლოებათა

გამოცნობისაკენ და შესაძლებლად გახადა მისთვის ისეთი პრობლემების გადაჭრა, რომელთა არსებობის შესახებ არც კი ეეჭვებოდათ ბურჟუაზიულ-კლასიკურ ეკონომიის ასეთ უდიდეს წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ რიკარდო და სმიტი? ასეთ გასაღების როლს თამაშობს სწორედ ის შეხედულება, რომ მთელი კაპიტალისტური მეურნეობა გაგებულ უნდა იქნას, როგორც **ისტორიული მოვლენა**, რომელშიაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო ის, რომ მას წინ უსწრებდა წარსულში, როგორც ამას საუკეთესო შემთხვევაში სჩადიოდა კლასიკური ეკონომია, არამედ ისიც, რაც მას შესცვლის მომავალში, ე. ი. კაპიტალისტური მეურნეობა განხილულ უნდა იქნას არა მხოლოდ ნატურალურ მეურნეობითი წარსულის მიმართ, **სოციალისტური მომავალის** მიმართაც. მარქსის მოძღვრების დედა-ბოძს, რომელზედაც ეყრდნობა მისი ღირებულების თეორია, მისი ფულის ანალიზი, მისი კაპიტალის თეორია, მაშასადამე, მთელი მისი ეკონომიური სისტემა, წარმოადგენს კაპიტალისტური მეურნეობის გარდამავალი ბუნება, მისი მომავალი დამხობა—და ეს მხოლოდ იმავე მოვლენის მეორე მხარეა—**სოციალისტური საბოლოო მიზანი**. სწორედ და მხოლოდ იმისათვის, რომ მარქსი უყურებდა თავიდანვე კაპიტალისტურ მეურნეობას, როგორც სოციალისტი, ე. ი. ისტორიული თვალსაზრისით, მან შესძლო გამოეცნო მისი იეროგლიფები; ხოლო იმის გამო, რომ მან სოციალისტური თვალსაზრისი ბურჟუაზიულ საზოგადოების მეცნიერულ ანალიზის გამოსავალ წერტილად გადააქცია, მან, პირიქით, შესძლო მეცნიერულად დაესაბუთებინა სოციალიზმი. საინტერესოა შევადაროთ ამასთან ბერნშტეინის წიგნის ბოლოში მოთავსებული შენიშვნები, სადაც ის საყვედურს გამოსთქვამს იმ „დუალიზმის შესახებ, რომლითაც გამსჭვალულია მარქსის უდიდესი შრომა“, „დუალიზმის შესახებ, რომელიც შდგომარეობს იმაში, რომ მარქსი სცდილობდა გადაექცია ეს შრომა მეცნიერულ გამოკვლევად და ამასთანავე მოწადინებული იყო დაემტკიცებინა დებულებები, წამოყენებული დიდი ხნის წინ მის შედგენამდე; ამრიგად ამ შრომას საფუძვლად უძევს სქემა, წინასწარ მიღებული დასკვნა, რომლისადმი თავის განვითარებაში უნდა მივიდეს გამოკვლევა. „კომუნისტური მანიფესტისაკენ“ დაბრუნება (აქ ეს ნიშნავს—სოციალისტური მიზნისაკენ! **ავტ. შენიშვნა**) იმის მაჩვენებელია, რომ, მართლადაც, „უტოპიზმის ნაშთები ჯერ კიდევ მოიპოვება მარქსის სისტემაში“ (გვ. 177, რუსულ თარგმანშია გვ. 313). მაგრამ მარქსის „დუალიზმი“ მეტი არაფერია, ვიდრე დუალიზმი სოციალისტურ მომავალის და კაპიტალისტურ აწმყოს, კაპიტალის და შრომის, ბურჟუა-

ზიის და პროლეტარიატის, ის წარმოადგენს **ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებულ დუალიზმის, ბურჟუაზიულ კლასობრივ წინააღმდეგობათა** უდიდეს მეცნიერულ ასახვას.

და თუ ბერნშტეინი მარქსის ამ თეორიულ დუალიზმში „უტოპიზმის ნაშთს" ხედავს, ამით ის მხოლოდ გულუბრყვილოდ აღიარებს იმას, რომ უარყოფს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისტორიული დუალიზმის, კაპიტალისტურ კლასიურ წინააღმდეგობათა არსებობას, რომ მისთვის სოციალიზმიც გადაიქცა „უტოპიზმის ნაშთად". ბერნშტეინის მონიზმი—ეს სამუდამოდ განმტკიცებულ კაპიტალისტურ წყობილების მონიზმია, მონიზმი სოციალისტის, რომელმაც უარყო საბოლოო მიზანი, რათა სამაგიეროდ ერთად-ერთ და უცვლელ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეპოვა კაცობრიობის განვითარების საზღვარი.

მაგრამ თუ ბერნშტეინი თვით ამჩნევს კაპიტალიზმის ეკონომიურ სისტემის წარმავალობას, მაგრამ ვერ ამჩნევს სოციალიზმისაკენ განვითარებას, ის, იმ მიზნით, რათა უკიდურეს შემთხვევაში, ფორმალურად მაინც იხსნას სოციალისტური პროგრამა, მიმართავს ეკონომიურ განვითარების გარეშე მდგომ იდეალისტურ კონსტრუქციებს და სცდილობს გადააქციოს სოციალიზმი საზოგადოებრივ განვითარების ისტორიულ ფაზიდან აბსტრაქტულ „პრინციპად".

ბერნშტეინის „ამხანაგობის პრინციპი", რომელმაც უნდა შეამკოს კაპიტალისტური მეურნეობა, ეს საცერში გატარებული სოციალისტური მიზანი, წარმოადგენს, ამ რიგად, არა დათმობას სოციალისტური მომავლის თეორიისათვის მისი ბურჟუაზიულ თეორიის მხრივ, არამედ დათმობას თავის სოციალისტური წარსულისადმი—თვით ბერნშტეინის მხრივ.

2. ეკონომიური და პოლიტიკური დემოკრატია.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბერნშტეინის სოციალიზმი წარმოადგენს გეგმას, რომლის მიხედვით მუშებს უნდა დაეთმოთ თავისი წილი საზოგადოებრივი სიმდიდრის განაწილების დროს, ღარიბები გადაქცეულ უნდა იქნენ მდიდრებად. როგორღა უნდა განხორციელდეს ეს? თავის სტატიებში: „Probleme des Sozialismus „Neue Zeit"-ში ბერნშტეინი კმაყოფილდება მხოლოდ ბუნდოვანი განმარტებით, მაგრამ თავის წიგნში ის უკვე სრულ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე: მისი სოციალიზმი უნდა განხორციელდეს ორის გზით: პროფესიონალურ კავშირთა საშუალებით, ან როგორც ბერნშტეინი უწოდებს მას, ეკონომიური დემოკრატიის საშუალებით, და ამხანაგობათა მეოხებით. პირველ

საშუალების გამოყენებით მას განზრახული აქვს ხელში ჩაიგდოს სამრეწველო მოგება, მეორე საშუალებით კი—სავაჭრო მოგება.

რაც შეეხება ამხანაგობას და პირველად ყოვლისა საწარმოო ამხანაგობებს, თავისი შინაგანი თვისებებით ისინი კაპიტალისტურ მეურნეობაში რაღაც ორ-სქესიან არსებას წარმოადგენენ: რამოდენიმედ განსაზოგადოებრივებულ წარმოებას კაპიტალისტურ გაცვლის ფარგლებში, მაგრამ კაპიტალისტურ მეურნეობაში გაცვლა ბატონობს წარმოებაზე, და კონკურენციის ზეგავლენით, აღვირ-წახსნილ ექსპლოატაციას, ე.-ი. წარმოების პროცესის სრულ დამორჩილებას კაპიტალის ინტერესებისათვის, საწარმოო დაწესებულებათა არსებობის პირობად ქმნის. პრაქტიკულად კი ეს გამოიხატება იმაში, რომ კაპიტალისტური წარმოება საჭიროებს შრომის ინტერესების უაღრეს დონემდე მიყვანას, მის შესუსტებას ან გაძლიერებას, ბაზრის მდგომარეობის მიხედვით, მუშა ხელის მომატებას ან ქუჩაში გამორეკას, ამასაც ბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით, ერთი სიტყვით, საჭიროებს ყველა იმ ზომებს, რომელნიც შესაძლებლად ხდიან კაპიტალისტურ საწარმოოსათვის კონკურენციაში გამარჯვებას. ამის გამო საწარმოო ამხანაგობებათ გაერთიანებული მუშები იძულებული ხდებიან დაემორჩილონ მძაფრ წინააღმდეგობებით აღსავსე აუცილებლობას: მათ თავისივე წინააღმდეგ უნდა გაამეფონ აბსოლიუტიზმის რეჟიმი, ყოველივე ამასთან დაკავშირებული მოვლენები, და თავისივე მიმართ ითამაშონ კაპიტალისტის როლი. ამ წინააღმდეგობებს დაღუპვისაკენ მიყავთ საწარმოო ამხანაგობანი, რადგანაც ისინი ან კაპიტალისტურ საწარმოო დაწესებულებად იქცევიან, ან, თუ მუშათა ინტერესები სჭარბობენ, სრულიად იშლებიან. აღნიშნავს რა თვითონ ამდაგვარ ფაქტებს, ბერნშტეინი, მიუხედავად ამისა, ვერ სწვდება მათ მნიშვნელობას და ქ-ნ პოტტერ-ვებთან ერთად „დისციპლინის“ უქონლობაში ხედავს საწარმოო ამხანაგობათა დაღუპვის მიზეზს. ის, რაც აქ ზერელედ და უსაფუძვლოდ დისციპლინად არის წოდებული, სინამდვილეში წარმოადგენს კაპიტალის ბუნებრივ და შეუხღუდველ რეჟიმს, რომლის დაწესება თავისივე მიმართ მუშებს, რასაკვირველია, არ შეუძლიათ.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ საწარმოო ამხანაგობებს შეუძლიათ იარსებონ კაპიტალისტურ მეურნეობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესძლებენ რაიმე საშუალებათ თავიდან აიცილონ ის წინააღმდეგობა წარმოების და გაცვლის წესებს შორის, რომელიც თვით მათ არსებაშია ჩაქსოვილი, და ამით ხელოვნურად განთავისუფლდენ კონკურენციის კანონების დამორჩილებისაგან. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ისინი თავიდანვე უზრუნველყოფენ თავისი საქონლის გასაღებას, ე. ი. თუ მათ ეყოლებათ

ეროვნული

მომხმარებელთა განსაზღვრული წრე. ამის მიღწევა შესაძლებელია **მომხმარებელთა კავშირების** საშუალებით. მხოლოდ ამაში მდგომარეობს ბერნშტეინისათვის თავსამტვრევ მოვლენის ბიზეზი, რომ დამოუკიდებელი საწარმოო ამხანაგობანი იღუპებიან, და მხოლოდ მომხმარებელთა კავშირებს ძალუძთ უზრუნველყონ მათი არსებობა: განსხვავება კი შემსყიდავ და გამყიდავ ამხანაგობათა შორის, როგორც მათ უწოდებს ოპენგეიმერი, აქ არაფერ შუაშია.

მაგრამ თუ, ამ რიგად, საწარმოო ამხანაგობათა არსებობის პირობები დაკავშირებულია თანამედროვე საზოგადოებაში მომხმარებელ კავშირთა არსებობის პირობებთან, აქედან შემდეგ ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ მათ მიერ დამზადებულ საქონლის გასაღების შესაძლებლობა, უკეთეს შემთხვევაში, განისაზღვრება ადგილობრივ ფარგლებით, თვით წარმოება კი ვრცელდება ზოგიერთ უშუალო მოხმარების პროდუქტებზე, მომეტებულად საარსებო მოთხოვნილებათა საგნებზე. კაპიტალისტურ წარმოების ყველა უმნიშვნელოვანესი დარგები, როგორიც არის ქსოვილების წარმოება, ნახშირის, ლითონის და ნავთის დამზადება და აგრეთვე მანქანების, ორთქლმავალთა და ხომალდების აღმშენებლობის დარგი, იმ თავითვე მომხმარებელ, და, მაშასადამე, მწარმოებელ ამხანაგობათა მოქმედების სფეროს გარეშე სდგანან. ამ რიგად, მწარმოებელი ამხანაგობანი, თავისი ორმაგი ხასიათის გარდა, უკვე მარტო იმისათვის არ შეიძლება ატარებდენ საერთო სოციალურ რეფორმის ხასიათს, რომ მათი საყოველთაოდ ცხოვრებაში გატარება გულისხმობს პირველად ყოვლისა მსოფლიო ბაზრის მოსპობას და მსოფლიო მეურნეობის დაშლას პატარ-პატარა ადგილობრივ ჯგუფებად, რომელთა მიზანი იქნება წარმოება და ნაწარმოებთა ურთიერთ გაცვლა; ეს კი არსებითად წარმოადგენს მსხვილ-კაპიტალისტურ მეურნეობის ხელახლა საშუალო საუკუნეთა საქონლის მეურნეობად გადაქცევას.

მაგრამ იმ ფარგლებშიაც კი, რომლებშიც შესაძლებელია მათი განხორციელება თანამედროვე საზოგადოების ნიადაგზე, მწარმოებელი ამხანაგობანი აუცილებლად წარმოადგენენ მომხმარებელ კავშირთა უბრალო დამატებას; ამ რიგად, მომხმარებელთა კავშირები გამოდიან მომავალ სოციალურ რეფორმების უმთავრეს მატარებლებად. მაგრამ ასეთს შემთხვევაში მთელი სოციალისტური რეფორმა, რომელიც უნდა გატარდეს ამხანაგობათა მეოხებით, წარმოადგენს უკვე არა ბრძოლას კაპიტალისტურ მეურნეობის უმთავრეს ბურჯთან —მწარმოებელ კაპიტალთან,—არამედ ბრძოლის სავაჭრო კაპიტალთან, და ისიც წვრილ-ვაჭრულ და შუამავალ კაპიტალთან, ე. ი. კაპიტალისტურ მეურნეობის წვრილ შტატთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება პროფესიონალურ კავშირებს, რომელნიც ბერნ-შტეინის აზრით, აგრეთვე უნდა ჩაითვალონ საშუალებად წარმოებითი კაპიტალის ექსპლოატაციისაგან თავის დასაცავად, ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ მათ არ ძალუძთ უზრუნველყონ მუშათა ზეგავლენა წარმოების პროცესზე, არც უკანასკნელის რაოდენობის განსაზღვრის მხრივ, არც მისი ტეხნიკის გაუმჯობესების მხრივ.

ხოლო რაც შეეხება წმინდა ეკონომიურ მხარეს, ან ბერნშტეინის სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, „ბრძოლის საშუალო ხელფასის ნორმის და მოგების ნორმის შორის," აქაც ეს ბრძოლა, როგორც ჩვენ უკვე შეძლება გვქონდა დაგვენახა, სწარმოებს არა უჰაერო სივრცეში, არამედ გარკვეულ ჩარჩოებში, რომლებიც განისაზღვრებიან სამუშაო ხელფასის კანონით, ისე რომ ამ ბრძოლით შეიძლება არა აღნიშნულ კანონის გაუქმება, არამედ მისი განხორციელება. ეს სრულიად ნათელი გახდება, თუ ამავე საგანს მეორე მხრივ განვიხილავთ და დავსვამთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორია არსებითად პროფესიონალურ კავშირთა ფუნქციები.

პროფესიონალური კავშირები, ბერნშტეინის აზრით, წარმოადგენენ იერიშის მიმტან მხარეს იმ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს მუშათა კლასი ინდუსტრიალურ მოგების ნორმის წინააღმდეგ და რომლის მიზანია ამ ნორმის თანდათანობის სამუშაო ხელფასის ნორმაში გათქვეფა; მაგრამ სწორედ ამ კავშირებს არ ძალუძთ ეკონომიური იერიში მიიტანონ მოგებაზე. ისინი ხომ მეტს არაფერს წარმოადგენენ, ვიდრე სამუშაო ძალის შეკავშირებულ თავდაცვას მოგების თავდასხმის წინააღმდეგ, მუშათა კლასის თავდაცვას კაპიტალისტურ მეურნეობის იმ ტენდენციისაგან, რომელიც მიმართულია მის დამონავებისაკენ. ეს აიხსნება ორი მიზეზით. ჯერ-ერთი, პროფესიონალურ კავშირთა დანიშნულებაა—ორგანიზაციის მეოხებით გავლენა იქონიონ იმ ბაზარზე, სადაც გამოაქვთ როგორც საქონელი—სამუშაო ძალა; მაგრამ რადგანაც, საშუალო ფენების პროლეტარიზაციის გამო, შრომის ბაზარზე განუწყვეტლივ გამოაქვს სულ ახალ-ახალი საქონელი, ეს ორგანიზაცია ვერასოდეს ვერ აღწევს თავის მიზანს. მეორედ, პროფესიონალური კავშირები მიზნად ისახავენ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ სიმდიდრის იმ ნაწილის გადიდებას, რომელიც წილად ხვდება მას. მაგრამ ეს ნაწილი, შრომის ნაყოფიერების გადიდების გამო, სულ უფრო და უფრო კლებულობს და თანაც ისეთი განუწყვეტელი თანდათანობით, თითქოს ჩვენ აქ საქმე გვქონდეს ბუნების მოვლენასთან. ამაში დასარწმუნებლად სრულიად არ არის საჭირო რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარქსისტი იყო, საკმარისია ერთხელ მაინც გადახედოთ როდბერტუსის თხზულება: „Zur Beleuchtung der sozialen Frage“ („სოციალურ საკითხის გაშუქებისათვის“).

ამრიგად, პროფესიონალური ბრძოლა თავის ორ უმთავრეს ფუნქციათა მხრივ კაპიტალისტურ მეურნეობის ობიექტიურ პირობების გამო იქცევა სიზიფის შრომად, რასაკვირველია, ეს სიზიფის შრომა აუცილებელია, თუ კი მუშას სწადია მიაღწიოს ისეთ სამუშაო ხელფასს, რომელიც შეეფერება ბაზრის არსებულ მდგომარეობას, თუ კი საერთოდ განხორციელებულ უნდა იქნას კაპიტალისტური კანონი სამუშაო ხელფასისა, თუ კი გაბათილებული ან, უკეთ, შესუსტებულ უნდა იქნას ეკონომიური განვითარების დამხშობი ტენდენცია. მაგრამ პროფესიონალურ კავშირების გადაქცევა ისეთ ორგანიზაციებად, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა მოგების თანდათანობით შემცირება სამუშაო ხელფასის გასადიდებლათ, მოითხოვს როგორც თავის სოციალურ წინამძღვარს, ჯერ-ერთი, საშუალო ფენების პროლეტარიზაციის შეწყვეტას და მუშათა კლასის ზრდის შეჩერებას, მეორედ, შრომის ნაყოფიერების განვითარების შეჩერებას, ე.—ი. ორივე შემთხვევაში გულისხმობს **უკან დაბრუნებას იმ ხანისაკენ, რომელიც წინ უსწრებდა მსხვილ-კაპიტალისტურ მეურნეობას**, სწორედ ისევე, როგორც ეს გულისხმობს მომხმარებელ კავშირებზე დამყარებულ ეკონომიურ წყობილებას. ამ რიგად ბერნშტეინის ორივე საშუალებანი სოციალური რეფორმისა—ამხანაგობანი და პროფესიონალური კავშირები—სრულიად უვარგისნი აღმოჩნდნენ კაპიტალისტური **წარმოების წესის** გარდასაქმნელად. არსებითად, თვით ბერნშტეინიც გრძნობს ამას ბუნდოვანად, რამდენადაც ის უყურებს მათ როგორც საშუალებას, რომლის მეოხებით შესაძლებელია მხოლოდ კაპიტალისტურ მოგების რამოდენიმე ნაწილის შენარჩუნება მუშათა კლასის გასამდიდრებლად. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის ხელს იღებს ბრძოლაზე **კაპიტალისტურ წარმოებასთან** და მთელ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას მიმართავს **კაპიტალისტურ განაწილების** წინააღმდეგ. ის ხშირად აღნიშნავს, რომ მისი სოციალიზმი წარმოადგენს მისწრაფებას „სამართლიან“, „უფრო სამართლიან“ და „კიდევ უფრო სამართლიან“ განაწილებისაკენ.

რასაკვირველია, უმთავრესი მიზეზი, რომელიც აიძულებს ამა თუ იმ პირს მონაწილეობა მიიღოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, არის, ყოველ შემთხვევაში ხალხის მასებისათვის, კაპიტალისტურ წყობილებაში გამეფებული „უსამართლო“ განაწილება. აწარმოებს რა ბრძოლას საერთოდ მთელი მეურნეობის განსაზოგადოები-

ეროვნული

სათვის, სოციალ-დემოკრატიაც მასთან ერთად, თავის თავად ცხადია, იბრძვის აგრეთვე საზოგადოებრივ სიმდიდრის „სამართლიანი განაწილებისათვის. მაგრამ მარქსის მიერ მიღწეულ აღმოჩენის გამო, რომ ესა თუ ის განაწილება წარმოადგენს მხოლოდ ბუნებრივ შედეგს ამა თუ იმ წარმოების წესისა, მისი ბრძოლა მიმართულია არა კაპიტალისტურ წარმოების **ჩარჩოებში** არსებულ განაწილების წინააღმდეგ, არამედ თვით საქონლის წარმოების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, სოციალ-დემოკრატია ისწრაფვის განახორციელოს **სოციალისტური განაწილება კაპიტალისტური წარმოების წესის** მოსპობის გზით, მაშინ როდესაც ბერნშტეინს მიზნად აქვს დასახული სრულიად საწინააღმდეგო: მას სურს გააუქმოს **კაპიტალისტური განაწილება** და ამ გზით თანდათანობით განახორციელოს **სოციალური წარმოება.**

მაგრამ რით უნდა იქნას დასაბუთებული ასეთ შემთხვევაში ბერნშტეინის სოციალისტური რეფორმა? კაპიტალისტური წარმოების გარკვეული ტენდენციებით? სრულიადაც არა. ჯერ-ერთი, ის თვითონ უარყოფს ამ ტენდენციებს, ხოლო მეორედ, წარმოების ის გარდაქმნა, რომელიც შეადგენს ჩვენს მიზანს, წარმოდგენილი აქვს მას, თანახმად ზემოაღნიშნულისა, არა განაწილების მიზეზებად, არამედ მის შედეგად. მაშასადამე, მისი სოციალიზმის დასაბუთება არ შეიძლება იყოს ეკონომიური. მიაჩნია რა სოციალიზმის საშუალებანი მის მიზნად და პირუკუ, და ამახინჯებს რა მასთან ერთად ყველა ეკონომიურ ურთიერთობებს, მას **არ შეუძლია** მისცეს თავის პროგრამას მატერიალური დასაბუთება, არამედ იძულებულია მიმართოს იდეალისტურს.

„რა საჭიროა სოციალიზმის ეკონომიურ აუცილებლობისაგან გამოყვანა?“—გვესმის ჩვენ მისი კითხვა. „რა საჭიროა ადამიანის გონების, უფლებრივი შეგნების და ნების დამცირება?“ („Vorwärts“, 1899 წ. 26 მარტის). მაშასადამე, ბერნშტეინის უფრო სამართლიანი განაწილება განხორციელებულ უნდა იქნას ადამიანის თავისუფალ, ეკონომიურ აუცილებლობისაგან დამოუკიდებელ ნების მეოხებით ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, რადგანაც თვით ნება მხოლოდ იარაღს წარმოადგენს, სამართლიანობის შეგნების მეოხებით, **სამართლიანობის იდეის მეოხებით.**

ამრიგად, ჩვენ შეუმჩნევლად მივაღწიეთ სამართლიანობის პრინციპს,—ამ ძველ, არაქათ გამოლეულ სახედარს, რომლითაც სარგებლობდენ მთელ ათასეულ წლების განმავლობაში სხვა უფრო საიმედო ისტორიულ მიმოსვლის საშუალებათა უქონლობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მო,—ყველა მსოფლიოს გამაუმჯობესებელნი. ჩვენ მივედით ამ მეტ-როსსინანტთან, რომელზედაც ყველა ისტორიაში ცნობილი დონ-ქიხოტები გამოდიოდნენ რეფორმათა ფართე ქვეყანაში მხოლოდ იმისათვის, რომ ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ დალილავებულ პირისახით.

ურთიერთობა ღარიბს და მდიდრის შორის, როგორც სოციალიზმის საზოგადოებრივი საფუძველი, ამხანაგობის „პრინციპი", როგორც მისი შინაარსი, „უფრო სამართლიანი" განაწილება, როგორც მისი მიზანი, და, ბოლოს, სამართლიანობის იდეა, როგორც მისი ერთად-ერთი ისტორიული გამართლება,—შეადარეთ ყოველივე ეს ვეიტლინგის აზრებს და თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად უფრო მეტი ძალა, სულიერი სილამაზე და გამჭრიახობა გამოიჩინა 50 წლის წინად ამ უტოპისტმა, როდესაც ის გამოდიოდა **ახეთი** სოციალიზმის წარმომადგენლად! და თანაც ეს გენიალური თერძი ჯერ კიდევ არ იცნობდა მეცნიერულ სოციალიზმს. და თუ ეხლა, ნახევარ საუკუნის შემდეგ, მთელი მისი თეორია, ნაკუწებად ქცეული მარქსის და ენგელსის მიერ, ხელახლა იკერება იმ მიზნით, რომ მოაწოდონ პროლეტარიატს, როგორც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა, ამისთვისაც, რასაკვირველია, საჭიროა თერძი... მაგრამ სრულიადაც არა გენიალური.

როგორც პროფესიონალური კავშირები და ამხანაგობანი წარმოადგენენ ბერნშტეინის თეორიის ეკონომიურს საძირკველს, ისე დემოკრატიის სიძლიერის თანდათანობითი ზრდა უნდა ჩაითვალოს მის უმთავრეს პოლიტიკურ პირობად. ყველა თანამედროვე რეაქციონური გამოსვლები მისი აზრით წარმოადგენს სულთმობრძავის უკანასკნელ მოძრაობას, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა მუშათა კლასიურ ბრძოლის საერთო მიმართულების აღების დროს სრულიადაც არ არის საჭირო. მაგრამ საქმე იმაში როდია, თუ რას ფიქრობს ბერნშტეინი რეაქციის ხანგრძლივობის შესახებ თავისი მეგობრების პირადი და წერილობითი განცხადების ზეგავლენით; საინტერესოა ის, თუ როგორია შინაგანი ობიექტიური კავშირი დემოკრატიისა და საზოგადოების ფაქტიური განვითარების შორის.

ბერნშტეინს დემოკრატია აუცილებელ საფეხურად მიაჩნია თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში; კიდევ მეტი, მისთვის, ისევე როგორც ლიბერალიზმის ბურჟუაზიულ თეორეტიკოსისათვის, დემოკრატია წარმოადგენს საერთოდ საზოგადოებრივ განვითარების უდიდეს ძირითად კანონს, და ამ კანონის განხორციელებას ხელი უნდა შეუწყოს პოლიტიკური ცხოვრების ყველა აქტიურ ძალებმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ასეთ აბსოლიუტურ ფორმაში გამოთქმული, ეს შეხედულება ძირიანად შემცდარია და წარმოადგენს მეტს არაფერს, ვიდრე ზეერელე, წვრილ-ბურჟუაზიულ აზრთაწყობას, რომელიც შაბლონად აქცევს ბურჟუაზიის განვითარების მეტად მცირე პერიოდის შედეგებს, პერიოდის, რომელიც შეიცავს უკანასკნელ 25-30 წელს. თუ დემოკრატიის განვითარების ისტორიას და კაპიტალიზმის პოლიტიკურ ისტორიას უფრო ახლო გავეცნობით, სრულიად სხვაგვარ დასკვნებამდე მივალთ.

რაც შეეხება დემოკრატიას, ჩვენ მას ვხვდებით სრულიად სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებში: პირველყოფილ კომუნისტურ საზოგადოებებში, მონობაზე დამყარებულ კლასიურ სახელმწიფოებში და საშუალო საუკუნეთა ქალაქის თემებში. სწორედ ასეთივე სხვადასხვაგვარ ეკონომიურ კომბინაციებში ვხვდებით ჩვენ აბსოლიუტიზმს და შეზღუდულ მონარქიას. მეორე მხრივ, კაპიტალიზმი თავის განვითარების დასაწყისშივე—საქონლის წარმოების ფორმაში—ქმნის დემოკრატიულ წყობილებას ქალაქის კომუნებში; შემდეგ, თავის უფრო განვითარებულ, მანუფაქტურულ ფორმაში, ის ჰპოვებს თავის შესაფერის პოლიტიკურ ფორმას შეუზღუდველ მონარქიაში. ბოლოს, როგორც სავსებით განვითარებული ინდუსტრიალური მეურნეობა, ის ქმნის თანისთანად დემოკრატიულ რესპუბლიკას (1793), ნაპოლეონ 1-ის აბსოლიუტურ მონარქიას (1804), რესტავრაციის ხანის არისტოკრატიულ მონარქიას (1815—1830), ლუი—ფილიპეს ბურჟუაზიულ-კონსტიტუციონურ მონარქიას, შემდეგ ისევ დემოკრატიულ რესპუბლიკას, ისევ ნაპოლეონ მე-III-ის მონარქიას და, ბოლოს, მესამეჯერ რესპუბლიკას, რომელიც, როგორც სჩანს, ხელახლა თავის უკანასკნელ წუთებს უნდა განიცდიდეს. გერმანიაში ერთად-ერთი ნამდვილად დემოკრატიული დაწესებულება—საყოველთაო საარჩევნო უფლება—წარმოადგენს არა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის მონაპოვარს, არამედ ცალკე წვრილ სახელმწიფოთა პოლიტიკურად შეკავშირების საშუალებას და მხოლოდ ამ მხრივ აქვს მნიშვნელობა გერმანეთის ბურჟუაზიის განვითარებისათვის, რომელიც საერთოდ სავსებით კმაყოფილდება ნახევრად-ფეოდალურ კონსტიტუციონურ მონარქიით. რუსეთში კაპიტალიზმი მშვენივრათ ვითარდება თვითმპყრობელობის პირობებშიაც, და ბურჟუაზია ჯერჯერობით არ იჩენს არავითარ მისწრაფებას დემოკრატიისაკენ. ავსტრიაში საყოველთაო საარჩევნო უფლება წარმოადგენდა პირდაპირ უებარ წამალს მომაკვდავ მონარქიისათვის, ხოლო რა რიგ სუსტად არის ის დაკავშირებული ნამდვილ დემოკრატიასთან, ამას ნათლად ამტკიცებს § 14 ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონობა [1]). ბოლოს, ბელგიაში მუშათა მოძრაობის დემოკრატიული მონაპოვარი—საყოველთაო საარჩევნო უფლება—უშუალო შედეგია მილიტარიზმის სისუსტისა, მაშასადამე, დაკავშირებულია ბელგიის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან; და თანაც, უპირველესად ყოვლისა, ეს „დემოკრატიის ნაჭერი" ბრძოლით მოპოებულია არა ბურჟუაზიის მიერ, არამედ ბურჟუაზიის **წინააღმდეგ**.

ამ რიგად, დემოკრატიის განუწყვეტელი ზრდა, რომელიც ბერნშტეინს და მთელ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს მსოფლიო, ან ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე ისტორიის უდიდეს ძირითად კანონად მიაჩნდათ, უახლოეს განხილვისას უბრალო მოჩვენება გამოდგა. შეუძლებელია რაიმე შინაგანი აბსოლიუტური კავშირის აღმოჩენა კაპიტალისტურ განვითარების და დემოკრატიის შორის. პოლიტიკური ფორმა ყოველ ცალკე შემთხვევაში წარმოადგენს ყველა პოლიტიკურ შინაგან და გარეგან ფაქტორების ზეგავლენის შედეგს და თავის ფარგლებში იტევს მთელ პოლიტიკურ სკალას, დაწყებული აბსოლიუტურ მონარქიიდან ვიდრე რესპუბლიკამდე.

თუ ჩვენ, ამრიგად, თავს დავანებებთ საერთო ისტორიულ მიმოხილვას დემოკრატიის განვითარებისა თანამედროვე საზოგადოების ფარგლებში და მივმართავთ ბურჟუაზიულ ისტორიის მხოლოდ თანამედროვე ფაზას, ჩვენ აქაც, ამ პოლიტიკურ მდგომარეობაში, შევხვდებით ფაქტორებს, რომელნიც ხელს უწყობენ არა ბერნშტეინის სქემის განხორციელებას, არამედ, პირიქით, ქმნიან სათანადო პირობებს იმისთვის, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებამ უარი სთქვას ყველა აქამდე მიღწეულ მონაპოვარზე.

ერთი მხრივ,—რაც მეტად მნიშვნელოვანია—დემოკრატიულ დაწესებულებებმა მომეტებულად უკვე შეასრულეს თავისი როლი ბურჟუაზიულ საზოგადოების განვითარებაში. რამდენადაც ისინი საჭიროებას წარმოადგენენ ცალკე წვრილ კუთხეების გასაერთიანებლად დიდ სახელმწიფოდ (გერმანია, იტალია), იმდენად ისინი ამ ჟამად

---

[1]) ე.—ი. § 14 1867 წლის 21 დეკემბრის სახელმწიფოს ძირითად კანონისა, რომელიც შესაძლებლად სცნობს კანონის შეცვლას იმპერატორის უქაზით თუ რეიხსრატის სხდომები იმ დროს შეწყვეტილია. ამ პარაგრაფით ავსტრიის მთავრობა არა ერთხელ სარგებლობდა და სახალხო წარმომადგენლობასთან ბრძოლის დროს. როდესაც რეიხსრატი დაჟინებით თავისაზე იდგა და არ უთმობდა, სესია დაშლილად ცხადდებოდა, და იმ დროს განმავლობაში, რომელიც საჭირო იყო ახალი რეიხსრატის მოწვევისათვის იცემოდა დადგენილებანი „კონსტიტუციის" მე-14 §-ის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ზედმეტნი არიან. ეკონომიური განვითარების ზეგავლენით ამ ხნის განმავლობაში უკვე მოხდა შინაგანი ორგანიული შედეგება, და ამ რიგად პოლიტიკური დემოკრატიის თვალსახვევი შეიძლება მოხსნილ იქნას სრულიად უვნებლად ბურჟუაზიულ საზოგადოების ორგანიზმისათვის.

იგივე უნდა ითქვას სანახევროდან სავსებით-ფეოდალურ პოლიტიკურ-ადმინისტრატიულ სახელმწიფო აპარატის კაპიტალისტურ მექანიზმად გადაქცევის შესახებ. ეს გადაქცევა, რომელიც ისტორიულად განუყოფელად დაკავშირებულია დემოკრატიასთან, იმდენად დასრულებულია, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია გავაუქმოთ სახელმწიფო წყობილების წმინდა დემოკრატიული დაწესებულებანი და თანაც სრულიადაც არ გვქონდეს იმის შიში, რომ ადმინისტრაცია, ფინანსები, სამხედრო საქმე და სხ. მიიღებენ ხელახლა იმ ფორმებს, რომელიც მათ ქონდათ მარტის რევოლიუციამდე.

თუ ამ მხრივ ლიბერალიზმი სრულიად ზედმეტ ბარგად გადაიქცა ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის, მეორე მხრივ ის მრავალ შემაფერხებელ პირობებს ქმნის მისთვის. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ორი ფაქტორი, რომელნიც დაღს ასვამენ თანამედროვე სახელმწიფოთა მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას: **მსოფლიო პოლიტიკა და მუშათა მოძრაობა;** ორივე ესენი წარმოადგენენ კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ფაზის სხვადასხვა მხარეს.

მსოფლიო მეურნეობის განვითარებამ, მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამწვავებამ და გაფართოებამ გადააქციეს მილიტარიზმი და მარინიზმი, როგორც მსოფლიო პოლიტიკის იარაღები, ყველა დიდ სახელმწიფოთა როგორც გარეშე, ისე შინაგან ცხოვრების უმთავრეს მომენტებად. მაგრამ თუ მსოფლიო პოლიტიკას და მილიტარიზმს, რამდენადაც ისინი დაკავშირებული არიან კაპიტალიზმის ეკონომიურ მოთხოვნილებებთან და მისწრაფებებთან, ეჩნევა ამ ჟამად **აღმოსავლის** ტენდენცია, ბურჟუაზიული დემოკრატია უნდა მოძრაობდეს **დაქვეითების** გზით. ამის თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ჩრდილო-ამერიკის კავშირი ესპანიის ომის შემდეგ. საფრანგეთში რესპუბლიკის არსებობა მიეწერება უმთავრესად საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც ჯერხნობით შეუძლებლად ხდის ომის დაწყებას. მაგრამ თუ საქმე ომამდე მივიდა, და თუ საფრანგეთი, როგორც ეს აქედანვე მოსალოდნელია ყველა ნიშნების მიხედვით, მოუმზადებელი აღმოჩნდა მსოფლიო პოლიტიკისათვის, მაშინ მის პირველსავე დამარცხებას ბრძოლის ველზე აუცილებლად მოყვება მონარქიის გამოცხადება პარიზში. გერმანიაში სულ უკანასკნელ ხანებ-

ში შეიარაღებაზე გაწეულმა ხარჯებმა (1893) და კიაო-ჩაოში შესვლით დაწყებულმა მსოფლიო პოლიტიკამ გააღებინეს ბურჟუაზიულ დემოკრატიას ორი მსხვერპლი: თავისუფალ მოაზროვნე პარტიის დაშლა და ცენტრის დამხობა.

და თუ საგარეო პოლიტიკა მიაქანებს ბურჟუაზიას რეაქციის ბანაკში, არა ნაკლებ გავლენას ახდენს პოლიტიკა მუშათა კლასის მისწრაფებებზე. ბერნშტეინი თვითონ ადასტურებს ამას, როდესაც მას სოციალ-დემოკრატიის „საშინელი ზღაპრები", ე. ი. მუშათა კლასის სოციალისტური მისწრაფებანი გამოყავს იმის მიზეზად, რომ ლიბერალურ ბურჟუაზიამ უღალატა თავის დროშას. ამისათვის ის ურჩევს პროლეტარიატს დაივიწყოს ოცნებობა სოციალისტურ საბოლოო მიზანზე, რათა ამით ხელახლა გამოიტყუოს რეაქციის სოროდან შიშისაგან თავზარდაცემული ლიბერალიზმი. მაგრამ, მიაჩნია რა სოციალისტური მუშათა მოძრაობის მოსპობა ბურჟუაზიულ დემოკრატიის განხორციელების აუცილებელ პირობად და სოციალურ წინამძღვრად, ბერნშტეინი ამით თვითონვე ნათლად ამტკიცებს, რომ ეს დემოკრატია იმდენადვე ეწინააღმდეგება თანამედროვე საზოგადოების განვითარების შინაგან ტენდენციას, რამდენადაც სოციალისტური მუშათა მოძრაობა **მის უშუალო პროდუქტს** შეადგენს.

მაგრამ ამით ის კიდევ სხვა რამესაც ადასტურებს. სთვლის რა მუშათა კლასის მიერ სოციალისტურ საბოლოო მიზნის უარყოფას, ბურჟუაზიულ დემოკრატიის აღდგენის უმთავრეს პირობად, ის ამით მიგვითითებს იმაზე, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალისტურ მოძრაობის და სოციალისტურ გამარჯვების აუცილებელ საფუძვლად და პირობად. აქ ბერნშტეინის მსჯელობა წარმოადგენს მოჯადოებულ წრეს, რომელშიაც დასკვნა „ყლაპავს" პირველ წინამძღვარს.

გამოსავალი ამ წრიდან მეტად მარტივია: ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმმა სული განუტევა შიშისაგან თანამედროვე მუშათა მოძრაობის და მისი საბოლოო მიზნების წინაშე, მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ სწორედ ეხლა დემოკრატიის **ერთადერთ** საფუძველს წარმოადგენს და შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ სოციალისტური მუშათა მოძრაობა და რომ არა სოციალისტური მოძრაობის ბედ-იღბალი არის დამოკიდებული ბურჟუაზიულ დემოკრატიისაგან, არამედ, პირიქით, დემოკრატიული განვითარების სვე-ბედი დამოკიდებულია სავსებით სოციალისტურ მოძრაობისაგან; შემდეგ, იგივე ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ დემოკრატიას მიემატება სასიცოცხლო ძალები არა იმ ზომამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენადაც მუშათა კლასი ხელს აიღებს თავის განმეთავისუფლებელ ბრძოლაზე, არამედ, პირიქით, იმ ზომამდე, რამდენადაც სოციალისტური მოძრაობა საკმაოდ მოღონიერდება იმისათვის, რომ შეებრძოლოს მსოფლიო პოლიტიკის და ბურჟუაზიულ ღალატის რეაქციონურ შედეგებს. ვისაც დემოკრატიის გაძლიერება სურს, ის უნდა ნატრულობდეს არა სოციალისტურ მოძრაობის დასუსტებას, არამედ მის გაძლიერებას, და სოციალისტური მიზნების უარისყოფა ნიშნავს მუშათა მოძრაობის და დემოკრატიის უარისყოფასაც.

თავის „პასუხში" რომელიც მან გასცა კაუტსკის „Vorwärts"-ის 1899 წლის 26 მარტის ნომერში, ბერნშტეინი აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს საერთოდ ის სავსებით იზიარებს და რომ ის ზოგ რამეებში ვერ ეთანხმება მხოლოდ ამ პროგრამის თეორეტიულ ნაწილს. მიუხედავად ამისა, ბერნშტეინი, როგორც სჩანს, იმ აზრისაა, რომ მას შეუძლია თავისი თავი პარტიის სრულ-უფლებიან წევრად ჩათვალოს და მასთან ერთად იაროს, ვინაიდან განა ყურადღების ღირსია ის, „რომ პროგრამის თეორიულ ნაწილში მოიპოვება რაიმე დებულება, რომელიც უკვე აღარ ეთანხმება მის შეხედულებას განვითარების მსვლელობაზე"? ეს განმარტება, უკეთეს შემთხვევაში, იმის მაჩვენებელია, რომ ბერნშტეინს დავიწყებია იმ კავშირის მნიშვნელობა, რომელიც არსებობს სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკულ მოქმედების და მის საერთო პრინციპებს შორის და რომ ერთი და იგივე სიტყვები სულ სხვა ცნებებს გამოხატავს პარტიისათვის. ნამდვილად კი, ბერნშტეინის საკუთარი თეორია ადასტურებს მხოლოდ იმ ელემენტარულ სოციალ-დემოკრატიულ დებულებას, რომ ძირითად ბაზისის უქონლობის გამო პრაქტიკული ბრძოლა უნაყოფო და უმიზნო ხდება, რომ **საბოლოო მიზნის** უარისყოფით იღუპება თვით მოძრაობაც.

3. პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა.

როგორც დავინახეთ, დემოკრატიის ბედ-იღბალი დაკავშირებულია მუშათა მოძრაობის ბედ-იღბალთან. მაგრამ განა დემოკრატიის განვითარება, უკეთეს შემთხვევაშიაც კი, ზედმეტად ან შეუძლებლად ხდის პროლეტარულ რევოლიუციას, როგორც სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდებას, პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობას?

ბერნშტეინი ლამობს ამ საკითხის გადაჭრას საკანონმდებლო რეფორმების და რევოლიუციის დადებითი და უარყოფითი მხარეების სწორი აწონ-დაწონვით; ამ ოპერაციას ის სჩადის ისეთი გულდასმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიამოვნებით, რომელიც მოგაგონებთ წიწაკას და დარიჩინის გამოწონვას მომხმარებელთა დუქანში. განვითარების კანონიერ მსვლელობაში ის ხედავს გონების მოქმედებას, რევოლიუციონურში— გრძნობების მოქმედებას; რეფორმატორულ მუშაობას ის უყურებს, როგორც ისტორიულ პროგრესის უფრო ნელ მეთოდს, რევოლიუციონურს კი, როგორც უფრო სწრაფს; კანონმდებლობაში ის ხედავს მიზანშეწონილ მუშაობას, გადატრიალებაში—ტლანქ ძალას.

ძველი ამბავია! წვრილ-ბურჟუაზიული რეფორმატორი ყოველთვის და ყველაფერში „კარგს“ და „ცუდს“ მხარეს ხედავს, ის სცდილობს ყველაფრით ისარგებლოს ცოტ-ცოტაობით. მაგრამ ასევე საყოველთაოდ ცნობილია ის, რომ სინამდვილე სრულიადაც ანგარიშს არ უწევს ამ წვრილ-ბურჟუაზიულ კომბინაციებს, და რომ გულდასმით შეკოწიწებული „კარგ მხარეთა“ გროვა მყისვე იფანტება პირველ წკიპურტისთანავე. სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ კანონმდებლობითი რეფორმა და რევოლიუცია ისტორიაში დამოკიდებულია უფრო ღრმა საფუძვლებისაგან, ვიდრე ამა თუ იმ მეთოდის უპირატესობა და ნაკლი.

მთელს ისტორიაში კანონმდებლობითი რეფორმები ყოველთვის მხოლოდ ხელს უწყობდენ ახლად აღმოცენებულ და მოზარდ კლასის თანდათანობით გაძლიერებას, ვიდრე უკანასკნელი არ იგრძნობდა თავს საკმაოდ მომწიფებულად პოლიტიკურ ძალა-უფლების დასაპყრობად და მთელ არსებულ უფლებრივ სისტემის მოსასპობად იმ მიზნით, რომ მათ ნაცვლად აეშენებია ახალი. ბერნშტეინს, რომელიც მუდამ აძაგებს პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობის თეორიას, როგორც ბლანკისტურ ძალადობის თეორიას, დიდი უსიამოვნობა შეემთხვა: ის, რაც ასეულ წლების განმავლობაში შეადგენდა კაცობრიობის ისტორიის მიზანს და მამოძრავებელ ძალას, მან უბრალო ბლანკისტურ შეცდომათ გამოაცხადა. მას შემდეგ, რაც არსებობს კლასიური საზოგადოება და კლასობრივი ბრძოლა მისი ისტორიის უმთავრეს შინაარსს შეადგენს, მიზანი ყველა ამოძრავებულ კლასებისა იყო პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა, რაიც ამავე დროს წარმოადგენდა ყოველ ისტორიულ პერიოდის გამოსავალ და საბოლოო წერტილს. ამას ჩვენ ვხედავთ ყოველგან: ხანგრძლივ ბრძოლაში გლეხობასა და ფულის კაპიტალს შორის ძველ რომში, ბრძოლაში პატრიციებსა და ეპისკოპოსებს შორის, ბრძოლაში ხელოსნებსა და პატრიციებს შორის საშუალო საუკუნის ქალაქებში, ბრძოლაში ბურჟუაზიასა და ფეოდალიზმს შორის ახალ დროს.

ამ რიგად რეფორმა და რევოლიუცია არ წარმოადგენენ ისტორიულ პროგრესის სხვადასხვა მეთოდებს, რომელნიც სურვილისა-

ეროვნული

ებრ შეიძლება ამორჩეულ იქნას ყოველ ისტორიულ მომენტში. იმის მსგავსად, როგორც ბუფეტში აირჩევენ ხოლმე ცხელსა თუ ცივს შეჭამანდს: ეს—კლასიურ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა მომენტებია, რომელნიც ისევე მოითხოვენ ერთმანეთს და წარმოადგენენ ერთმანეთის დამატებას ან ისევე ურთიერთ საწინააღმდეგონი არიან, როგორც, მაგალითად, სამხრეთი და ჩრდილო პოლიუსი, ან როგორც ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

ესა თუ ის დაკანონებული სახელმწიფოებრივი წყობილება არის მხოლოდ რევოლიუციის **პროდუქტი**. მაშინ, როდესაც რევოლიუცია წარმოადგენს კლასობრივ ისტორიის პოლიტიკურად შემოქმედ აქტს, კანონმდებლობა უნდა ჩაითვალოს საზოგადოების პოლიტიკურ არსებობის შემნახველ ფაქტორად. კანონმდებლობით—რეფორმატორულ მოღვაწეობას არ აქვს საკუთარი, რევოლიუციისაგან დამოუკიდებელი მამოძრავებელი ძალა; და ყოველ ცალკე ისტორიულ ხანაში ის განაგრძობს თავის მოძრაობას იმ მიმართულებით და მანამდე, რა მიმართულებითაც და სანამ მოქმედებს ბიძგი, მიღებული მის მიერ უკანასკნელ გადატრიალების დროს, ან, კონკრეტიულად თუ ვიტყვით, განაგრძობს მოძრაობას გადატრიალებით შექმნილ საზოგადოებრივ ფორმის ჩარჩოებში. სწორედ ამაშია საკითხის არსებითი მხარე.

სრულიად შემცდარი და არა ისტორიული იქნებოდა ჩვენი შეხედულება კანონმდებლობითი რეფორმა რომ წარმოგვედგინა, როგორც ხანგრძლივი რევოლიუცია, ხოლო რევოლიუცია, როგორც შეკუმშული რეფორმა. სოციალური გადატრიალება და კანონმდებლობითი რეფორმა წარმოადგენენ მომენტებს, რომელნიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა ხანგრძლივობით, არამედ **არსებითად**. პოლიტიკურ ძალა-უფლების მეოხებით მომხდარ ისტორიულ გადატრიალებათა მთელი საიდუმლოება მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ აქ უბრალო რაოდენობითი განსხვავებანი იქცევიან ახალ თვისებად, ან, უფრო კონკრეტიულად, იმაში, რომ ერთი ისტორიული პერიოდი, ე. ი. ერთი საზოგადოებრივი წყობილება, გადადის მეორეში.

ამ რიგად, ის, ვინც გამოდის რეფორმათა კანონიერი გზის მომხრედ პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობის და საზოგადოებრივ გადატრიალების **მაგივრად** და **საწინააღმდეგოდ**, ნამდვილად ირჩევს არა უფრო მშვიდობიან, არა უფრო მიზანშეწონილ და აუჩქარებელ გზას იმავე **მიზნისაკენ**, არამედ სრულიად **სხვა** მიზანს, სახელდობრ —ახალ საზოგადოებრივ წყობილების განხორციელების მაგივრად მხოლოდ რაოდენობითი ცვლილებებს ძველ წყობილებაში. ისე რომ ბერნშტეინის პოლიტიკურ შეხედულებებიდან იგივე დასკვნა გამომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინარეობს, როგორც მისი ეკონომიური თეორიიდან: არსებითად, მას მიზნად აქვს დასახული არა **სოციალისტური** წყობილების განხორციელება, არამედ მხოლოდ **კაპიტალისტურის** გადაკეთება, ის სცდილობს არა დაქირავების სისტემის, არამედ მხოლოდ მეტი თუ ნაკლები ექსპლოატაციის მოსპობას, ერთი სიტყვით, მისი მიზანია მხოლოდ კაპიტალიზმის მეტხორცების და არა თვით კაპიტალიზმის მოსპობა.

მაგრამ, შეიძლება ზემოაღნიშნული დებულებანი კანონმდებლობითი რეფორმების და რევოლიუციის ფუნქციების შესახებ სამართლიანია მხოლოდ იმ კლასობრივ ბრძოლის მიმართ, რომელსაც აწარმოებდენ ჩვენს დრომდე? შეიძლება ამიერიდან, ბურჟუაზიულ უფლებრივ სისტემის გაუმჯობესების გამო, კანონმდებლობითი რეფორმა მოწოდებულია იმისაკენ, რომ გადაიყვანოს საზოგადოება ერთ ისტორიულ ფაზიდან მეორეში, და შეიძლება, ამ რიგად, პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობის თეორია „უშინაარსო ფრაზად" გადაიქცა?

მაგრამ ჩვენ ვამჩნევთ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას. რითი განსხვავდება თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება ძველ და საშუალო საუკუნეთა კლასიურ საზოგადოებათაგან? სწორედ იმით, რომ ამ ჟამად კლასიური ბატონობა ეყრდნობა არა „მტკიცედ მოპოებულ უფლებებზე", არამედ **ფაქტიურ ეკონომიურ ურთიერთობებზე**, და რომ დაქირავების სისტემა წარმოადგენს არა უფლებრივ, არამედ წმინდა ეკონომიურ ურთიერთობას. მთელს ჩვენ უფლებრივ სისტემაში არ მოიპოვება არც ერთი კანონად გამოთქმული თანამედროვე კლასიურ ბატონობის ფორმულა. მართალია შეიძლება ზოგან მისი ნიშნების პოვნა, მაგალითად, დებულებაში შინა მოსამსახურეების შესახებ, მაგრამ ესეც მხოლოდ ფეოდალურ ურთიერთობათა ნაშთს წარმოადგენს.

მაგრამ როგორ შეიძლება თანდათანობით „კანონიერ გზით" მოვსპოთ დაქირავების მონობა, თუ კი ის სრულიად არ არის გამოხატული კანონებში? ბერნშტეინი, რომელიც განმზადებულია კანონმდებლობით რეფორმატორულ მუშაობისათვის იმ იმედით, რომ ამ გზით ის ბოლოს მოულებს კაპიტალიზმს, ვარდება იმავ მდგომარეობაში, როგორც უსპენსკის მოდარაჯე, რომელიც შემდეგნაირად მოგვითხრობს თავის თავგადასავალს: „ფიცხლავ ვტაცე მას ხელი საყელოში. მაგრამ წარმოიდგინეთ, არამზადას საყელოც კი არა ჰქონია!"

მთელი უბედურობაც ამაშია.

„ყოველი აქამდე არსებული საზოგადოება დამყარებული იყო წინააღმდეგობაზე მჩაგვრელ და ჩაგრულ კლასთა შორის" („კომუნი-

ეროვნული

სტური მანიფესტი", გვ. 17[1]). მაგრამ თანამედროვე საზოგადოების წინანდელ ფაზისებში ეს წინააღმდეგობა გამოსჭვივოდა გარკვეულ უფლებრივ ურთიერთობებში, და ამის გამო მას შეეძლო, რამოდენიმედ მაინც, ადგილი დაეთმო ძველ ფარგლებში ახლად განვითარებულ ურთიერთობათათვის. „ბატონ-ყმობის ხანაში ყმა თანდათანობით გადაიქცა ქალაქის თემის წევრად". („კომუნისტური მანიფესტი" გვ. 17). როგორ მოხდა ეს? ქალაქის ფარგლებში თანდათანობით უქმდებოდა ყველა ისეთი წვრილი უფლებები, როგორიც არის ბატონის ბეგარა (барщина), სხვადასხვა გადასახადები, რომლებსაც იხდიდენ ყმის მემკვიდრეები ბატონის სასარგებლოდ, სულზე გადასახადი, იძულებითი ქორწინება, მემკვიდრეობაში მონაწილეობის უფლება და სხვები, ე. ი. თანდათანობით უქმდებოდა ყოველივე ის, რაიც ერთად აღებული შეადგენდა ბატონ-ყმურ უფლებას".

ამავე გზით „წვრილი მოქალაქეც ნამდვილ ბურჟუად გადაიქცა ფეოდალურ აბსოლიუტიზმის უღლის ქვეშ" (გვ. 17). როგორ მოხდა ეს? ნაწილობრივ იმის მეოხებით, რომ ფორმალურად მოსპობილი ან ფაქტიურად შესუსტებული იქნა ზოგიერთი ამქრული ბორკილები, აგრეთვე იმის გამო, რომ თანდათანობით გარდაქმნილ იქნა ადმინისტრაცია, ფინანსიური და სამხედრო საქმეები იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვდა უკიდურესი აუცილებლობა.

ამ რიგად, თუ საკითხს მივუდგებით აბსტრაქტიულად და არა ისტორიულად, მაშინ წინანდელ კლასობრივ ურთიერთობათა მიხედვით შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში იმის **დაშვება,** რომ ფეოდალურ საზოგადოებისაგან ბურჟუაზიულისაკენ გადასვლა ხდებოდა წმინდა კანონმდებლობითი რეფორმების მეოხებით. მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ იქაც კანონმდებლობითი რეფორმების დანიშნულება მდომარეობდა არა იმაში, რომ ზედმეტი გაეხადათ ბურჟუაზიის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, არამედ იმაში, რომ მოემზადებიათ და განეხორციელებიათ ის. ნამდვილი პოლიტიკურ-სოციალური გადატრიალება ერთნაირად აუცილებელი იყო, როგორც ბატონ-ყმობის, ისე ფეოდალიზმის მოსასპობად.

მაგრამ კიდევ უფრო სხვაგვარია საქმის ვითარება ჩვენს დროში. არა კანონი აიძულებს პროლეტარს დაემორჩილოს კაპიტალის უღელს, არამედ გაჭივრება და წარმოების საშუალებათა უქონლობა. მაგრამ ვერავითარი კანონი ქვეყანაზე ვენ მიანიჭებს მას ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებში ამ წარმოების საშუალებებს, რადგა-

---

[1]) რუს. თარგმ. ალექსეევას გამოცემა, გვ. 98.

ნაც მან დაკარგა ისინი არა კანონის ძალით, არამედ ეკონომიური განვითარების გამო.

შემდეგ, ექსპლოატაციაც დაქირავების ურთიერთობაში როდია კანონებზე დამყარებული, რადგანაც სამუშაო ხელფასის სიდიდე განისაზღვრება არა კანონმდებლობითი გზით, არამედ ეკონომიური ფაქტორებით. და თვით ექსპლოატაციის ფაქტიც დამოკიდებულია არა კანონმდებლობითი დადგენილებებზე, არამედ იმ წმინდა ეკონომიურ მოვლენაზე, რომ სამუშაო ძალას, როდესაც ის გამოდის საქონლის სახით, აქვს, სხვათა შორის, ის სასიამოვნო თვისება, რომ ის ქმნის ღირებულებას და თანაც **უფრო მეტს**, ვიდრე ის თვითონ საჭიროებს. ერთი სიტყვით, კაპიტალისტურ კლასიურ ბატონობის ყველა ძირითადი ურთიერთობანი უკვე ამისათვის არ შეიძლება გარდაქმნილ იქნან ბურჟუაზიულ წყობილების ნიადაგზე კანონმდებლობით რეფორმების გზით, რომ ისინი შექმნილი არიან არა ბურჟუაზიული კანონებით და არა მათგან მიულიათ თავისი ფორმა. ბერნშტეინისათვის, როგორც სჩანს, ყოველივე ეს სრულიად უცნობია, თუ კი ის იმედებს ამყარებს სოციალისტურ „რეფორმაზე“; მაგრამ, თავისდა შეუცნობლად, ის მაინც ლაპარაკობს ამის შესახებ თავისი წიგნაკის მე-10 გვერდზე, სადაც ის სწერს: „ეკონომიური მოტივი ეხლა თავისუფლად გამოსჭვივის იქ, სადაც ის წინად დაფარული იყი ბატონობის ურთიერთობით და ყოველგვარი იდეოლოგიებით“.

მაგრამ კიდევ ერთი მოსაზრება. კაპიტალისტური წყობილების მეორე თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში მომავალი საზოგადოების ყველა ელემენტები, თავის განვითარების პროცესში, ღებულობენ პირველ ხანებში ისეთ ფორმას, რომელიც კი არ ამსგავსებს, არამედ ანსხვავებს მას სოციალიზმისგან. წარმოებაში სულ უფრო და უფრო გამოსჭვივის საზოგადოებრივი ხასიათი. მაგრამ როგორ ფორმაში გამოიხატება ეს? სააქციო საზოგადოებებში, სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლაში, კარტელებში, სადაც კაპიტალისტური წინააღმდეგობანი, ექსპლოატაცია და სამუშაო ძალის ჩაგვრა აღწევს თავის უმაღლეს წერტილს. სამხედრო საქმეში ეს განვითარება იწვევს საყოველთაო სამხედრო ბეგარის შემოღებას და სამსახურის ვადის შემოკლებას, ე. ი. მატერიალურად აახლოვებს სახალხო მილიციას. მაგრამ ყოველივე ეს თანამედროვე მილიტარიზმის ფორმაში, რომელშიაც ყველაზე უფრო აშკარად გამოიხატება სამხედრო სახელმწიფოს გაბატონება ხალხზე და სახელმწიფოს კლასიური ხასიათი.

პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში დემოკრატიის განვითარება, რამოდენადაც ის ხელსაყრელ პირობებს ჰპოვებს, მოასწავებს

ხალხის ყველა ფენების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმას, მაშასადამე, რამოდენიმედ მაინც „სახალხო სახელმწიფოს“ განხორციელებას. მაგრამ ეს თავის გამოხატულებას ჰპოვებს ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმის ფორმაში, სადაც კლასიური წინააღმდეგობანი და კლასიური ბატონობა არა თუ არ ისპობიან, არამედ, პირიქით, ვითარდებიან და უფრო ნათლად გამოსჭვივიან. რადგანაც კაპიტალისტური განვითარება, ამ რიგად, მოძრაობს წინააღმდეგობათა გზით, სოციალისტურ საზოგადოების გულისაგან მის საწინააღმდეგო კაპიტალისტურ გარსის მოსაშორებლად პროლეტარიატმა უნდა მიმართოს პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობას და კაპიტალისტურ სისტემის სრულ მოსპობას.

მაგრამ ბერნშტეინი, რასაკვირველია, აქაც სხვა გამოსავალს ხედავს. თუ დემოკრატიის განვითარებას მოაქვს კლასიურ წინააღმდეგობათა გამწვავება და არა შესუსტება, მაშინ, ამბობს ის, სოციალ-დემოკრატია, თუ მას თავისი მუშაობის გართულება არ სურს, უნდა სცდილობდეს როგორმე ხელი შეუშალოს სოციალურ რეფორმებს და დემოკრატიულ დაწესებულებათა გაფართოვებას. ეს უეჭველად ასეც იქნებოდა, სოციალ-დემოკრატია რომ, წვრილ ბურჟუების მსგავსად, თავის დანიშნულებას ხედავდეს ასეთ უნაყოფო მოქმედებაში, როგორიც არის ისტორიის კარგი მხარეების გადარჩევა და ცუდის უკუგდება. მაგრამ თუ თანმიმდევრად ვიმსჯელებთ, იმ დასკვნამდის მივალთ, რომ ასეთ შემთხვევაში მისი „მისწრაფება“ მიმართული უნდა ყოფილიყო თვით კაპიტალიზმის მოსპობისაკენ, რადგანაც ეს უკანასკნელი უსათუოდ უმთავრეს ბოროტებად უნდა ჩაითვალოს, რომელიც ყოველნაირად აფერხებს მის მსვლელობას. სოციალიზმისაკენ. ნამდვილად კი კაპიტალიზმი **ხელის შემშლელ პირობის** გარდა წარმოადგენს აგრეთვე ერთად-ერთ **შესაძლებლობას** სოციალისტურ პროგრამის განხორციელებისათვის. ყოველივე ეს სავსებით ითქმის დემოკრატიაზედაც.

თუ დემოკრატია, როგორც ჩვენ ზემოდ დავინახეთ, ბურჟუაზიისათვის ნაწილობრივ ზედმეტი, ნაწილობრივ კი შემავიწროვებელია, სამაგიეროდ მუშათა კლასისათვის ის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. საჭიროებას წარმოადგენს, ჯერ-ერთი, იმისათვის, რომ ქმნის ისეთ პოლიტიკურ ფორმებს (თვითმმართველობას, საარჩევნო უფლებას და სხვ.), რომელნიც გამოადგებიან პროლეტარიატს გამოსავალ და დასაყრდენ წერტილებად ბურჟუაზიულ საზოგადოების გარდაქმნის დროს. ამასთან ერთად ის აუცილებელიც არის იმისათვის, რომ მხოლოდ მასში, დემოკრატიისათვის ბრძოლაში, მისი უფლებე-

ბით სარგებლობაში, შეუძლია პროლეტარიატს მიაღწიოს თავის კლასიურ ინტერესების და ისტორიულ ამოცანების შეგნებას.

ერთი სიტყვით, დემოკრატია აუცილებელია არა იმისათვის, რომ ის **ზედმეტად** ხდის პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების დაპყრობას, არამედ, პირიქით, იმისათვის, რომ ის აუცილებლად და **შესაძლებლად** ხდის ასეთ დაპყრობას. როდესაც ენგელსი წინასიტყვაობაში, რომელიც მან უძღვნა თავის წიგნს: „კლასიური ბრძოლა საფრანგეთში", თანამედროვე მუშათა მოძრაობის ტაქტიკის განხილვის დროს, უპირდაპირებს ბარიკადებს ბრძოლას კანონიერ ფარგლებში, მას აქ, როგორც **ეს ნათლად გამოსჭვივის წინასიტყვაობის ყოველ სტრიქონიდან**, განხილვის საგნად მიაჩნია არა პოლიტიკურ ძალა-უფლების საბოლოო დაპყრობის საკითხი, არამედ თანამედროვე ყოველდღიური ბრძოლის საკითხი; მას აინტერესებს არა პროლეტარიატის მოქმედება კაპიტალისტურ სახელმწიფოს **მიმართ** პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობის დროს, არამედ მისი მოქმედება კაპიტალისტურ სახელმწიფოს **ფარგლებში**. ერთი სიტყვით, ენგელსი რჩევას აძლევდა დამონავებულ და არა გამარჯვებულ პროლეტარიატს.

პირიქით, მარქსის მიერ გამოთქმული აზრი მიწის საკითხის შესახებ ინგლისში, რომელიც აგრეთვე მოყავს ბერნშტეინს, სახელდობრ ის აზრი, რომ, „როგორც სჩანს, ყველაზე უფრო იაფი დაჯდებოდა ლენდლორდებისაგან მიწის გამოსყიდვა", შეეხება პროლეტარიატის მოქმედებას არა **გამარჯვებამდე**, არამედ მის **შემდეგ**. გაბატონებულ კლასებისაგან გამოსყიდვის შესახებ ხომ მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მუშათა კლასი უკვე შეუდგება მართვა-გამგეობას. ამით მარქსმა დაუშვა შესაძლებლობა მხოლოდ **პროლეტარიატის დიქტატურის მშვიდობიანი გზით გატარებისა**, და არა მისი შეცვლისა კაპიტალისტურ სოციალურ რეფორმებით.

თვით აუცილებლობა პროლეტარიატის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების დაპყრობისა ყოველთვის უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა როგორც მარქსის, ისე ენგელსისათვის. ამისათვის მხოლოდ ბერნშტეინის პრივილეგიად უნდა ჩაითვალოს იმის მტკიცება, რომ ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის საქათმე წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელიც მოწოდებულია მოახდინოს ყველაზე უფრო მძლავრი მსოფლიო-ისტორიული გადატრიალება—საზოგადოების **კაპიტალისტური ფორმის სოციალისტურად შეცვლა.**

მაგრამ ბერნშტეინი ხომ თავისი წიგნის დასაწყისშივე იმის შიშს გამოსთქვამდა, ვაი თუ პროლეტარიატი **მეტად ნაადრევად**

ეროვნული

ჩაუდგეს სათავეში მართვა-გამგეობასო! ასეთ შემთხვევაში, მისგან-ნ-
რით, პროლეტარიატი მთელ ბურჟუაზიულ წყობილებას სრულიად
ისეთი სახით დატოვებდა, როგორითაც ის ამ ჟამად არსებობს და
მხოლოდ თვითონ იგემებდა სასტიკ დამარცხებას. ამ გაფრთხილები-
დან, პირველად ყოვლისა, ნათლად მოსჩანს ერთი რამ: იმ შემთხვევ-
ვაში, თუ პროლეტარიატი იძულებული გახდება ხელში აიღოს ძალა-
უფლება, ბერნშტეინის თეორიას შეუძლია მისცეს მას მხოლოდ ერ-
თი „პრაქტიკული" რჩევა—დასაძინებლად განმზადება. მაგრამ ამით
მას თვითონ გამოაქვს მსჯავრი თავის თავზე, როგორც თეო-
რიაზე, რომელიც გამწვავებულ ბრძოლის დროს ურჩევს პროლეტა-
რიატს უმოქმედობას და, მაშასადამე, საკუთარი საქმის პასიურ ღა-
ლატს.

მთელი ჩვენი პროგრამა უბრალო ქაღალდის ნაფლეთი იქნებო-
და, ის რომ გამოსადეგი არ ყოფილიყო ჩვენთვის **ყველა** შემთხვევე-
ბისათვის და ბრძოლის **ყოველ** მომენტისათვის; გამოსადეგი ყოფი-
ლიყო სწორედ ცხოვრებაში გასატარებლად, და არა დასავიწყებლად.
მართლადაც! თუ ჩვენი პროგრამა იძლევა საზოგადოების ისტორიულ
განვითარების ფორმულას კაპიტალიზმიდან სოციალიზმამდე, მან,
რასაკვირველია, უნდა აგვიწეროს აგრეთვე ამ განვითარების ყველა
გარდამავალი ფაზები, მოგვცეს მათი საერთო დახასიათება: მაშასა-
დამე, მას უნდა შეეძლოს მიგვითითოს **ყოველ** ცალკე შემთხვევაში
შესაფერის მოქმედებაზე, რომელიც მოგვიახლოვებდა სოციალიზმს.
აქედან ცხადია, რომ პროლეტარიატისათვის საერთოდ არ შეიძლება
დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც ის იძულებული იქნება დატოვოს
თავისი პროგრამა, ან, პირიქით, როდესაც ეს პროგრამა დატოვებს
მას უმოქმედოდ.

პრაქტიკულად ეს გამოიხატება იმ ფაქტში, რომ არ შეიძლება
დადგეს ისეთი მომენტი, როდესაც პროლეტარიატი, რომელიც, სა-
ქმეთა მსვლელობის გამო, იძულებული გახდა ჩადგომოდა სათავეში
მართვა-გამგეობას, უძლური ყოფილიყო ან ვალდებული არ ყოფი-
ლიყო მიეღო რაიმე ზომები თავისი პროგრამის განსახორციელებლად,
ან გარდამავალი ზომები სოციალიზმის მოსაახლოებლად. იმის და-
შვება, თითქოს სოციალისტურ პროგრამისათვის პროლეტარიატის
პოლიტიკური ბატონობის რომელიმე მომენტში შეუძლებელი ყოფი-
ლიყოს რაიმე რჩევის მიცემა თავისი განხორციელების მიზნით,
უდრის მეორე დაშვებას, სახელდობრ, რომ **სოციალისტური პრო-
გრამა ვერსად და ვერასოდეს ვერ განხორციელდება.**

მაგრამ თუ ზომები ნაადრევი გამოდგა, მაშინ? ის, ვინც ასეთს

კითხვას სვამს, სრულიად შემცდარი წარმოდგენის უნდა იყოს სოციალურ გადატრიალების ნამდვილ მსვლელობის შესახებ.

პირველად ყოვლისა, პროლეტარიატის მიერ, ე. ი. ხალხის ფართე მასის მიერ, პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა არ შეიძლება განხორციელებულ იქნას ხელოვნური გზით. პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობის ფაქტი თავის თავად ყოველთვის გულისხმობს პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარების განსაზღვრულ დონეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შემთხვევებს, როდესაც, როგორც ამას ადგილი ქონდა პარიზის კომუნაში, პროლეტარიატის ბატონობა წარმოადგენს არა შედეგს მისი შეგნებული ბრძოლისა განსაზღვრულ მიზნებისათვის, არამედ, გამონაკლისის სახით, წილად ხვდება მას, როგორც ყველას მიერ მიტოვებული უპატრონო ქონება. ამით განსხვავდება უმთავრესად ბლანკისტური სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც ახდენს „გამბედავი უმცირესობა“ და რომელიც ყოველთვის უეცარი და, ამის გამო, ნაადრევია, იმ გადატრიალებისაგან, რომელსაც ახდენს პოლიტიკურ ძალაუფლების დასაპყრობად კლასიურ შეგნებით გამსჭვალული ხალხის ფართე მასები. ასეთი გადატრიალება შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დაწყებულ საერთო რღვევის შედეგი იყოს და, ამის გამო, ის თავის თავად ატარებს ეკონომიურ-პოლიტიკურ დასაბუთებას იმისა, რომ გადატრიალება ნაადრევი არ ყოფილა.

ამ რიგად, მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა, საზოგადოებრივ განვითარების პირობების თვალსაზრისით, ყოვლად შეუძლებელია რომ „მეტად ნაადრევად“ მოხდეს; მაგრამ, მეორე მხრივ, თავისი პოლიტიკური ეფფექტის—ძალა-უფლების **შენარჩუნების** თვალსაზრისით, ის აუცილებლად „მეტად ნაადრევი“ გამოდგება. ნაადრევი რევოლიუცია, რომელიც ძილს უფრთხობს ბერნშტეინს, გვემუქრება ჩვენ, როგორც დამოკლეს ხმალი, და ამას ვერ უშველის ვერც ხვეწნა, ვერც მუდარა, ვერც შიში, ვერც გაფრთხილება. ეს ასე უნდა მოხდეს ორი მეტად უბრალო მიზეზის გამო.

ჯერ ერთი, ასეთი ძალადობითი გადატრიალება, როგორიც არის საზოგადოების გადასვლა კაპიტალისტურ წყობილებიდან სოციალისტურზე, ყოვლად შეუძლებელია მოხდეს პროლეტარიატის ერთი შეტევით და გამარჯვებით. ის, ვინც ასეთს რასმეს მოელის, ამით მხოლოდ თავის წმინდა ბლანკისტურ შეხედულებებს ამჟღავნებს. სოციალისტური გადატრიალება გულისხმობს ხანგრძლივ და დაუღალავ ბრძოლას, რომლის დროს პროლეტარიატს არა ერთხელ მოუწევს უკან დახევა, ასე რომ, მთელი ბრძოლის საბოლოო შედეგის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისით, მას პირველად უსათუოდ „მეტად ნაადრევად“ მოუწევს მართვა-გამგეობის სათავეში ჩადგომა.

მეორე მხრივ, სახელმწიფო ძალა-უფლების „ნაადრევი“ დაპყრობა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ პროლეტარიატის ეს „ნაადრევი“ იერიშები უკვე თავისთავად წარმოადგენენ ერთ-ერთს და მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ქმნის **პოლიტიკურ** პირობას საბოლოო გამარჯვებისათვის, და რომ სწორედ **ისინი**, სხვა ფაქტორებთან ერთად, ქმნიან და განსაზღვრავენ საბოლოო გამარჯვების **მომენტს. ამ** თვალსაზრისით, თვით ცნება მშრომელი ხალხის მიერ პოლიტიკურ ძალა-უფლების ნაადრევ დაპყრობის შესახებ, წარმოადგენს პოლიტიკურ შეუსაბამობას, რომელიც გამომდინარეობს საზოგადოების განვითარების მექანიკურ გაგებისაგან და რომელიც გულისხმობს წინასწარ განსაზღვრულ მომენტს კლასიურ ბრძოლის გამარჯვებისათვის, მომენტს **გარეგანს** და **დამოუკიდებელს** თვით კლასიურ ბრძოლისაგან.

მაგრამ, ვინაიდან პროლეტარიატს, ამ რიგად, არც კი შეუძლია სხვაფრივ, ვიდრე „მეტად ნაადრევად“, ჩაიგდოს ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება, ანუ, სხვა სიტყვებით, რადგანაც მან ოდესმე აუცილებლად უნდა ჩაიგდოს ხელში ეს ძალა-უფლება „მეტად ნაადრევად“ იმისათვის, რომ დაბოლოს მტკიცედ დაეპატრონოს მას, ოპოზიცია ძალა-უფლების ნაადრევად დაპყრობის წინააღმდეგ წარმოადგენს მეტს არაფერს, ვიდრე **ოპოზიციას საერთოდ პროლეტარიატის მისწრაფების წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია ძალა-უფლების დაპყრობისაკენ.**

როგორც ყველა გზებს რომში მივყევართ, ისე ამ მხრივაც ბერნშტეინის თეორიას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ მისი რჩევა — დაგვეიწყებია საბოლოო მიზანი — უდრის რჩევას უარი გვეთქვა საერთოდ მთელს მოძრაობაზე: მისი მიმართვა სოციალ-დემოკრატიისადმი, რომელშიაც ის ურჩევდა უკანასკნელს „დაეძინა“ იმ შემთხვევაში, თუ ის ხელში ჩაიგდებდა პოლიტიკურ ძალა-უფლებას, სავსებით უდრის რჩევას **საერთოდ დაძინების შესახებ**, ე. ი. კლასიურ ბრძოლის უარყოფის შესახებ.

4. კაპიტალიზმის დამხობა.

სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის გადასინჯვა ბერნშტეინმა დაიწყო კაპიტალისტურ წყობილების დამხობის თეორიის უარყოფით. მაგრამ ვინაიდან ბურჟუაზიული წყობილების დამხობა მეცნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ სოციალიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს, ამ ქვაკუთხედის ჩამოშორებამ ლოგიურად უნდა გამოიწვიოს ბერნშტეინის მთელი სოციალისტური მსოფლმხედველობის დაშლა. კამათის დროს ის, თავის პირველი დებულების დაცვის მიზნით, სტოვებს ერთი მეორეზე სოციალიზმის ყველა პოზიციებს. კაპიტალიზმის დაუმხობელად შეუძლებელია კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაციაც, და ბერნშტეინი უარს ამბობს ექსპროპრიაციაზე და მუშათა მოძრაობის მიზნად ხდის „ამხანაგობის პრინციპის" თანდათანობით გატარებას.

მაგრამ ამხანაგობის პრინციპი არ შეიძლება გატარებულ იქნას კაპიტალისტურ წარმოების პირობებში, და ბერნშტეინიც უარყოფს წარმოების განსაზოგადოებას და კმაყოფილდება რეფორმით აღებმიცემობის სფეროში, მომხმარებელთა კავშირებით.

მაგრამ საზოგადოების გარდაქმნა მომხმარებელთა და პროფესიონალურ კავშირთა საშუალებით ვერ ეგუება კაპიტალისტურ საზოგადოების ფაქტიურ მატერიალურ განვითარებას და ბერნშტეინიც უარყოფს ისტორიის მატერიალისტურ გაგებას.

მაგრამ შემდეგ მისი თეორია ეკონომიურ განვითარების მსვლელობის შესახებ ეწინააღმდეგება მარქსის ზედმეტ ღირებულების კანონს, და ბერნშტეინიც უარყოფს ღირებულების და ზედმეტ ღირებულების კანონს და მასთან ერთად—კარლ მარქსის მთელს ეკონომიურ თეორიას.

მაგრამ გარკვეულ საბოლოო მიზნის და ეკონომიურ საფუძვლების გამოუმუშავებლად შეუძლებელია თანამედროვე საზოგადოებაში პროლეტარულ კლასიურ ბრძოლის წარმოება,—ბერნშტეინი უარყოფს კლასიურ ბრძოლას და ქადაგობს შერიგებას ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან.

მაგრამ კლასიურ საზოგადოებაში კლასიური ბრძოლა სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენაა,—ბერნშტეინი თანმიმდევრად უარყოფს კლასების არსებობასაც კი თანამედროვე საზოგადოებაში: მუშათა კლასი მისთვის მხოლოდ ცალკე ინდივიდთა მასაა, რომელთა შორის არ არსებობს არავითარი კავშირი არა თუ პოლიტიკურად ან სულიერად, არამედ ეკონომიურ მხრივაც. სწორედ ასევე, ბურჟუაზიაც, ბერნშტეინის აზრით, პოლიტიკურად შეკავშირებულია არა შინაგანი ეკონომიური ინტერესებით, არამედ გარეგანი იძულებით ზევიდან ან ქვევიდან.

მაგრამ თუ კლასიურ ბრძოლას არა აქვს თავისი ეკონომიური საფუძველი, თუ არსებითად არც არავითარი კლასები არ არსებობენ, მაშინ შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო მომავალი ბრძოლა

პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, არამედ ის ბრძოლაც, რომელიც სწარმოებდა აქამდე; მაშინ გაუგებარი ხდება სოციალ-დემოკრატიის არსებობაც და მისი გამარჯვებანიც. ან ეგებ ისიც გამოწვეული იყო მხოლოდ პოლიტიკური იძულებით მთავრობის მხრივ? ბერნშტეინის აზრით, ის შეიძლება გაგებულ იქნას არა როგორც ისტორიულ განვითარების ბუნებრივი შედეგი, არამედ როგორც გოგენცოლერნის კურსის შემთხვევითი პროდუქტი, არა როგორც კაპიტალისტური საზოგადოების კანონიერი შვილი, არამედ როგორც რეაქციის ბუში. ამრიგად ბერნშტეინი ლოგიკური თანამიმდევრობით უარყოფს ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, რომელიც დამახასიათებელია „Frankfurter" და „Vossischer Zeitung"-ისთვის [1]).

უკუაგდებს რა კაპიტალისტური საზოგადოების მთელს სოციალისტურ კრიტიკას, ბერნშტეინს მხოლოდღა ის დარჩენია, რომ დამაკმაყოფილებელად ჩასთვალოს, ყოველ შემთხვევაში საერთოდ მაინც, თანამედროვე მდგომარეობა. მაგრამ არც ეს აშინებს მას. მას მიაჩნია, რომ ამ ჟამად რეაქცია გერმანიაში არც ისე ძლიერია: „დასავლეთ-ევროპიულ სახელმწიფოებში თითქმის სულ არ ემჩნევა პოლიტიკური რეაქცია", დასავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფოებში ბურჟუაზიული კლასები აწარმოებენ სოციალისტური მოძრაობის მიმართ მხოლოდ თავდაცვითი და არა ძალადობის პოლიტიკას („Vorwärts", 1899 წლის 26 მარტის ნომერი). მუშები კი არ ღარიბდებიან, არამედ, პირიქით, სულ უფრო და უფრო მეტს დამოუკიდებლობას იძენენ, ბურჟუაზია პოლიტიკურად წინ მიდის და მორალურადაც კი ჯანსაღია, ხოლო რეაქცია და დაქვეითება არსად არ ემჩნევა — ყველაფერი საუკეთესოდ მიმდინარეობს ამ საუკეთესო ქვეყანაში...

ასე ამ რიგად ბერნშტეინი სრულიად ლოგიურად და თანმიმდევრად მიდის A-დან Z-მდე. მან დაიწყო იმით, რომ უარყო საბოლოო მიზანი მოძრაობის გულისათვის. მაგრამ რადგანაც სინამდვილეში სოციალისტურ მიზნის გარეშე არ შეიძლება სოც.-დემოკ. მოძრობაც, ის, ძალა-უნებურად, ათავებს იმით, რომ უარყოფს თვით **მოძრაობასაც**.

ამრიგად დაემხო ბერნშტეინის მთელი სოციალისტური თეორია. მარქსის სისტემის მთელი დიადი, სიმმეტრიული და გასაოცარი შენობა მან გადააქცია ნამტვრევების გროვად, რომელშიაც თქვენ შეხვდებით ყველა სისტემების ნაშთებს, ყველა დიდ თუ პატარა ადამიანთა აზრების ნაფლეთებს. მარქსმა და პრუდონმა, ლეონ ფონ-

---

[1]) „ფრანკფურტის" და „ფოსსის" გაზეთები გერმანიის ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის ორგანოებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუხმა და ფრანც ოპენჰეიმერმა, ფრიდრიხ-ალბერტ ლანგემ და ჰანტ-მა, პროკოპოვიჩმა და დ-რ ფონ-ნეიპაუერმა, ჰერკნერმა და შულცე-ჰევერნიცმა, ლასალმა და პროფ. იულიუს ვოლფმა—ყველამ შეიტანა თავის წვლილი ბერნშტეინის სისტემაში, ყველასაგან ისწავლა მან ცოტა რამ. და არც არის აქ რაიმე გასაკვირალი! კლასიურ თვალსაზრისის მიტევებასთან ერთად მან დაჰკარგა პოლიტიკური კომპასი; მეცნიერულ სოციალიზმის უარყოფის შემდეგ მას აღარ დაურჩა კრისტალიზაციის სულიერი ღერძი, რომლის ირგვლივ ცალკე ფაქტები ჯგუფდებიან ორგანიულ მთლიანობად და ქმნიან თანმიმდევარ მსოფლმხედველობას.

ეს თეორია, მოჩმახული განურჩევლად ყოველგვარ სისტემათა ნაკუწებიდან, პირველი შეხედვით სრულიად მიუდგომელ თეორიის შთაბეჭდილებას ახდენს. ბერნშტეინს ვერც კი გააგონებთ რამეს „პარტიულ მოძღვრების“ ან, უკეთ, კლასიურ მეცნიერების, კლასიურ ლიბერალიზმის, კლასიურ მორალის შესახებ. მას სურს გვიჩვენოს საკაცობრიო, განყენებული მეცნიერება, განყენებული ლიბერალიზმი, განყენებული მორალი. მაგრამ რადგანაც სინამდვილეში საზოგადოება შესდგება კლასებისაგან, რომელთაც დიამეტრალურად საწინააღმდეგო ინტერესები, მისწრაფებანი და შეხედულებანი აქვთ, ამისათვის საკაცობრიო მეცნიერება სოციალურ საკითხების სფეროში, განყენებული ლიბერალიზმი და განყენებული მორალი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფანტაზიად და თავის მოტყუებად უნდა ჩაითვალონ. ის, რასაც ბერნშტეინი საკაცობრიო მეცნიერებას, დემოკრატიას, მორალს უწოდებს, არის მხოლოდ გაბატონებული, ე.—ი. ბურჟუაზიული მეცნიერება, ბურჟუაზიული დემოკრატია, ბურჟუაზიული მორალი.

მართლადაც! როდესაც ის უარყოფს მარქსის ეკონომიურ სისტემას და აღმერთებს ბრენტანოს, ბემ-ჯევონსის, სეის, ი. ვოლფის მოძღვრებას, განა ის ამით არ სცვლის მუშათა კლასის განთავისუფლების მეცნიერულ საფუძველს ბურჟუაზიის აპოლოგიაზე? როდესაც ის ლაპარაკობს ლიბერალიზმის საკაცობრიო ხასიათზე და სოციალიზმს მის ერთ-ერთ სახეობად აქცევს, განა ის ამით არ უკარგავს სოციალიზმს მის კლასიურ ხასიათს, ე.—ი. მის ისტორიულ შინაარსს, და, მაშასადამე, საერთოდ ყოველივე შინაარსს?; და, პირიქით, განა ის ამით ლიბერალიზმის ისტორიულ მატარებელს—ბურჟუაზიას, საკაცობრიო ინტერესთა წარმომადგენლად არა ხდის?

და როდესაც ის ომს აცხადებს „მატერიალურ ფაქტორთა განვითარების ყოვლად შემძლე ძალებად გადაქცევის“ წინააღმდეგ, სო-

ეროვნული

ციალ-დემოკრატიაში „იდეალის მივიწყების“ წინააღმდეგ, რომელსაც ის გამოდის იდეალიზმის და მორალის დამცველად და ამავე დროს უარყოფს პროლეტარიატის მორალურ აღორძინების ერთად-ერთ წყაროს—რევოლიუციონურ კლასიურ ბრძოლას, განა ეს არ ნიშნავს არსებითად „მუშათა კლასისათვის—ბურჟუაზიულ მორალის კვინტ-ესენციის ქადაგებას, მორალის, რომელიც დამყარებულია არსებულ წესწყობილებასთან შერიგებაზე და იმედების გადატანაზე მორალურ წარმოდგენათა ზეციურ ქვეყანაში?

დაბოლოს, როდესაც ის თავის ყველაზე უფრო მჭრელ იარაღს დიალექტიკის წინააღმდეგ მიმართავს, განა ის ამით იმ სპეციფიურ აზროვნების წესის წინააღმდეგ არ იბრძვის, რომელიც ასე დამახასიათებელია მოზარდ, თავის კლასიურ მდგომარეობის შეგნებამდე მისულ პროლეტარიატისათვის? განა ის იმ იარაღის წინააღმდეგ არ იბრძვის, რომლის საშუალებით პროლეტარიატმა გაჰფანტა თავისი ისტორიული მომავალის წყვდიადი, იმ სულიერ იარაღის წინააღმდეგ, რომლითაც ის, ჯერ კიდევ ეკონომიურად დამონავებული, ამარცხებს ბურჟუაზიას, ამტკიცებს რა მის წარმავალობას და თავისი გამარჯვების აუცილებლობას; განა ის იმ იარაღის წინააღმდეგ არ იბრძვის, რომლის საშუალებით სულიერად უკვე მოხდენილია რევოლიუცია?

გამოეთხოვა რა დიალექტიკას და მიჰყო რა ხელი აზრებით ჯამბაზობას, რომელიც ემყარება პრინციპებს: „ერთი მხრივ—მეორე მხრივ“, „მართალია—მაგრამ“, „თუმცა—მაგრამ მიუხედავად ამისა“, „ცოტად თუ ბევრად“, ბერნშტეინი სრულიად თანმიმდევრად ითვისებს ისეთს აზროვნების წესს, რომელიც ისტორიულად კანონიერია მხოლოდ დაღუპვის გზაზე მდგომ ბურჟუაზიისათვის, რამდენადაც ეს აზროვნება წარმოადგენს მის საზოგადოებრივ არსებობის და პოლიტიკურ მოღვაწეობის სულიერ ასახებას. კაპრივი—ჰოჰენლოე—ბერლეპში—პოსადოვსკი—თებერვლის უქაზი—საკატორღო კანონპროექტი, თანამედროვე ბურჟუაზიის პოლიტიკური „ერთი მხრივ—მეორე მხრივ“, „თუ—მაგრამ“—ყოველივე ეს სავსებით მოგვაგონებს ბერნშტეინის აზროვნების წესს, ხოლო ეს აზროვნების წესი ბურჟუაზიული მსოფლ-მხედველობის საუკეთესო და ყველაზე უფრო სწორი სიმპტომია.

მაგრამ ბერნშტეინი ეხლა იმასაც კი ამტკიცებს, რომ თვით სიტყვა bürgerlich [1]) კლასიური სიტყვა-ხმარება კი არ არის, არამედ

[1]) სიტყვა Bürver პირველად ყოვლისა გამოხატავდა ქალაქის თემის მცხოვრებს. მისგან წარმოებული ზედსართავი ყველაზე უფრო ხშირად იხმარება როდესაც სურთ გამოხატონ ცნება „ბურჟუაზიული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნება, რომელიც იხმარება მთელი საზოგადოების მიმართ. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მას თანმიმდევარი დასკვნები გამოჰყავს მიღებულ დებულებებიდან, რომ მეცნიერებასა, პოლიტიკასა, მორალსა და აზროვნების წესთან ერთად, მან შესცვალა აგრეთვე პროლეტარიატის ისტორიული ენა ბურჟუაზიის ენით. როდესაც ის სიტყვა „ბიურგერ"ს ხმარობს განურჩევლად როგორც ბურჟუას, ისე პროლეტარის მიმართ, მაშასადამე, საერთოდ ადამიანის გამოსახატავად, ის ამით ფაქტიურად ათანასწორებს ადამიანს ბურჟუასთან, ხოლო საერთოდ ადამიანთა საზოგადოებას ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან.

თუ ვინმე ბერნშტეინთან კამათის დაწყების დროს იმედოვნებდა, რომ დააჯერებდა მას სოციალ-დემოკრატიის მეცნიერულ საბუთებით და ამით აიძულებდა ხელახლა დაბრუნებოდა მოძრაობას, სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს ამ იმედს, რადგანაც ერთი და იგივე სიტყვები უკვე აღარ გამოხატავენ ორივე მხარესათვის ერთ და იმავე ცნებებს, ხოლო ერთი და იგივე ცნებები უკვე აღარ გამოხატავენ ერთ და იმავე სოციალურ ფაქტებს. ბერნშტეინთან კამათი წარმოადგენს ორი მსოფლმხედველობის, ორი კლასის, ორი საზოგადოებრივი ფორმის დაპირისპირებას. ბერნშტეინი და სოციალ-დემოკრატია ეყრდნობიან ამ ჟამად ორ სხვა და სხვა საფუძვლებს.

5. ოპორტიუნიზმი თეორიაში და პრაქტიკაში

ბერნშტეინის წიგნს დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი გერმანიის და მსოფლიო მუშათა მოძრაობისთვის: ეს იყო პირველი ცდა პარტიაში აღმოცენებულ ოპორტიუნისტულ მიმდინარეობათა თეორიულ დასაბუთებისა.

ოპორტიუნისტული მიმდინარეობანი, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ სპორადიულ გამომჟღავნებას, უკვე დიდი ხანია რაც აღმოცენდენ ჩვენს მოძრაობაში. მაგრამ, სავსებით ჩამოყალიბებულ მთლიან მიმდინარეობის სახით, ოპორტიუნიზმი მოგვევლინა მხოლოდ 90-იან წლების დასაწყისში, მას შემდეგ რაც გაუქმდა კანონი. სოსოციალისტების შესახებ და სულ ახლა მოპოებულ იქნა ბრძოლის ლეგალური საშუალებანი. ფოლმარის სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, ბავარიის ამხანაგების მიერ ბიუჯეტისათვის ხმის მიცემა, სამხრეთ-გერმანიის აგრარული სოციალიზმი, ჰეინეს წინადადება კომპენსაციების შესახებ, და, ბოლოს, შიპელის შეხედულებანი ბაჟზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციაზე—ასეთია უმთავრესი მომენტები ოპორტიუნისტული პრაქ-ტიკის განვითარებისა.

რა ახასიათებს მათ უპირველესად ყოვლისა გარეგნულად? მტრული განწყობილება „თეორიისადმი". და ეს სრულიად გასაგებიც არის, ვინაიდან ჩვენი თეორია, ე. ი. მეცნიერულ სოციალიზმის პრინციპები გარკვევით განსაზღვრავენ პრაქტიკულ მოღვაწეობას როგორც დასახულ მიზნის მიმართ, ისე ბრძოლის საშუალებათა მიმართ და, ბოლოს, თვით ბრძოლის წესების მიმართ. ამისათვის მათ, ვინც მხოლოდ პრაქტიკულ შედეგებისათვის მოქმედებენ, ხშირად ემჩნევათ ბუნებრივი მისწრაფება მოიპოვონ მეტი თავისუფლება თავიანთ მოქმედებაში, ე. ი. ჩამოაშორონ ჩვენი პრაქტიკა თეორიას, გახადონ პირველი სრულიად დამოუკიდებელი უკანასკნელისაგან.

მაგრამ იგივე თეორია ამარცხებს მათ ყოველ ცდაში პრაქტიკულ მუშაობისა: სახელმწიფოებრივი სოციალიზმი, აგრარული სოციალიზმი, კომპენსაციათა პოლიტიკა, საკითხი მილიციის შესახებ, ყოველივე ეს იმავე დროს ოპორტიუნიზმის დამარცხებაც არის. ცხადია, რომ თუ ამ მიმდინარეობას სურდა გამკლავებოდა ჩვენს პრინციპებს, ის შეძლებისამებრ უნდა დაახლოვებოდა თვით თეორიას, თვით პრინციპებს; იმის მაგივრად, რომ უყურადღებოდ დაეტოვებია ეს თეორია, მას უნდა მოეშალა ის და შეექმნა თავისი საკუთარი თეორია.

ასეთ ცდას წარმოადგენდა ბერნშტეინის თეორია; ამისათვის შტუტგარტის პარტეიტაგზე ყველა ოპორტიუნისტული ელემენტები მყისვე შემოკრბენ მისი დროშის ქვეშ. თუ, ერთი მხრივ, ოპორტიუნისტული მიმდინარეობანი პრაქტიკაში წარმოადგენენ სრულიად ბუნებრივ მოვლენას და აიხსნებიან ჩვენი ბრძოლის პირობებით და მისი გაფართოებით, მეორე მხრივ, ბერნშტეინის თეორია უნდა ჩაითვალოს არა ნაკლებ გასაგებ ცდათ, რომლის მიზანი იყო მიეცა ამ მიმდინარეობათათვის საერთო თეორიული გამოხატულება, გამოენახა მათთვის საკუთარი თეორიული წინამძღვრები, საბოლოოდ გასწორებოდა მეცნიერულ სოციალიზმს. ამისათვის ბერნშტეინის თეორია უნდა ჩაითვალოს ოპორტიუნიზმის თეორიულ გამოცდათ, მისი არსებობის პირველ მეცნიერულ აღიარებათ.

მაგრამ როგორია ამ გამოცდის შედეგები, ჩვენ უკვე დავინახეთ. ოპორტიუნიზმს არ ძალუძს შექმნას დადებითი თეორია, რომელიც შესძლებს ოდნავად მაინც გაუძლოს კრიტიკას. მას შეუძლია მხოლოდ დაიწყოს მარქსის მოძღვრების ცალკე საფუძვლების უარყოფით და შემდეგ გადავიდეს მთელი სისტემის დანგრევაზე თავიდან ბოლომდე, რადგანაც ეს მოძღვრება წარმოადგენს მჭიდროდ შეკრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობას. ეს ამტკიცებს, რომ ოპორტიუნისტული პრაქტიკა, თავისი არსებით, თავისი დასაბუთების მიხედვით ძირითადად ეწინააღმდეგება მარქსის სისტემას.

მაგრამ შემდეგ ეს იმასაც ამოწმებს, რომ ოპორტიუნიზმი ეწინააღმდეგება საერთოდ სოციალიზმსაც, რომ თავისი შინაგანი ტენდენციით ის ცდილობს დააყენოს მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიულ გზაზე, ე. ი. სრულიად გააქარწყლოს პროლეტარული კლასიური ბრძოლა. თავის თავად ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია ისტორიულად პროლეტარიატის კლასიური ბრძოლა მარქსის სისტემას გავუთანასწოროთ. მარქსამდე, და მისგან სრულიად დამოუკიდებლივ, არსებობდა მუშათა მოძრაობა და სხვადასხვა სოციალისტური სისტემები, რომელთაგან თვითეული რაიმე მხრივ სავსებით შეეფერებოდა თავისი დროის პირობებს და წარმოადგენდა მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მისწრაფებათა თეორიულ გამოხატულებას, სოციალიზმის დასაბუთება მორალურ ცნებებით სამართლიანობის შესახებ, ბრძოლა განაწილების წესის წინააღმდეგ წარმოების წესის წინააღმდეგ ბრძოლის მაგივრად, კლასიურ წინააღმდეგობათა ქვეშ ღარიბთა და მდიდართა შორის არსებულ წინააღმდეგობის გაგება, ცდა „ამხანაგობის" პრინციპის გამოყენებისა კაპიტალისტურ მეურნეობის ფარგლებში—ყოველივე ამას, რასაც ჩვენ ბერნშტეინის თეორიაში ვხვდებით, უკვე წინადაც ქონდა ადგილი ისტორიაში. და ყველა ეს თეორიები **თავის დროზე**, მიუხედავათ მათი ნაკლისა, ნამდვილ პროლეტარულ კლასიურ ბრძოლის თეორიებს წარმოადგენდენ; ესენი ის ვეებერთელა საბავშო ჩექმები იყო, რომლებითაც პროლეტარიატმა სიარული ისწავლა ისტორიის ასპარეზზე.

მაგრამ მას შემდეგ, რაც კლასიურ ბრძოლის და მისი საზოგადოებრივი პირობების განვითარებამ გამოიწვია ამ თეორიების დამხობა და მეცნიერულ სოციალიზმის გამომუშავება, ამის შემდეგ არ შეიძლება არსებობდეს, ყოველ შემთხვევაში გერმანიაში მაინც, სხვა სოციალიზმი, გარდა მარქსის სოციალიზმისა, არ შეიძლება სწარმოებდეს სოციალისტური კლასიური ბრძოლა სოციალ-დემოკრატიის გარეშე. ამ ჟამად სოციალიზმი და მარქსიზმი, პროლეტარული განმათავისუფლებელი ბრძოლა და სოციალ-დემოკრატია—უკვე ერთი და იგივე ცნებებია. ამისათვის უკან დაბრუნება წინანდელ, მარქსამდი არსებულ სოციალისტურ თეორიებისადმი ამ ჟამად პროლეტარიატის გიგანტურ საბავშო ჩექმებისადმი დაბრუნებას როდი ნიშნავს: არა, ეს ნიშნავს ხელახლა ბურჟუაზიის პაწაწკინტელა გაცვეთილ ფოსტლების ჩაცმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერნშტეინის თეორია იყო **პირველი**, მაგრამ ამავე დროს **უკანასკნელი** ცდაც ოპორტიუნიზმის თეორიულ დასაბუთებისა. ჩვენ ვამბობთ უკანასკნელი, იმიტომ რომ ბერნშტეინის თეორიაში ოპორტიუნიზმი იმდენად შორს მიდის როგორც უარყოფით მხრივ, რამდენადაც ის უარყოფს მეცნიერულ სოციალიზმს, ისე დადებითი მხრივ, რამდენადაც ის წარმოადგენს ყოველგვარ თეორიათა ნაფლეთების მოუწესრიგებელ შეერთებას,—რომ ამაზე შორს წასვლა უკვე შეუძლებელია. ბერნშტეინის წიგნში ოპორტიუნიზმმა დაამთავრა თავისი განვითარების გზა თეორიაში, ხოლო შიპპელის პოზიციაში მილიტარიზმის საკითხის შესახებ მან განვლო ეს გზა პრაქტიკაში და მივიდა თავის საბოლოო დასკვნამდე.

და მარქსის თეორიას არა მარტო შეუძლია თეორიულად დაამარცხოს ოპორტიუნიზმი, არამედ მას და მხოლოდ მას შეუძლია ახსნას ის, როგორც ისტორიული მოვლენა პარტიის ჩამოყალიბების პროცესში. პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული წინსვლა გამარჯვებისადმი, მართლადაც, „არც ისე ადვილი საქმეა“. ამ მოძრაობის მთელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეს პირველი შემთხვევაა ისტორიაში, როდესაც ხალხის მასები თვითონ და ყველა გაბატონებულ კლასთა **წინააღმდეგ** იცავენ თავის მიზნებს, ამავე დროს ეს მიზნები მათ უნდა გადაიტანონ თანამედროვე საზოგადოების იქით, გადააშორონ მის ფარგლებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ხალხის მასას ეს მიზნები შეუძლია გამოიმუშაოს მხოლოდ გამუდმებულ ბრძოლაში არსებულ წესწყობილებასთან, მხოლოდ ამავე წესწყობილების ფარგლებში. ხალხის ფართე მასების შეერთება მთელ არსებულ წესწყობილების გარეშე მდგომ მიზანთან, ყოველდღიურ ბრძოლის შეერთება უდიდეს მსოფლიო რეფორმასთან—ასეთია სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის უდიდესი პრობლემა; ამიტომაც ამ მოძრაობამ თავის განვითარების დროს გზა უნდა გაიკაფოს ორ საფრთხეთა შორის: მოძრაობის მასიური ხასიათის უარყოფის და მისი საბოლაო მიზნის უარყოფის შორის, ხელახლა სექტად გადაქცევის და ბურჟუაზიულ რეფორმისტულ მოძრაობად გადაქცევის შორის, ანარქიზმსა და ოპორტიუნიზმს შორის.

მართალია, უკვე ნახევარი საუკუნის წინად მარქსის თეორიამ გამოსჭედა თავის თეორიულ თოფხანაში საუკეთესო იარაღი ამ ორთავე უკიდურესობათა წინააღმდეგ. მაგრამ რადგანაც ჩვენი მოძრაობა წარმოადგენს სწორედ მასიურ მოძრაობას, და რადგანაც ის საფრთხეები, რომელნიც დგანან მის წინაშე, არსებობენ არა ოცნებაში, არამედ საზოგადოებრივ პირობებში, ამისათვის მარქსის თეორიას არ

შეეძლო იმთავითვე ერთხელ და სამუდამოდ გაეთვალისწინებია ყოველი ანარქისტული და ოპორტიუნისტული გადახრა პირდაპირ გზიდან. ისინი დაძლეულ უნდა იქნან თვით მოძრაობის მიერ, რასაკვირველია, მარქსის მიერ გამოჭედილ იარაღის საშუალებით, უკვე იმის შემდეგ, რაც ისინი განხორციელდებიან პრაქტიკაში. უმცირეს საფრთხეს—ანარქისტულ წითელას—სოციალ-დემოკრატიამ უკვე თავი დააღწია „დამოუკიდებელთა მოძრაობის“ დაძლევით, უფრო დიდ საფრთხეს—ოპორტიუნისტულ წყალმანკს—ის ამ ჟამად ებრძვის.

თუ მხედველობაში მივიღებთ მოძრაობის მეტის მეტ გაფართოებას უკანასკნელ წლებში, პირობების სირთულეს, რომელშიაც ის მიმდინარეობს და ამოცანების სიდიადეს, რომლებისთვისაც სწარმოებს ბრძოლა, ჩვენ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ უსათუოდ უნდა დამდგარიყო მომენტი, როდესაც მოძრაობაში თავი იჩინა სკეპტიციზმმა უდიდეს საბოლოო მიზნის მიღწევის მიმართ და რყევამ მოძრაობის იდეური ელემენტის მიმართ. სწორედ ასედაც უნდა ხდებოდეს დიდი პროლეტარული მოძრაობა, და ყველა ეს რყევის და გულის გატეხის მომენტები არ წარმოადგენენ მოულოდნელ რასმეს მარქსის მოძღვრებისათვის: პირიქით, მარქსმა დიდი ხანია რაც გაითვალსწინა და იწინასწარმეტყველა ისინი. „ბურჟუაზიული რევოლიუციები,—სწერდა მარქსი ნახევარ-საუკუნის წინედ [1]),—როგორიც არიან, მაგალითად, მე-XVIII საუკუნის რევოლიუციები, უფრო ადვილად გადადიან გამარჯვებიდან გამარჯვებამდე; მათი დრამატიული ეფექტები ერთი მეორეს სჯობნიან, ადამიანები და საგნები თითქოს ბენგალიის ცეცხლით არიან გაშუქებული, ყოველი დღე ექსტაზით მოცულია; მაგრამ ისინი არ არიან ხანგრძლივი, მალე ისინი აღწევენ თავის უმაღლეს წერტილს და საზოგადოება ეძლევა ხანგრძლივ აპატიას იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ის შეისწავლიდეს რევოლიუციონურ ქარიშხალის შედეგების გონივრულად გამოყენებას. პირიქით, პროლეტარული რევოლიუციები, როგორიც არიან მე-XIX საუკუნის რევოლიუციები, მუდამ თავის თავს აკრიტიკებენ, წამ და უწუმ ჩერდებიან თავის მსვლელობის დროს, უბრუნდებიან იმას, რაც, თითქოს, უკვე გაკეთებული იყო, რათა ხელახლა სასაცილოდ აიღონ თავის პირველი ცდების დაუსრულებლობა, სისუსტე და არარაობა; ისინი მიწას ანარცხებენ თავის მოწინააღმდეგეს თითქოს მხოლოდ იმისათვის, რომ მან, მიწასან შეხებით, მოიკრიფოს ახალი ძალები და ხელახლა გამოვიდეს

---

1) „ლუი-ბონაპარტეს მე-18 ბრიუმერი“. რუსული თარგმანი ბაზაროვის და სტეპანოვის რედაქციით. სკირმუნტის გამოცემა, გვ. 147-8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ წინააღმდეგ კიდევ უფრო ძლევამოსილი; ისევ ხელახლა უფრთხიან თავის საკუთარ მიზნების სიდიადეს, ვიდრე არ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეუძლებლად ხდის ყოველივე უკან დახევას, ვიდრე თვით გარემოებანი არ განაცხადებენ:

„Hic Rhodus, hic salta!"

ეს კანონად რჩება მას შემდეგაც, რაც მეცნიერულ სოციალიზმის თეორია შეიქმნა. სწორედ ამის გამო პროლეტარული მოძრაობა ჯერ კიდევ არ გამხდარა ერთბაშათ სოციალ-დემოკრატიული, ის ხდება სოციალ-დემოკრატიული დღითი დღე; ის ასეთად ხდება ბრძოლის პროცესში, განუწყვეტლივ ბრძოლის გამო უეცარი ნახტომებით ანარქიზმისა და ოპორტიუნიზმისაკენ, რომელნიც წარმოადგენენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის მომენტებს, თუ კი ამ მოძრაობას განვიხილავთ როგორც პროცესს.

ყოველივე ამის გამო მოულოდნელად უნდა ჩაითვალოს არა ოპორტიუნისტული მიმართულების აღმოცენება, არამედ, პირიქით, მისი სისუსტე. მანამდე, ვიდრე ოპორტიუნიზმი თავის გამოხატულებას ჰპოვებდა პარტიულ პრაქტიკის ცალკე შემთხვევებში, შეიძლებოდა კიდევ იმის დაშვება, რომ მას გააჩნია რაიმე სერიოზული თეორიული საფუძველი. მაგრამ ეხლა, როდესაც ეს მიმდინარეობა სავსებით ჩამოყალიბდა ბერნშტეინის წიგნში, ყველას ძალაუნებურად გაკვირვებული კითხვა ებადება: როგორ! განა ეს არის ყველაფერი, რაც თქვენ გინდოდათ გეთქვათ? არც ერთი ახალი აზრის ნიშან-წყალი აქ არ მოიპოვება! ვერც ერთ ისეთს აზრს აქ ვერ შეხვდებით, რომელიც უკვე ათეული წლების წინად არ ყოფილიყო დაძლეული, გათელილი, სასაცილოდ აღებული და მოსპობილი მარქსიზმის მიერ!

საკმარისი იყო ოპორტიუნიზმისათვის დაეწყო ლაპარაკი და მან ყველას დაანახვა, რომ არაფერი აქვს სათქმელი. სწორედ ამაში მდგომარეობს ბერნშტეინის წიგნის პარტიულ-ისტორიული მნიშვნელობა.

ეთხოვება რა რევოლიუციონურ პროლეტარიატის აზროვნების მეთოდებს და ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, ბერნშტეინს შეუძლია მადლობა უძღვნას უკანასკნელთ იმისათვის, რომ მათ გამოუნახეს მის გადაქცევას დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი. მართლადაც, მხოლოდ დიალექტიკას და ისტორიის მატერიალისტურ გაგებას შეუძლიათ, თავისი დიდსულოვნობის გამო, გაამართლონ მისი აღმოცენება, როგორც სპეციალური, მაგრამ შეუცნობელი იარაღის, რომლის მეოხებით ბრძოლისათვის განმზადებული პროლეტარიატი გამოხატავს თავის დროებით გაუბედავობას, რათა შემდეგ,

როდესაც უფრო ახლო განიხილავს მას, შორს გადასტყორცნის ის გესლიანი დაცინვით.

ჩვენ ვთქვით, რომ მოძრაობა სოციალ დემოკრატიული ხდება იმის გამო და იმდენად, რამდენადაც ის თავს აღწევს ნახტომებს ანარქიზმის და ოპორტიუნიზმის მიმართ, რომელნიც თან სდევენ თვით მოძრაობის ზრდას. მაგრამ დაძლევა არ ნიშნავს ყველაფრის ღვთის განგებაზე მიტოვებას. თანამედროვე **ოპორტიუნისტული მიმდინარეობის დაძლევა ნიშნავს მის უკუგდებას.**

თავისი წიგნის ბოლოში ბერნშტეინი ურჩევს პარტიას გამოიჩინოს სათანადო გამბედაობა და დაენახვოს ქვეყანას თავისი ნამდვილი სახით—როგორც დემოკრატიულ-სოციალისტური რეფორმათა პარტია. პარტიამ, ე.-ი. მის უმაღლეს ორგანომ, პარტეიტაგმა შესაფერისი პასუხი უნდა გასცეს ბერნშტეინს და თავის მხრივ წინადადება მისცეს მას ფორმალურად გამოაცხადოს თავისი თავი იმათ, რაც არის ის სინამდვილეში—წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პროგრესისტად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი.

წინასიტყვაობა 3

ნაწილი პირველი.

1. ბერნშტეინის მეთოდი 7
2. კაპიტალიზმის შეგუება 12
3. სოციალიზმის დამყარება სოციალურ რეფორმათა გზით . 22
4. საბაჟო პოლიტიკა და მილიტარიზმი 29
5. პრაქტიკული დასკვნები და თეორიის საერთო ხასიათი . . 35

ნაწილი მეორე.

1. ეკონომიური განვითარება და სოციალიზმი 44
2. ეკონომიური და პოლიტიკური დემოკრატია 53
3. პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა 64
4. კაპიტალიზმის დამხობა 74
5. ოპორტიუნიზმი თეორიაში და პრაქტიკაში 79

7. კრებული—შეხოდგომა ფერადი სურათებით . . . . . —50 კ.
8. დედა-ბერი, ტუჩა და მელია კუდა კაცელია . . . . . —25 კ.
9. ქუჩიშვილი—„ბავშვებს" . . . . . —25 კ.
10. სიბრძენეცი—ტყის ზღაპარი . . . . . —25 კ.
11. ქ[illegible]ელის სოკარის [illegible]ავგადასავალი . . . . . —25 კ.
12. [illegible]ალი ბავშვების სიმღერები . . . . . —25 კ.
13. ა. [illegible]ქაბერიძე—ტროიადის ომი 60
14. მირიანაშვილი—ივან-არაკები . . . . . —50 კ.
15. საბავშვო ბესათა კრებული . . . . . —60 კ.
16. ტოლსტოი—ივანე დურაკი . . . . . .
17. მეაერლინკი—ლურჯი ფრინველი . . . . . —50 კ.
18. ზაბიარი—კრებული . . . . . —50 კ.

V. ᲘᲜᲢᲐᲠᲒᲛᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲥᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲐ.

1. ᲒᲐᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲘ—ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება.
2. ᲤᲠ. ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘ—მეცნიერული სოციალიზმის განვითარება.
3. Კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘ—მე-18 ბრიუმერი
4. ᲤᲠ. ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘ—რეკოლუცია და კონტრ-რევოლუცია გერმანიაში.
5. Კ. ᲙᲐᲣᲪᲘᲙᲘ—ეთიკა და ისტორიის მატერიალისტურად გაგება.
6. [illegible] ᲑᲘᲠᲜᲐᲠᲓᲘ—კაპიტალის სამივე ტომის ახსნა-განმარტება.

წიგნის მაღაზიაში იყიდება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის ყველა სხვა წიგნები, სახელმძღვანელოები, საკანცელიარიო ნივთები და საბეჭდავი და საწერი ქაღალდი.

საწავლებლებს, განათლების განყოფილებებს, პროფკავშირებს და პარტიულ ორგანიზაციებს წიგნები ეთმობათ 10—20% ფას-დაკლებით. შეკვეთები სრულდება სწრაფად. შეიძლება წიგნების პროვინციაში გამოწერა ფას-დადებით ამანათებით.

მისამართი: სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზია, რუსთაველის პრეისპექტი № 11.

ნინოლინ. მოავლიტი № 901 შეკ. № 4881.